

0.52/2
1991/2


ISSN 0134 3459



ქართული

347-

1991 1



ქოჩოხი

გ ა მ ო ც ა მ ი ს

33-მ

ნ ე ლ ი

ლიბრატორიულ-მსაბვრული და საზოგადოებრივ-კოლმედიკური შურონალი

საქართველოს მშენებელთა კავშირისა და ახარის განყოფილების ორგანო

რა მშენებელი ზღვა გვაქვს, აქარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

1

1991

იანვარი
თებერვალი



გ ა მ ო ც ა მ ი ს

შინაარსი

ალექსანდრე ჩხაიძე — რეცეპტები
ქორდანია, ძე ნოესი 3

კომუნიკაცია, პროზა

ნანა გვარამიშვილი — ლექსები 15

რამაზ სურგანიძე — ემრულა (ეპიკური მოთხრობის მეორე ნაწილი) 20

ჯანსუღ კორძაია — ლექსები 36

გივი თევზაძე — დაკარგული სამანი (მოთხრობა) 41

ხათუნა გაგუა — მე კარგად მახსოვს (ლექსი) 47

დონარა სურგანიძე — მინიატურები 54

ეკა ტყეშელაშვილი — ღამის სილუეტები (მინიატურა) 56

ასალი თარგმანები

ივრონიზაცია ლაუციუსი — ორი ნოველა (თარგმანა ვახტანგ ახვლედიანმა) 58

მოგონებათა უპრცლები

- მამია ვარშანიძე — რა დამავიწყებს 64
ზურაბ ფირცხალაშვილი — ბათუმური პორტრეტები 67
იბრაიმ გორაძე — საღაურსა სად წაიყვან 73

წერილები

- სიმონ ვოგიტიძე — პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია 77
შოთა ზაქარიაძე — იასე რაჭველის გახსენება 86
ანჯეო ფურიე — პოლონელი კართოვრაფები საქართველოში 89

ჯეჯილი

- რევაზ ლორია — ლექსები 92
გასულ ორ თვეში 93

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.
ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი

ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ შატაგაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით სასუშტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი
მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ.
3-33-71.

გადაეცა წარმოებას 11.01.91, ზელმოწერილია დასაბეჭდად 7.03.91, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთი № 43, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 4000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის სსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, იბერიის 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли
Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Иберийская, 91.

რეკრუტურა, ძე ნოესი

ცა ფეხად ჩამოვიდაო, რომ იტყვიან, ისეთი ამინდი იდგა იმ დღეს ბათუმში. საღამოს რეისი იგვიანებდა თბილისიდან. აეროპორტის უფროსის, ჯემალ ძნელაძის კაბინეტში ველოდით გამოდარებას ქალბატონ თინა სარჯველაძესთან ერთად. იმ რეისით თბილისიდან უნდა ჩამოსულიყო რეკრუტურა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, მთავრობის თავმჯდომარის ნოე ურდანიას ვაჟიშვილი. კაცმა რომ თქვას, მე სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი აეროპორტში. რეკრუტურა, რა თქმა უნდა, პირადად არ ვიცნობდი. არც არავის დაუფლებია თბილისიდან, დავხვედროდი მას. სრულიად შემთხვევით მოგვარი ყური ერთ ოჯახში სტუმრად ყოფნისას, ქალბატონმა თინამ რომ უთხრა მასპინძლებს, პარასკევს რეკრუტურა ჩამოღის თბილისიდანო. პრესიდან, ტელევიზიით ვიცოდი, რომ ბატონ ნოე ურდანიას შთამომავალი იმ ხანად თბილისში იმყოფებოდნენ. მათ შორის იყო ვაჟიშვილი რეკრუტურა; სწორედ წინა დღით ვინილეთ მისი გამოხვლა რესპუბლიკის ახალ პარლამენტში; მაგრამ იგი ბათუმში რომ ამირებდა ჩამოსვლას, აი, ასე შემთხვევით გავიცე. თუმცა სახეებით ბუნებრივად მივიჩნიე, რომ უსურვებია, მოენახულებინა ქალაქი, რომელიც სისხლბორცეულად იყო დაკავშირებული საქართველოში ბატონი ნოე ურდანიას ყოფნის უკანასკნელ დღეებთან. ნათესავებიც ეყოლებოდა, ალბათ, ბათუმში. ისინი დახვდებიან, უმასპინძლებენ, ყურადღებას არ მიაკლებენ. მათ შორის იქნებოდა ქალბატონი თინაც. მე მას წინათაც შევხვედრებოდა. ვიცოდი, რომ თინა სარჯველაძე კარგა ხანს ცხოვრობდა პარიზში. ომის შემდეგ ქართულ ემიგრანტთა პირველ ჯგუფთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. ფრანგული ენის სპეციალისტის საქმეს რა დაუღუგდა. ლექციებს კითხულობდა უცხო ენათა ინსტიტუტში. ამ რამდენიმე წლის წინათ ბათუმში იდებდნენ „ქართული ფილმისა“ და საფრანგეთის ერთ-ერთი სტუდიის ერთობლივ ნაწარმოებს ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით. სწორედ მაშინ გავიცანი თინა სარჯველაძე. ბუნებრივია, რომ ქალბატონი თინა და ბატონი რეკრუტურა ერთმანეთს იცნობდნენ ჯერ კიდევ პარიზიდან. ამიტომ, არ გამევირგებია, მან რომ გვაცნობა, პარასკევს რეკრუტურა ჩამოღის ბათუმშიო. რა თქმა უნდა, მაინტერესებდა ბატონი რეკრუტურის გაცნობა. მცირე იმედი მქონდა მხოლოდ, იქნებ საღამო შემთხვევით შევხვედროდი ბათუმში ყოფნის დროს.

ავდარიანი პარასკევი რომ გათენდა, გულმა არ მომიბოძინა და დავურეკე ქალბატონ თინას, რომ ერთხელ კიდევ დამეფუსტებინა, ჩამოდიოდა თუ არა დღეს ბატონი რეკრუტურა. ამ დილითაც დამირეკა, ჩამოღისო; გამოირკვა, რომ იგი ქალბატონ თინასთან ჩამოდიოდა; დამხედურიც ის იყო და მასპინძელიც; ყოველი შემთხვევისათვის ვკითხე, მანქანა სომ არ იქნება საპირ-მეთქი. ტაქსი ავიყვანო, მითხრა. ერთი წუთით წარმოვიდგინე ბათუმში ჩამოფრენილი ბატონ ნოე ურდანიას ვაჟიშვილი, ტაქსი რომ ეძებს აეროპორტში, კერძო მანქანების პატრონები რომ ევაკრებიან, ხუთ მანეთ ნაკლებ ვერ ჩაგიყვანთ ბათუმშიო! მანქანა შევთავაზე ქალბატონ თინას. რა თქმა უნდა, ესაიშოვნა, მაგრამ ცამ პირი არაფრით რომ არ გახსნა, უკვე დაღამდა კიდევ, ცნობათა ბიუროში კი მიპასუხეს, აეროპორტი ღრობით დაკეტილიაო, ვალდებულია ჩავთვალო თავი, მეც გაყოლოდი.

და აი, ახლა ვსწავდით აეროპორტის უფროსის კაბინეტში და ველოდებით, როდის გაიღებს ბუნება მოწულებას. მეტეოროლოგიური სადგური გვატყობინებს, რომ თბილისშიც ადარია. ჭეშმალ მწელაძის კაბინეტში ხალხმრავლობაა. აქ არიან აეროპორტის თანამშრომლები, დამხვედურები, რომლებიც თავიანთ სტუმრებს ელიან. უკვე უშვალამ იცის, ვინ ჩამოდის დღეს ბათუმში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრშია ქალბატონი თინა, რომელიც პასუხობს შეკითხვებს, აქმაყფილებს მათ ცნობისმოყვარეობას. თავისთავად, არანაკლებ ინტერესს იწვევს თავად ქალბატონ თინას და მისი ოჯახის ისტორია, რაც მან გვიამბო, სანამ ველოდით გამოდარებასა და თბილისიდან ბოლო რეისის ჩამოსვლას.

ჟორდანები და სარკველადები ლანჩხუთიდან არიან წარმოშობით და იქიდან იცნობდნენ ერთმანეთს. საქართველოს გასაბჭოებამ გაუარა მათი გზები. იოსებ სარკველადემ თბილისში მოინდომა დაფუძნება. უფროსი ძმა — პავლე მენშევიკებს თანაუგრძნობდა და მეტეხის ციხეში იჯდა. მალე განათავისუფლეს, მაგრამ მისვლა, საქართველოში აღარ ეცხოვრებოდა და საფრანგეთში გადასეფა. მართალია, იოსები პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ 1924 წლის გამოსვლების ჩანაშობის შემდეგ, მანაც ამკობინა, განრიდებოდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას, ძმის კვალს გაჰყვა. ძნელი იყო სამშობლოს, ოჯახის მიტოვება, მაგრამ ასე გადაწყვიტა ცოლ-ქმარმა, როგორც კი ფეხს მოიკიდებდა საზღვარგარეთ იოსები, ოჯახსაც წაიყვანდა. აქარლების დახმარებით გადავიდა საზღვარზე. მიწერ-მოწერით ჰქონდათ კავშირი. 1928 წელს ბარათი მოუვიდათ, ბათუმში ჩასულიყვნენ, იქ ნაცნობი აქარლები დაესმარებოდნენ საზღვრის გადალახვაში, ზოლო თურქეთის პატარა ქალაქ სოფაში დახვდებოდათ საფრანგეთში ჩასასვლელი ვიზა და ფული. ასეც მოიქცნენ, მაგრამ სოფაში დაპირებული ვიზა და ფული არ დახვდათ, სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა ელოდათ. მაშინ თინა სულ ოთხი წლისა იყო. თავის რჩენა არ გაჭირვებით, რადგან მარიამი ექიმი იყო, გინეკოლოგი, საკმაოდ ოწვიითი სპეციალისტი იმ კუთხისათვის; მეორე დღესვე გამოჩნდნენ პაციენტები... სინანულით დაშორდნენ „გურჯი ექიმს“, გამგზავრების დრო რომ დადგა. გემით ჩავიდნენ მარსელში, სადაც პავლე დახვდათ; იქიდან — პარიზში; იოსებს უკვე გაეჩინა საქმე, ხელი მოევიდა ქართული მაწვნის დამზადებისათვის. მალე ოჯახს შეემატა კიდევ ერთი ქალიშვილი — რუსუდანი, ასე დაფუძნდნენ უცხო მიწაზე, პარიზის გარეუბანში. შევიდნენ ფრანგულ სკოლაში, შემდეგ — უმაღლეს სასწავლებელში. გამუდმებით ფიქრობდნენ საქართველოზე. სევდას ოდნავ ის აქარებდა, რომ გარშემო მთელი სათვისტომო იყო ემიგრანტი ქართველებისა. მათგან სულ ახლოს ცხოვრობდა ნოე ჟორდანიას ოჯახი, ზოლო ქართველების სოფელი — ღვევილი ოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული. მარიამი ბატონ ნოეს უფროს ქალიშვილთან — ასმათთან მეგობრობდა, თინა კი უმცროსებთან — ნათელასთან და რეკებთან. მართალია, ქართველები ჰიარა ოუ ლინში ერთად იყვნენ, მაგრამ პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით გაუთავებლად კინკლაობდნენ, ერთმანეთს აბრალებდნენ, ბოლშევიკებმა რომ ჩაიგდეს ხელში საქართველო, 1924 წლის გამოსვლები მარცხით რომ დამთავრდა.

...სანამ ჩვენ ქალბატონ თინასა და მისი ოჯახის პარიზულ თავგადასავალს ვისმენთ, ჭეშმალ მწელაძე განუწყვეტლივ რეკავს თბილისში.

ქალბატონ თინას მეტი რა დარჩენია, კვლავ ივონებს პარიზელ ემიგრანტთა ცხოვრების ეპიზოდებს:

— ქალები, მაინცა და მაინც, პოლიტიკაში არ ვერეოდით, მაგრამ არც თუ სულ გულზე ხელდაკრეფილი ვისხდით. ხშირად ვიკრიბებოდით ქართველ ქალთა კომიტეტში, რომელიც თავიდან ეკა დადიანმა შექმნა, ზოლო შემდეგ მას სათავეში ედგა მარიამ ლოლობერიძე, ხდებოდა საქველმოქმედო საქმეს ხელმძღვანელობდა კომიტეტი, მოხუცებულ

ზრუნვა იყო თუ ბავშვების დასასვენებლად გაგზავნა, უბედური შემთხვევის გამო ხელის გამართვა, თუ რაიმე საჭირო შეხვედრა. განსაკუთრებით ომის დროს აქტიურად ბა ქალთა კომიტეტი, დაეძგნენ ქართველ ტყვეებს ბანაკებსა და საავადმყოფოებში, უფლიდნენ და ეხმარებოდნენ მათ. სათვისტომო ღილაღ დაეხმარა ჩვენებურ ებრაელებს. საბუთები დაურიგეს, რომ ისინი ქართველები იყვნენ და ამით სიკვდილს ვაიარჩინეს. ქართველმა ტყვეებმა ჩამოაყალიბეს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც თბილისის კონსერვატორიადამთავრებული პეტრე ნაღბანდიშვილი ხელმძღვანელობდა. ანსამბლი ძირითადად გერმანელებისათვის მართავდა კონცერტებს, მაგრამ, როგორღაც მოახერხეს ნებართვის გამოთხოვა, რომ ერთნელ მაინც შეხვედროდნენ თანამემამულეებს. დღისით გაიმართა ეს კონცერტი თეატრ „ენაში“. ენით აღწერელია, რაც ჩვენ იმ დღეს განვიცადეთ. თითქმის აღარც ომი იყო, აღარც ტყვეობა და ემიგრაცია, ყველანი საქართველოში ვიყავით. უორდანიას მთელი ოჯახი ესწრებოდა ამ კონცერტს. თვითონ ბატონი ნოე აბრძანდა სცენაზე, მაღლობა გადაუხადა ქართველ მომღერლებსა და მოცეკვავეებს ასეთი თბილი, სისარულიის ცრემლებმომგვრელი, დაუფიწყარი საღამოსათვის და ყველას უხსურვა სამშობლოში დაბრუნება. მეორე დღეს მთელი ანსამბლი მიტროფანე ლაღიძის ვაჟიშვილმა — თორნიკემ მიქელაძის რესტორანში დაპატიჟა, სადაც მიწვეული იყო აგრეთვე საქართველოს მთავრობა ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით.

...ჩემოდ მწელაძემ მიიღო ცნობა, რომ, როგორც იქნა, თვითმფრინავი გამოფრინდა თბილისიდან. ესე იგი, დაახლოებით ერთ საათში ბათუმში იქნება.

კიდევ პეტრი რამ მოვისმინეთ იმ საღამოს ქალბატონ თინასაგან, რომლის ოჯახმაც, სხვა ზევრ ქართველ ემიგრანტებთან ერთად, იწვნია სამშობლოში დაბრუნების სისარულიც და განუყოფლობის მძიმე წლებიც. ომის დამთავრებისთანავე გამოემგზავრნენ სამშობლოში. თბილისშივე დაპატიმრეს მისი მეუღლე — ლეო ერმოლოვი-გვანცელაძე; როგორც ტყვედ ნაყოფს, 25 წლის კატორღა მიუსაჯეს. 1951 წლის დეკემბერში, რეპრესიების კიდევ ერთმა ტალღამ რომ გადაუარა საქართველოს, ქალბატონ თინას და მის წვრილ ქალ-ვაჟსაც მიაკითხეს გამოთენიას. მეუღლეს, არქიტექტორ შოთა კაკაჭიშვილს, არჩევანი შესთავაზეს, თბილისში დარჩენა ან კიდევ ოჯახთან ერთად გადასახლება სამხრეთ ყაზახეთში. რა თქმა უნდა, ბატონმა შოთამ ოჯახთან ერთად ყოფნა ირჩია. ესეც არ აკმაყოფილა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში მიაგნეს თინას 80 წლის დედას, ქალბატონ ვარდო ჭყონიას და ისიც ყაზახეთის გზას გაუყენეს, თანაც ისეთი იესუიტური განაჩენით, რომ დედა-შვილი ერთმანეთს არ შეხვედროდნენ, სხვადასხვა რაიონში უნდა ეცხოვრათ... ქართველები არც ასეთი ავბედობის უამს ჰკარგავდნენ იუმორის გრძნობას. ვინაიდან ეს ამბები დეკემბერში ხდებოდა, თავიანთ თავს „დეკაბრისტები“ დაარქვეს.

არა თუ გადატანა ყოველივე ამისა, მოხმენაც კი საზარელია, რაც იწვინეს ქალბატონმა თინამ და მისმა ოჯახმა; მით უფრო მაოცებს, როგორ არ გატყდა ეს ქალი სულიერად, არ გაბოროტდა, შეინარჩუნა ძალა და ნებისყოფა, ემსახუროს თავის ხალხს, აღსდგოს ახალგაზრდობა, თესოს სიკეთე.

...ისევ აწყრილდა ტელეფონი აეროპორტის უფროსის მაგიდაზე. ზემოდ მწელაძემ აიღო ყურმილი, შემდეგ თვითონ დარეკა სადღაც, მათთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკა ვიღაცას, ქარის სიმძლავრე და მიმართულება მოიკითხა და თქვა:

— ამინდი კიდევ შეიცვალა. თვითმფრინავი შუაგზიდან დაბრუნდა თბილისში, ხვალ დილაზე რეისი აღარ იქნება.

...ღამით ქალბატონმა თინამ დამირეკა, რეგები მეღაპარაკა თბილისიდანო, ჩათვალე, შე უკვე ვიყავი აჭარაში, ქობულეთამდე ჩამოვადწიეთ, მაგრამ ბოლოს მაინც თბილისში

დაგვაბრუნესო. უთქვამს, თვითმფრინავს უკვე ვეღარ ვენდობი, მომავალ პარასკევს ჩამოვალ ბათუმში, მაგრამ ამჯერად უკვე მატარებლითო.

„პარასკევს, რკინიგზის ვაგზალზე დახვედრისა და ერთმანეთის გაცნობის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, ის ვკითხე ჩვენს სტუმარს, რატომ დაარქვეს სახელად რეჟები. ბუნებრივია, ეს ყველას აინტერესებდა აჭარაში. მითხრა, რომ რეჟები ჰქვიოდა მის დიდ პაპას, მამის ბაბუას, რომელიც, რამდენადაც იცის, მეგობრობდა აჭარლებთან.

თავიდანვე მთხოვა, რომ არავინ შემეწუხებინა ბათუმში მისი ყოფნით, იცნობრებს იგი ქალბატონ თინას ბინაში, მანქანაში ჯდომას ამჯობინებს ფეხით მოიაროს ქალაქის ქუჩები, მოინახულოს ის ადგილები, სადაც ხდებოდა 70 წლის წინანდელი ისტორიული მოვლენები, რომელთა უმუალო მონაწილეც, ბუნებრივია, იყვნენ ნოე შორდანია და მისი მთავრობა.

რეჟე შორდანია ჩამობრძანება ბათუმში, ცხადია, შემუშნეველი არ ღარჩებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, იგი მიიწვიეს აჭარის მინისტრთა საბჭოში, სადაც შეხვდა და ესაუბრა თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი ნანა გუგუშავა.

ბატონი რეჟების ჩამოსვლა დაემთხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენას, საქართველოს უკანასკნელი მეფის — სოლომონ მეორის ცხედრის გადმოსვენებას ტრაპიზონიდან, რამაც იგი ძალიან გაახარა და მაშინვე გამოთქვა სურვილი დახვედროდა პროცესიას გონიში.

როგორც შევთანხმდით, ჩვენ დავდიოდით ქალაქის ქუჩებში და ვხვდებოდით ადამიანებს. მას ყველა სცნობდა გაუთებში გამოქვეყნებული ფოტოებით, განსაკუთრებით — საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლის შემდეგ. ყველას უნდოდა მასთან შეხვედრა, ხელის ჩამორთმევა, გამოლაპარაკება, ყველა სადღაც ეპატიებოდა. ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელი იუმორი, მოსწრებული სიტყვა, ღიმილი, გახსნილი გული აახლოებდა მათ. რომ არ მცოდნოდა, ვერაფრით დავიჯერებდი, რომ პირველად იმყოფებოდა საქართველოში.

ნოე შორდანია და მისმა მთავრობამ 1921 წლის 17 მარტს დატოვეს ბათუმი. იმავე წლის 11 დეკემბერს პარიზში დაიბადა რეჟები. მან თითქმის დაიანგარიშა თვეები, რიცხვები და ღიმილით გვითხრა, შეიძლება ითქვას, რომ მე ბათუმელი ვარო.

ძველ ბათუმელებთან ერთად ვისხენებო, როგორი იყო ზღვის სანაპირო ოცინ წლებში. იმდროინდელ ფოტოებს ვათვალიერებო. ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩაზე რკინიგზა გადიოდა და მაშინდელ აზიზიეს მოედანთან ჩიხით მთავრდებოდა. იქ იყო 21 წლის მარტში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის დროებითი „რეზიდენცია“, ჩვეულებრივი სარკინიგზო ვაგონი, სადაც წყდებოდა ქართველი ხალხის ბედი, მისი მომავალი. ასე იგონებს იმ დღეებს ნოე შორდანია მოგონებათა წიგნში „ჩემი წარსული“: „ბათუმში დაპატიმრებული ბოლშევიკები გავანთავისუფლეთ. მოვიდნენ ჩემს ვაგონში მოსალაპარაკებლად. საუბარი იყო მოკლე. ჩვენი საერთო ინტერესია მხოლოდ ერთი — ბათუმის და მისი ოლქის საქართველოს საზღვრებში დარჩენა, რაგინდ წყობილება იყოს აქ. თუ შეგიძლიათ, ამ საზღვრებში იმოქმედეთ, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ოსმალთა ბათუმთან გასარეკად, — განაცხადა მე... მთავრობას გზა დაგვილოცეს უცხოეთისაკენ. მთავრობა მაინც ფეხს ითრევდა, სამშობლოს დატოვება ადვილი არ ყოფილა.

დაგვაჩქარა ერთმა გარემოებამ. ტელეფონით გვითხრა ერთმა აჭარელმა დეპუტატმა (გვარი დამავიწყდა), რომ სწრაფი ნაბიჯით მოდის ყოფილი კავალერია, გადმოუღალხავს აბასთუმნის გზით აჭარის უღელტეხილი და ამობოგნ, მისია გვაქვს ნოე შორდანია დაქვერ ბათუმშიო. ეს ცნობა აღმოჩნდა მართალი. საჭირო იყო სიჩქარე. ბათუმის ქუჩებში უკვე გაჩაღდა ბრძოლა ჩვენს ჯარსა და ოსმალთა შორის. გემზე გადავდით 16 მარტს.



ის ადგილზე მოვინახულეთ, რკინიგზის უფრო ჩინში, სადაც უკანასკნელად ედგათ ფეხი ქართულ მიწაზე საქართველოს მთავრობას და მის თავმჯდომარეს. მერე დღესვე აქაურობას წითელი არმია დაეპატრონა. ახლა იქ ბათუმის გარნიზონის უტახია. ხმამაღლა არ გვითქვამს, მაგრამ, ალბათ, ორივემ ერთი და იგივე გავიფიქრეთ, ამ მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა ამ 70 წლის განმავლობაში.

ზღვასთან შეხვედრამ კიდევ უფრო გაახალისა ბატონი რეჟები. განსაკუთრებით ახარებდა, რომ საუცხოო ამინდი იდგა. ფოტობიჭიკებს უმიზნებდა ყველა მიმართულებით. ასე მიეყვებოდით სანაპიროს. როგორც ყოველთვის შაბათ-კვირას, იმ დღესაც ხალხმრავლობა იყო პატარა სკვერში, სულიყო ემირიძემ და მისმა ოსტატებმა რომ გამშვინიერეს; აქ იკრიბებიან ნაღდი ბათუმელები, განურჩევლად ასაკისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. უმეტესობა ზღვასთანაა დაკავშირებული. აქ სტუმარი ხაერთოა, ყველა მზადაა სამასპინძლოდ. ბატონი რეჟების წარდგენა არ დამჭირებია, მაშინვე იცნეს და გარს შემოეხვივნენ. საუბარში ცოცხლდებოდა ისტორია, მოგონებანი, წინაპართა ნაკვლევები...

ჩემი ბავშვობის მეგობარი ედუარდ ჯოჯუა მცირე ხნით გაუჩინარდა და რამდენიმე გაფრთხილებული ფოტო მოიტანა. ერთი მათგანი, რომელიც 1920 წლითაა დათარიღებული, ლანჩხუთშია გადაღებული. მასზე გამოსახულია ნოე უორდანი და მისი ნათესავები. ბატონ რეჟებთან და ქალბატონ თინასთან ერთად შეუდგნენ დადგენას, ვინაა? ბატონ ნოეს ფეხებთან რომ უზის, დედაჩემიაო, თქვა ედუარდმა. იმის გამო, რომ ქალბატონი თამარი უორდანი იყო გვარად, ოჯახმა იგემა რეპრესიების სუსხი; და კიდევ სხვა ოჯახებმა; ძალიან ბევრმა იმიტომ, რომ ენათესავებოდნენ უცხოეთში გადახვეწილებს; იმიტომ, რომ მენშევიკებს უთანაგრძნობდნენ, ეროვნულ გვარდაში მსახურობდნენ... შემდეგ ედუარდმა თავის სახლთან მიიყვანა სტუმარი, ძველბურ შენობასთან, რომლის პირველ სართულზე გამომცემლობა „აპარა“ მოთავსებული; აქედან წავიდაო ბატონი ნოე საზღვარგარეთ; ფოტოები გადავიღეთ.

ბატონ რეჟებს უჭირს ქართული, მაგრამ მე უფრო უარესად ვიცი ფრანგული, ინგლისური, ესპანური, იმიტომ სხვა გზა არ არის, ჩვენებურად უნდა ვილაპარაკოთ. თუ გავიჭირდება, ქალბატონი თინა გვერდით გვყავს.

— ეთერი უკვე კარგად ლაპარაკობს ქართულად, — ამბობს რეჟები. თავისი უფროსი დის — ასმათის ქალიშვილი ჰყავს მხედველობაში. — რამდენჯერმე ნამყოფი საქართველოში. პირველად თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ ჩამოვიდა, ვანტანე ქაბუჯიანთან ერთად იცეკვა მაშინ „ჟიზელში“, „დონკიხოტში“. მეორედ ვანტანე ქაბუჯიანის საღამოზე მოიწვიეს. ახლა კი ყველანი ერთად ჩამოვიდით, — ეთერი, მისი მეუღლე, ცნობილი ფრანგი მომღერალი, ხუთი „გრანპრის“ მფლობელი, უკე დუეტი, აქაშვილი ტარიელი და მე.

ბატონ ნოეს უფროსი ქალიშვილი — ასმათი პარიზში ცოლად გაჰყვა ლევან ფაღვას, რომელიც ქართული ჟურნალის „ჩვენი დროის“ რედაქტორია, ეთერი სულ ბავშვი იყო სცენაზე პირველი გაოსვლისთანავე რომ მოხიბლა პარიზელები. ჯორჯ ბლანჩინის საგანგებოდ მისთვის დაუდგამს ერთმოქმედებიანი ბალეტი „მთვარეული“, ასევე სახელოვან სერჟ ლიფარს — „რომეო და ჯულიეტა“ პარიზის „გრანდ ოპერაში“. ტრიუმფით გამოდიოდა ეთერ ფაღვა მილანის „ლა სკალას“, ლონდონის „ოპერნ გარდენს“, მსოფლიოს სხვა თეატრების სცენაზე. ოცი წლის წინათ პარიზში გაიხსნა ხელოვნების სკოლა, რომლის ქორეოგრაფიული ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა საბალეტო დასი სწორედ ამ დასთან ერთად ჩამოვიდა იგი ამჟერად. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით წარმოადგინეს კლასიკურ მუსიკაზე შექმნილი

სანაზაობითი სპექტაკლი, სავანგებოდ შერჩეული პალეტი „თავისუფლების გაფუჭებული“, რაც აზრობრივად ემბიანება ქართველი ხალხის დღევანდელ ფიქრსა და მისწრაფებას.

ფრანგულ-ქართული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებაზე ფიქრობენ ეთერ ფალავა და ჟაკ დუე; მათ მიერ დაარსებულ ქორეოგრაფიულ ფესტივალზე მიიწვივნენ ქართულ კოლექტივებს. უკვე იმყოფებოდა პარიზში ნორჩთა ქორეოგრაფიული ანსამბლი თამაზ გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით.

ეთერ ფალავას ვაჟიშვილსაც მოუნდომებია ბათუმში ჩამოსვლა, სახელოვანი პაპის ნატერფალის მონახულება, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოხერხდა. ბატონი რეკები რამდენიმე სიტყვით გვიხასიათებს დის შვილიშვილს:

— ტარიელი ჩემზე უფრო ქართველია, გარეგნობითაც. ენის ცოდნითაც. იმიტომ, რომ პატარაობიდანვე ასმათთან იზრდებოდა, ჩემს უფროს დასთან, რომელიც, რომ იტყვიან, აკვნიდან უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს; ტარიელიც იმიტომ დაარქვეს: საქართველოში პირველად, მაგრამ ყველაფერი იცის წინაპართა სამშობლოზე. პრ. ფესიით რეჟისორია, ამჟამად დედას ეხმარება საბალეტო დასში.

ერთგულ კიდევ დაგვიანებით რომ მოვიდა დათქმულ შეხვედრაზე. გავცხუმრე, ამაშიც გეტყობა ქართველობა-მეთქი; გურული ქორწილივითო, გაელიმა; ალბათ, სადღაც მოეკრა ყური ამ გამოთქმისათვის, დაუმახსოვრებია, მაგრამ სოლომონ მეორის ცხედრის დასახვედრად გონიოში რომ უნდა წავსულიყავით, სულ საათს დასცქეროდა, არ დაგვაგვიანდესო. პირიქით კი მოხდა, პროცესიამ დაიგვიანა. არც იყო გასაკვირი, თურქეთში მივლინებულ ქართველთა დელეგაციას ორი ქვეყნის საბაჟო უნდა გამოეცვლა. საზღვარი მაინც საზღვარია. თუმცა დრო ტყუილად არ დაგვიკარგავს, საფუძვლიანად და ვთვალთვრეთ გონიოს ციხე. დიდად გაიხარა, ამ კუთხის თავჯაცმა კირილე ბერიძემ რომ უთხრა, ბატონი ნოე ნამყოფია აქაო. ცოტა კი შეწუხდა ბატონი კირილე, ღირსეული პატივი რომ ვერ მიაგო ნოე ჟორდანიას ვაჟიშვილს, დრო არ იყო ამისათვის. მომავლისათვის გადავდეთ უფრო საფუძვლიანი შეხვედრა.

მერე კიდევ, გურიის რაიონებიდან ჩამოსულები დაეხვედნენ ბატონ რეკებს, კინაღამ გამოგვტაცეს ხელიდან. ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ოზურგეთიდან ჩოხოსან და წვეროსან მხედართა მთელი რაზმი იყო ჩამოსული, ლანჩხუთელები იმით დავაშოშმინეთ, ზვალ თქვენთან ვაპირებთ ჩამოსვლასო. როგორც ეტყობა, ამ მხარეში მთელი თვით უნდა ჩამოვიდეთ, გაიძაზოდა რეკები.

გონიოდან დაბრუნებულებს ცენტრალური ქუჩა გადაკეტილი დაგვხვდა ხალხმრავლობის გამო. რა ხდებოდა, დაინტერესდა ბატონი რეკები. ვუთხარი, რომ ჩვენს მეგობრებს დედა გარდაიცვალათ, დღეს დასაფლავებია, რამდენიმე წუთით დაგვოვებთ და მივუხამებთ-მეთქი. არ შეიძლება, მეც თქვენთან ერთად მივუხამებოო, მითხრა მოულოდნელად. არავის გაკვირვებია მისი გამოჩენა, მით უფრო, ჭირისუფლებს. ალბათ, რეკებ ჟორდანიას არც საფრანგეთში, არც ესპანეთში და არც ამერიკაში არასოდეს მისულა უცნობ ოჯახში მისასამიშრებლად. ქართულმა გენმა უკარანახა ეს.

მეორე დღეს ბატონი რეკები მართლა აპირებდა ლანჩხუთში გამგზავრებას, მამისეული ფუძე-კარის, უფროსი ძმის — ანდრეიკას საფლავის მონახულებას, ახლობლებთან შეხვედრას, მაგრამ დილით მაინც შესძლო მისულიყო მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში. სადაც ერთი ღამით დასვენებს სოლომონ მეორის ნეშტი, პატივი მიეგო საქართველოს უკანასკნელ მონარქისათვის, ჩამდგარიყო მგალობელთა გუნდში და მათთან ერთად ემღერა „დიდება“.

თბილისში გამგზავრების დღეს კატეგორიულად განუწყხადე ბატონ რეკებს: მართალია, მე პატივი მხვდა წილად მასპინძლობა გამეწია მისთვის, მაგრამ ამავე დროს ვარ

პროფესიონალი ჟურნალისტი და აუცილებლად უნდა შევასრულო „ქვე-
რობის“ რედაქციის დავალება, ინტერვიუ ავიღო მისგან, ამისათვის კი აუცილებლად
ლია მცირე ხნით მაინც ჩვენი განმარტოება.

თითქმის შევთანხმდით, ღრაც დავნიშნეთ, მაგრამ მანამდე ძალიან მოინდომა საია-
ლქნო კლუბის ნახვა. მით უფრო, რომ მისი ახლადდმოჩენილი ნათესავი ედუარდ
ჯოჯუა ამ საქმესთანაა დაკავშირებული. დიდი ცოდნა და გამოცდილება გამოამჟღავნა
სანაოსნო სპორტში. ეს კი არა, საკუთარი ზეგლით აუგია კატამარანი ნიუ-იორკში,
ზღვისპირა ვილაზე.

მატარებლის გასვლამდე ერთი საათით ადრე შევძელით განმარტოება ქალბატონ
თინას სახლში, რათა დამეზუსტებინა ზოგიერთი ფაქტი უორლანების ოჯახის ცხოვრე-
ბიდან.

— ჭერ ეს მოისმინეთ, — მითხრა ქალბატონმა თინამ და რადიოკასეტა მომწოდა.
ერთავთ მაგნიტოფონს. ისმის ქალის ხმა: „მე დავიბადე 1908 წელს თბილისში...“

— ბატონი ნოეს უფროსი ქალიშვილია, ასმათი, — მეუბნება ქალბატონი თინა.

რასაც ვისმენ, ყველაფერი საინტერესოა, მე ვიტყვოდი, ისტორიულად მნიშვნელო-
ვანი. მახსოვრობას ვერ ვენდობი, ქალაღღზე გადამაქვს ზოგიერთი რამ, რაც, ჩემი
აზრით, დაინტერესებს მკითხველს:

„... ძალიან გვიხაროდა ზაფხულობით ბებიასთან ჩასვლა ლანჩხუთში. ქრისტინე
ბებია ჩიქოვანის ქალი იყო, ძალიან ლამაზი, სულ ღეჩაქით მახსოვს; ორჯერ მოიტაცა
ბაბუაჩემმა. თბილისში რომ გეამგზავრებდა, ყოველთვის გავკატანდა ხოლმე სიმინდს,
ლობოს, ხილს... ხშირად ამანათებს გვიგზავნიდა. მამა პრეზიდენტი რომ გახდა,
მანინაც, სულ ბუზღუნებდა, სანამდე უნდა გარჩინოო. აყვედრიდა, თავადებს მიწები
რომ ჩამოართვის და გლეხებს დაურიგებს. დედაჩემიც მამას ედგა გვერდით რევოლუ-
ციურ მოძრაობაში. არ იყო მამინ ადვილი ხალხის დარწმუნება, რომ საქართველო შეი-
ძლებოდა ყოფილიყო დამოუკიდებელი. მაინც ძველი შინი იყო შემორჩენილი. რუსეთს
თუ ჩამოვშორდით, მუსლიმანური სამყარო ისევ დაგვიპყრობსო. ჩემს მშობლებს არა-
ლევალური ცხოვრება უზღებოდათ, ქალაქიდან ქალაქში გადასვლა, ჩვენც, ბავშვები,
თან ეახლდით დედა-მამას. სულ მითინგები იმართებოდა. მახსოვს, მამინ ბაქოში ვცხოვ-
რობდით. ღამით მოვიდა მამა სახლში, გაშალვისა, მომეფერა; მე ტირილი მოვრთე, ვე-
რაფრით ვერ მივხვდი, ვინ იყო ეს შავწვერა კაცი. 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა
რუსეთი რომ შემოვიდა საქართველოში, მამას სულ ედარ ვხედავდით, იგი ფრონტზე
იყო თავისი ვაგონით. ჩვენი გამზრდელი ახლდა ყველგან, ნინუცა მამულაიშვილი. ჩვენ
ბებიასთან ვიყავით, ლანჩხუთში; როცა თბილისი აიღეს, მამამ ჩამოგვაციოხა და ბათუ-
მში წაგვიყვანა. ვგრძნობდით, დიდი ამბები ხდებოდა ბათუმში. მერე ყველა იტალიურ
გემზე აყვდით. ბავშვები პირველად ვიყავით გემზე და ძალიან გვიხაროდა. მამა და დე-
და საშინლად მოწყენილები იყვნენ, საქართველოს რომ ტოვებდნენ. კონსტანტინოპო-
ლში რომ ჩავედით, ეტყობა, ამ ამბებმა ძალიან იმოქმედა მამაზე და ისე ავად გახდა,
რომ ვეჭვობდით, გადარჩებოდა თუ არა. ცოტა რომ მოიკეთა, გავემგზავრეთ პარიზში,
სადაც დაგვხვდა საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი და დავაბინავა სასტუმრო-
ში. მეორე ღღეს მამა მიიწვიეს მთავრობაში და ყველაფერში დაწვრილებით გამოკითხეს,
თუ რა ხდებოდა საქართველოში. ფული არ გვქონდა, ამიტომ გადაედით პატარა ბინა-
ში. რაც მახსოვს, მამა სულ მუშაობდა, წერდა საქართველოს ამბებზე, ვიდეციებს ხდევ-
ბოდა. მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისშიც. ყველას ვეგონა, რომ დიდხანს არ გახტანდა
ასეთი მდგომარეობა, კომუნისტური მთავრობა საქართველოში დიდხანს ვერ იარსებდ-
და. 1923 წლის დამღევს მოგვივიდა წერილი, გვატყობინებდნენ, რომ ბებია ავად-
მამა ძალიან განიცდიდა ამას, სულ იმას აზრობდა, დავტანჯე დედაჩემიო, სულ საღდაც წა-

სული ვარ, ხან სხვა ქალაქში, ხან საზღვარგარეთო. მე ვუთხარი მამას, რომ აუცილებლად უნდა ჩავიდე საქართველოში ბებიას მოსანახულებლად. მამამ მითხრა, რა საჭიროა დალიან გინდა წასვლა, მისწერე წერილი აბელ ენუქიძეს მოსკოვში და სთხოვე ვინაა საქართველოში ჩასასვლელად. ასეც მოვიქეცი, გაუფუზავნე წერილი აბელ ენუქიძეს. მაღლე მივიღე მისგან პასუხი და ვიკა. ამ დროს შევიტყვეთ, რომ ხუნდაძეების ოჯახი სამუდამოდ ბრუნდებოდა საქართველოში. ისინი მაშინ ბერლინში ცხოვრობდნენ. ჩვედი ბერლინში, სადაც შეხვდით ირაკლი წერეთელს. იგი გვენათესავებოდა, მამიდაჩემის ნათლია იყო. როცა გაიგო, საქართველოში მივემგზავრებოდი, მომცა ფული და მითხრა, გოგითა ფაღავას გადაეცეო. მოსკოვის სადგურზე დამხვდა აბელ ენუქიძე და წამიყვანა გორკის ოჯახში, პეტოკოვებთან. თვით გორკი მაშინ იტალიაში იმყოფებოდა. ხუნდაძეები მოათავსეს საერთო საცხოვრებელში. პეტოკოვებმა ძალიან კარგად მიმიღეს. გორკის მეუღლე იმ დროს დიდ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწეოდა. დადიოდა ციხეებში, ეხმარებოდა პატიმრებს. ბევრ ქართველს დაეხმარა, პეტოკოვების ოჯახში უამრავი ხალხი დადიოდა. მთელი დღის განმავლობაში დუღდა სამოვარი, გაწყობილი იყო სუფრა, მოდიოდნენ ნაცნობები, მეგობრები, ზოგჯერ — უცნობებიც, ჭამდნენ, სვამდნენ, ღამეს ათევდნენ... მოსკოვში სამი დღე დავჩინო, შემდეგ მატარებლით გავემგზავრეთ თბილისში. გზაში მომპარეს ჩემოდანი, ძალიან პატარა და ძველი. ხუნდაძეებს ძვირფასი ბარგი ჰქონდათ, მაგრამ, მაინცა და მაინც, ჩემი ჩემოდანი წაიღეს. ამათ ძალიან დამეჭვა. აღბათ, იფიქრეს, რომ მამაჩემის დავალებით რაიმე საბუთები ან სხვა ნაწერები ჩამქონდა საქართველოში. სადგურზე დამხვდა დეიდა, რომელიც მასწავლებლობდა თბილისში. საღამოს მოვიდნენ ჩვენთან ნაცნობ-მეგობრები, უმეტესად ახალგაზრდობა. ყველას აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ პარიზში ქართველები, რას აპირებდა მომავალში მთავრობა. მე ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ მაინც უურაღდებით მისმენდნენ. თბილისში ჩამომაკითხა ჩემმა გამწრდელმა ნინუცა მამულაიშვილმა და მასთან ერთად გავემგზავრეთ ლანჩხუთში. ბებია ქრისტინე ეწოხ ჭიშკართან მგლოდა. რომ დამინახა, გული წაუვიდა. საღამოს შეგროვდნენ ნათესავები, მეზობლები, გაიშალა სუფრა. უცებ ჩვენს ეზოში ატყდა სროლა. სახლში შემოვიდა პატარა კაცი. ვიდაცამ თქვა, ეს ლანჩხუთის კომისარიაო. ის პატარა კაცი ძალიან გაბრაზებული იყო. ვინ ისერის აქო?! მე მგონი, თვითონ მათ ატეხეს სროლა, რომ ამ მიზეზით შემოსულიყვნენ ჩვენთან და გაეგოთ, რა ზღებოდა უორდანიებთან. ბებია ცოტა რომ მოიკეთა. მითხრა, წავიდეთ ბათუმშიო. იქ ბევრი ნათესავი გვყავდა. ჩავედით ბათუმში და სწორედ იქ გავიგეთ, რომ დაიწყო აჯანყება ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იყო 1921 წლის აგვისტო. ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა ორი კაცი და წავიყვანეს ჩეკაში ბებიასთან ერთად, შეგვიყვანეს ერთ ოთახში. გვერდით გვესმოდა სმაური, ყვირილი, ტირილი... გაკვირვებული ვიყავი, არაფერი არ ვიცოდი, რა ზღებოდა, და რა უნდოდათ ჩვენგან. ჩვენს წინ გაატარეს ორი ახალგაზრდა, ნაცემი და დასისხლიანებული. ესენი იყვნენ ძმები ჩიქოვანები. იმ ღამესვე ორივე დახვრიტეს. შემდეგ შეგვიყვანეს იმ ოთახში. მაგიდას პატარა კაცი უჭდა, ბებია რომ დაინახა, კიდევ უფრო დაპატარავდა. ლანჩხუთიდან იცნობდა ბებია მათ ოჯახს. რას მიბედავ მე შენო! — უკივლა ბებია იმ პატარა კაცს. მან დაგვიწყო მტკიცება, რომ ქრისტინეს შვილმა და მამაჩემმა მოაწყო ეს აჯანყება. მე ვუთხარი, რა სისულელეებს ლაპარაკობ, როგორ მოაწყობდა მამაჩემი ამ აჯანყებას, როცა თვითონ გამოემგზავნა საქართველოში, როგორ გაიმეტებდა ასე საკუთარ ქალიშვილს-მეთქი. ეს არის ხალხის სურვილი და მამაჩემი არაფერ შუაში არაა. შემდეგ ერთი ჩეკისტი შემოვიდა, შემოიტანა ტყვია და თქვა, ეს ტყვია ვიპოვე იმ სკამზე, სადაც ეს ქალიშვილი იჯდაო. მე ვუთხარი, რა სულელი ხარო.



თუ იარაღს მოვიტანდი, მოვიტანდი რევოლვერს, ტყვიით რა უნდა გამეკეთებინა. შემდეგ ავფიქვანეს ზემოთ და ჩავვკეტეს ცალკე ოთახში. სხვა ტუსაღები ხარდაფეხში იყვნენ. დამე გვეხმოდა, როგორ შემოდიოდა ეკლში საბარგო ავტომობილი, მიყავდა სადღაც ტუსაღები, შემდეგ ისმოდა სროლის ხმა. ჩვენთანაც ამოვიდნენ რამდენჯერმე. ძალიან მეშინოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი, პირიქით, ვუყვარიდი ჩეკისტებს, რას გვაწუხებთ, რა გინდათ ამ ავადმყოფი ქალისგან, როგორც კი ჩავალ პარიზში, ყველაფერს მოვკვებები თქვენს შესახებ. ვამჩნევდი, მამაჩემის სახელს ჯერ კიდევ პატივს სცემდნენ საქართველოში. ბებიას მაღალი სიცხე ჰქონდა. ჩეკისტებსაც, ალბათ, შეეშინდათ, ციხეში არ მოკვდესო. საქმე იმით დამთავრდა, რომ წინადადება მომცეს, ახლავე, აქედანვე დავბრუნებულიყავი პარიზში. ასეც მოვიქეცი, ჩავვკეი გემში და გავემგზავრე საფრანგეთში. რა თქმა უნდა, ბებიას შევთავაზე, წამოსულიყო ჩემთან ერთად, მაგრამ სასტიკი უარი სთქვა, მე აქაურობას, ჩემს სახლ-კარს, მეზობლებს ვერაფრით ვერ დავტოვებო...“

...ჟორდანების ოჯახიდან მხოლოდ რეკებს არ ენახა წინაპართა სამშობლო. თუმცა მის გარშემო ყოველთვის იყო პატარა საქართველო—ლევილი. ქართულად მოლაპარაკე ადამიანები, ქართული ვაზი, ქართული სული, ქართული სევდა და იმედი, რომ ოდესმე თვითონ თუ არა, მათი შვილები... მაგრამ იყო სხვა ცხოვრებაც, — პარიზი, სასწაულოდით ქალაქი, სტუდენტური წლები, ფრანგულ ენაზე ახსნილი პირველი სიყვარული... ზშირად ეკითხებოდნენ, საკუთარი თავისთვისაც დაუსვამს ეს კითხვა, ალბათ, ვინ იყო იგი, ბოლოს და ბოლოს, ქართველი თუ ფრანგი, თუ არც ერთი და არც მეორე?

მეც ეს შევეკითხე:

— ბატონო რეკებ, თქვენ დაიბადეთ პარიზში, სადაც გაატარეთ თითქმის ორმოცი წელი, უკვე ოცდაათი წელია ცხოვრობთ და მოღვაწეობთ ნიუ-იორკში; ფრანგები, ალბათ, ფრანგად გივლიან, ამერიკელები — ამერიკელად. სინამდვილეში?

— მე პარიზში დავიბადე, იქ მივიღე სწავლა-განათლება, გენიარე ფრანგულ კულტურას, ვაწროვებ ფრანგულად, ამ ქვეყანაში გავატარე ოთხი ათეული წელი. უნდა ვითხრათ, რომ ქართული ემიგრაცია სახეებით სწორად მოიქცა, როცა საცხოვრებლად საფრანგეთი ირჩია. მხოლოდ ამ ქვეყანაში შეიძლებაოდა ჩვენი ქართველობის შენარჩუნება და ამისათვის მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ამერიკაში კი ცხოვრების სულ სხვა წესია; ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა; აქ ყველა ეროვნების წარმომადგენელი, იაპონელია ის, გერმანელი თუ იტალიელი, ამერიკელად ითვლება, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ისაა, როგორადაც მას თვითონ მიაჩნია თავი. მე ვიცი, რა ოჯახში დავიბადე, ვისი შვილი ვარ, ვინ და საიდან არიან ჩემი წინაპრები. თუმცა ფრანგულად, ინგლისურად, ესპანურად უფრო უკეთ ვლაპარაკობ, ვიდრე ქართულად. ასე გვზრდიდა დედაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეროვნებით რუსი იყო. ასე ფიქრობს უკლებლივ ნორჟორდანიას დღევანდელი შთამომავლობა. ძალიან გვიანდა, ასეთად გვიგულოს ჩვენმა ისტორიულმა სამშობლომ — საქართველომ.

— რამდენიმე სიტყვით თქვენს ოჯახზე?

— დედაჩემი — ანა ივანეს ასული კორენევა პირველი ქალი იყო, რომელმაც პარიზის უნივერსიტეტი დაამთავრა იურისტის დიპლომით; სხვათა შორის, ჩემი და ნათესაიც; მანაც, პირველმა ქალთა შორის, დაამთავრა პარიზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ასმათი და ნათელა ახლაც პარიზში ცხოვრობენ. მყავს სამი შვილი, ვაჟი — ზოლტანი, ქალიშვილები — ქრისტინა და ნიკოლი, ისინი ბოლომდე პარიზელებად დარჩნენ. ნიკოლი ნაშეოფია თბილისში, უნივერსიტეტში გადიოდა სტაჟირებას ქართველოლოგიაში.

მეფეს ამერიკელი მეუღლე — მარგარეტ ბექმანი, იგი ექიმი-ფსიქოლოგია და საკმაოდ მაღალი რეპუტაციით სარგებლობს ნიუ-იორკში.

— როგორი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ნოეს შვილებთან?

— პოლიტიკურ ბრძოლებში მამა საკმაოდ მკაცრი და პრინციპული იყო, შვილებთან ურთიერთობაში კი რბილი და მიმტევებელი. მისგან ხმამაღალი სიტყვა არ მას სოვს, თუმცა ჩვენ ძალიან განესვენადებოდით ხასიათით, პრინციპებით, არც პირად ცხოვრებაში ვიყავი მთლად სანიშნო.

ქალბატონი თინა მაწვდის გაზეთს, სადაც ვკითხულობ, რომ 1938 წელს ბატონ ნოეს შვილებისა და შვილიშვილებისათვის „საგულისხმეოროდ და სახელმძღვანელოდ“ დაუწერია „წიგნი ოჯახში საკითხავი“, სადაც ასეთი სტრუქტურაა: „ანლოვდება ჩემი გზის ბოლო, საბოლოო ნავთსაყუდელი შორს არ არის და, როცა ვინელები უკან, როცა ვფიქრობ, რა მრჩება, რა რჩება ჩემი ქვეყნიერებაზე. — ვერაფერს ვხედავ, გარდა ერთისა: ჩემი შვილებასა, ჩემი შთამომავლობისა, რომლითაც მე ვუკავშირდები კაცობრიობას, ვაგრძელებ ჩემს მოღვაწეს, ჩემს სისხლსა და სორცს, მხოლოდ ამით ვგრძელებ და სიცოცხლე და იმედება უკვდავება“.

ბატონ რეკებს შევასწავლო თბილისში გამართული ბაღების საღამო, რომელიც საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო, მის მიერ როიალზე შესრულებული ქართული მელოდიებით. ამიტომ ბევრს აინტერესებს, მუსიკა მისთვის პროფესიაა თუ გატაცება?

— ერთიც და მეორეც. ყველა პროფესია უნდა იწყებოდეს გატაცებით, სიყვარულით. თუმცა პარიზში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ერთდროულად ვმუშაობდი მუსიკაში, ძირითადად ქართულ თემებზე. ძალიან ვარ დავალებული კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარისაგან, რომელსაც, ვფიქრობ, საქმარისად არ იცნობენ მის სამშობლოში. რამდენიმე წელი ვსწავლობდი მადრიდის კონსერვატორიაში.

— შეზღუდრიხართ ესპანეთში იქაურ ბაგრატიონებს?

— არა თუ შეზღუდრივარ, ვმეგობრობდი ირაკლი ბაგრატიონთან. იგი საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო, ენათესავებოდა ესპანეთის სამეფო გვარს — ბურბონებს. ძალიან დაგვხმარა ქართველებს. რომ მადრიდში გვესწავლა, სტიპენდია ჯაბადარისაგან ჩვენთვის. პარიზშიც ბევრჯერა ნამყოფი. მას სოვს, ომის წლებში თქვენმა მოგვარებმა, გოგი ჩხაიძემ, გენერალი კენიგაძის ქალიშვილი შეირთო ცოლად. ქორწილში მოვიდა ირაკლი ბაგრატიონი თავის იტალიელ მეუღლესთან ერთად.

— საინტერესოა, როგორ ეგუებოდნენ ერთმანეთს საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე და რევოლუციონერ დემოკრატი ლიდერის ვაჟიშვილი?

— შესანიშნავად. ისე, როგორც ქართველებს სჩვევიათ, საქმესაც ვაკეთებდით და ღროსაც ვატარებდით. სამწუხაროდ, ირაკლის შვილებს ისე კარგად არ ეცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ვაჟიშვილი გიორგი მალე საქართველოში აპირებს ჩამოსვლას.

— ვგრძნობ, რომ ძალიან გიყვართ ზღვა, როგორც ცნობილია, პარიზი ზღვაზე არ მდებარეობს.

— მაგრამ არც თუ ისე შორსაა ზღვიდან, მანქანით საათნახევარში ლამანსზე ხარ მუსიკის შემდეგ საზღვაო სპორტი ჩემი მეორე გატაცება. ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა შეჯიბრებაში. ამერიკაში ცხოვრებამ კიდევ უფრო დამაახლოვა ზღვასთან. 48 წლი ვიყავი, ერთხელ კიდევ რომ შევედი იენის უნივერსიტეტში, ორი ათასიდან თერთმეტ მიგვიღეს. საერთოდ, ამერიკა საქმეში ვერ იტანს ღილეტანტიზმს. ვიწრო სპეციალურ უფროსა დაფასებული. რაც იცი, მით უფრო, სხვებს თუ ასწავლი, უნდა იცოდეს საფუძვლიანად. ასე მოვიპოვე პროფესორობის უფლება; ნიუ-იორკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში დასწავლი სტუდენტებს ზღვაოსნობის ისტორიას. სწავლება სეზონურია, ძირითადად გემებზე გვიხდება ყოფნა, პრაქტიკის გავლა.



— როგორ გგონიათ, საზღვარგარეთ საქმოდ იცნობენ საქართველოს, მის ახლო წარსულს, დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვინაობას? გრძელდება თუ არა თქვენადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იმის გამო, რომ ნოე ჟორდანიას შვილი ხართ?

— საფრანგეთში უფრო გვიცნობენ, სავსებით გასაგები მიზეზით. ძველი ემიგრანტები, მათი შთამომავლები ძირითადად პარიზის გარეუბანში — ლევილში ცხოვრობენ. ამერიკაში კი ეს არავის აინტერესებს, არც ის, თუ ვისი შვილი ვარ. შედარებით უკეთ იცნობენ საქართველოს ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში, აგრეთვე უნივერსიტეტების იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ საბჭოთა კავშირის და მასში შემავალი ხალხების ისტორიას. არის ნიუ-იორკში ქართველთა მცირერიცხოვანი სათვისტომო, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს. 1924 წლის გამოსვლების და ზოგიერთი სხვა თარიღის აღსანიშნავად, ზაფხულობით ვიკრიბებით ნიუ-იორკთან ახლო მდებარე პატარა სოფელ ალავერდში. ვმეგობრობდი და ახლაც ვმეგობრობ კონსტანტინე სიღამონერის თვითნა, რომელიც ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტში საქალაქო ტრანსპორტს ხელმძღვანელობდა, გივი და ოთარ ზაღალასტანიშვილებთან, კოლია ქვარიანთან და სხვებთან. ამ ბოლო დროს პრესა, ტელევიზია შედარებით მეტ ადგილს უთმობს საქართველოს ამბებს.

— როგორც ვამჩნევ, თქვენ პოლიტიკოსი არა ხართ. ამით ნაკლებად გავხარო მამათქვენს, მის თანამოაზრეებს.

— მართალი ბრძანდებით, მე არა ვარ პოლიტიკოსი, არც მოწოდებით. არც ხანიათით და ცხოვრების წესით, არ ვეკუთვნის არც ერთ პარტიას, მაგრამ, როცა საქმე ეხება საქართველოს, მე მაქვს საკუთარი პოზიცია და პრინციპები, ვარ იმათ მხარეზე, ვინც იბრძვის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; ძალიან მიხარია და ვამაყობ, რომ წინაპართა სამშობლოში ვიმყოფები ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ქართველი ხალხი იწყებს ახალ ცხოვრებას.

— თქვენ პირველად ხართ წინაპართა მამულში, ასეთივე წარმოდგენა გქონდათ საქართველოზე, როგორიც იგი იხილეთ?

— დიახ, ისეთი შვედრება მაქვს, თითქოს წინათაც ვყოფილვარ და მიცხოვრია საქართველოში. ცოტათი კი მიკვირს, ასეთ რთულ ვითარებაში, როგორ შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა ეროვნული ტრადიციები, კაცთმოყვარეობა, სტუმრისადმი პატივისცემა! განსაკუთრებით მახარებს ახალგაზრდებთან ურთიერთობა უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც მიწვეული ვარ ლექციების წასაკითხავად, თუმცა ვგრძნობ, რომ ყველაფერი წესრიგზე არაა სტუდენტთა სწავლა-აღზრდის მხრივ. ძალიან განვიცდი, როცა ვაჭეთები; ტელევიზია იტყობინებთან დანაშაულობათა შესახებ, თავისუფლება ანარქიაში არ უნდა გადაიზარდოს. საჭიროა მეტი ეროვნული თვითშეგნება და კიდევ მოთმინება და მოთმინება; არცერთი დიდი საქმე ერთი ხელის დაკერით არ გაკეთებულა.

თავდაპირველად გამოიკვირდა, სინანულით რომ თქვა, ზეირიანი ღვინო ვერ აღმოვაჩინე თბილისშიო. რაღაც არ მახსოვს, საქართველოში ჩანოსულ სტუმარს ჩვენებური ღვინო ეძაგებინოს; პირიქით; საფრანგეთსა და ესპანეთში ნაცხოვრებ კაცს, მართალია, ღვინოთ ვერ გააკვირვებ, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რასაც გულისხმობდა ბატონი რეჟები, — ვაზის ქვეყანაში ღვინო ყოველთვის და ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მაღაზიებში და არა მარტო ოჯახებში. ასეა ყველგან. ამიტომ შეგწუხნდი, როცა ოჯახში მესტუმრა და მხოლოდ „აღება“ აღმომაჩნდა სუფრისათვის. მოულოდნელად საოცრად კმაყოფილი დარჩა ამით, ლევილში სწორედ ასეთი ვა-



ში ხარობსო, მამაჩემი მხოლოდ იქაურ „ადესას“ ეტანებოდაო.

ერთი საათი არაფრით არ გვეყო საუბრისათვის. ქალბატონი თინა სულ გვაჩქარებდა, მატარებლებმა არ გაგვასწროსო.

— გაგვასწრებს და ლანჩუტში დავეწვიოთ, — ამშვიდებდა რეკები.

ასე მხოლოდ ქართველები იტყვიან.

მატარებელი რომ დაიძრა, მაშინ ვიგრძენი, თუ რამდენი პასუხაუცემელი კითხვა გაიყოლია თან რეკებ შორდანიაში. თავს იმით ვიიმიედებ, რომ პირობა დადეთ, ერთი წლის შემდეგ შევხვდებით ბათუმში, სადაც გადავიხდით მისი დაბადების 70 წლისთავს. ბაქთშიმდინა გამგზავრების შემდეგ:

კიდევ ორი კვირა დაჰყო თბილისში, განაგრძობდა ლექციების კითხვას უნივერსიტეტში, უცხო ენათა ინსტიტუტში, იყო გაუთავებელი შეხვედრები ოფიციალურ ინსტანციებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში, ნათესავებთან, სრულიად უცხო ოჯახებში...

ამასობაში გაზეთმა „აპარამ“ გამოაქვეყნა ვრცელი ნარკვევი „მამის ნაკვალევზე“, რომელშიც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი რეკებ შორდანიაში. ზოგი ნათესავი იყო მისი, ზოგიც კიდევ თავიანთ ახლობლებს ეძებდნენ პარიზელ ემიგრანტთა შორის, მათ ნაშიერთა გზა-კვალს; გამოჩნდნენ აპარელი შორდანიებიც; ვიღაცამ იმის გამოც კი ღმირეკა, რომ თურმე ბათუმში ერთი კაციც ვერ უნახავს, რეკები რქმევდა, მე მქვია რეკებიო; მთხოვდნენ მის მისამართს, ტელეფონის ნომერს თბილისში...

ბატონი რეკების გამგზავრებიდან მეორე თუ მესამე დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ქალაქ ბათუმში რამდენიმე ქუჩას შეეცვალა სახელწოდება: სვერდლოვის ქუჩას ეწოდა ნოე შორდანია სახელი.

აპარის ტელევიზიამ, რადიომ რეკებ შორდანია ბათუმში ყოფნას მიუძღვნა ჟურნალისტ ანზორ ზამბახიძის მიერ მომზადებული გადაცემები.

ვაზეთები, ვიდეო და რადიოკასეტები, ფოტოსურათები თბილისში გაუფრთხანეთ ბატონ რეკებს, რამაც იგი უსაზღვროდ გაახარა. მთხოვა, მოკითხვა და გულწრფელი მადლობა გადაეცა ყველასათვის, აგრეთვე ქალაქის იმ ხელმძღვანელებისათვის, ვინც ასე დააფასა და უყვდაფყო მამამისის ხსოვნა.

იმ დღეებში ბათუმის მაღაზიებში ძლივს ვიშოვე ნოე შორდანია „რჩეული წერილები“ და მოგონებათა წიგნი — „ჩემი წარსული“, როგორც სიტყვა ჩამოვარდა სავეტერო მონორარზე, ბატონმა რეკებმა მითხრა, ამის თაობაზე არც მიფიქრიაო. მაინც ვუთხრე, ვაერკვია ეს საკითხი, სავეტერო უფლებათა სამმართველოს მისამართიც მივასწავლე. თბილისიდან დაბრუნებულმა ქალბატონმა თინამ მიაშბო, რომ წესით შემგვიდრები ავტორის გარდაცვალების შემდეგ 25 წლის განმავლობაში სარგებლობენ მონორარის განსაზღვრული ნაწილის მიღების უფლებით, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოცემლებს ძალიან მოუწოდებიათ, რომელიდაც საერთაშორისო სავეტერო უფლებათა კანონი აღმოუჩენიათ, თუ „როგორც ვამონაკლისის“ პრინციპით უმოქმედებიათ, დაუდგენიათ ნოე შორდანია შემგვიდრებისათვის სავეტერო მონორარის განსაზღვრული ნაწილის გაცემა. ამის შედეგად გაჩნდა იდეა, ბატონ რეკებს შეუკრებია შორდანია მთელს სანაოესავო, ყველაზე ახლობელი ადამიანები და გამოუთქვამს სურვილი ნოე შორდანია ფონდის შექმნის შესახებ. იქვე შეუდგენიათ ამ ფონდის წესდება, მისი მიზანდასახების წყარო, მართვა-გამგეობის ფორმა, დასაჯილდოებელ ნაწარმოებთა შეჩვენის, პრემიების მინიჭების წესი.

...პარიზში გამგზავრების წინ რეკებ შორდანია ერთხელ კიდევ დამიდასტურა მისი მთავალი შეხვედრის დრო და ადგილი, — 1991 წლის დეკემბერი, ბათუმი.

ასე რომ, მომავალ შეხვედრაზე, ბატონო რეკებ!

ნანა ჰვანაძე

მცველად და ფარად

იდიდე მარად, ჩემო ქვეყანავ,
 მზით ჩალვარულ თავთუხის ყანავ!
 ქართველი ხალხის ჭიგოს ხვეულო,
 ვაზის ფოთლებში გამოხვეულო.
 შენ ერთო მუჰავ, ერთო მტკაველო
 მარაბდის ზეცავ, კრწანისის ველო,
 ნარიყალო, ციხეო ძველო,
 იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,
 გიორგის ხმალო ნაპერწყლიანო,
 დიდი აკაკის წმინდა სახატევ,
 დიდი ილიას მიწავ ცვრიანო,
 ჯადოსნურ სხივით გქარგეს და გხატეს
 ათასი ფერით ათას თილისმით
 და ქართლის დედის ჯამში ირწევა
 გულმოჩუხჩუხე შენი თბილისი.
 დგას გორგასალი მცველად და ფარად,
 ჩემო სამშობლოვ, იდიდე მარად!
 ნარინჯიანო, თურინჯიანო,
 ჩაის ფოთლებით გვესება პეშვი,
 შოთას პწკარების ოქროს ყანაში
 ღვივის თავთუხი თამარის ეშხით.
 დილა გინამავს ოქროს ხალიჩას,
 დილა გინაბავს ვეფხვის ხალიჩას,
 ღამით ირმების რქებზე იძინებ,
 ვერ დაგაჩოქეს, ვერ დაგამუხლეს,
 ასჯერ გასტეხე უღელი მძიმე.
 იდიდე მარად, ამაღლებულო
 სამშობლოვ ჩემო ცად აწეულო,
 გმირთა დიდების დროშავ გაშლილო
 გმირთა აკვნებით გადარწეულო.

მტკვარო, არავგო, ცელქო ლიახვო,
ტეიშო, ყვარელო, პატარძლეულო...
დგას გორგასალი მცველად და ფარად,
ჩვენო სამშობლოვ, იდიდე მარად!

ქალაქში შემოდის ახალი წელი...

გუძღენი ბავშვობის მეგობრებს

მე თითქოს მესმის კვლავაც „ალილო“
და მაკრთობს თქვენი ბავშვური ხმები.
სადა ხართ ახლა, თმებდათოვლილნო.
სადა ხართ-მეთქი? — მე გეკითხებით.
თოლის ფრთების ტაცანი მესმის.
ტალის სუნთქვა და ჩხრიალი სილის.
ჩიტებმა ფანტელის ძაფი გააბეს
თუ ვიოლინოს მთრთოლვარე სიმი?
ყველას სახლებში ცხვებოდა რაღაც
და ყველას სახლში ელავდა ცეცხლი,
და ციმციმებდა პატარა ტბასთან
ტირიფის თმებში ძაფები ვერცხლის.
ქალაქში შემოდის წელი ახალი,
უთვალავ ვარსკვლავის მზისფერი ალით,
ყვავილის თეთრი ფიფქით დამშვენდა...
ყველა ქალაქის ყველა ბავშვებო
დიდება თქვენდა!
დიდება თქვენდა!

ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმის
რუსთაველის სახელობის
ინსტიტუტში 1954 წელს

მღელვარებს ბოსფორის ტალღები
თუ ეს ახალგაზრდების ზღვაა.
ამდენი მზეჭაბუკის ხილვა
სიხარულზე მეტია, რაღაც სხვაა.
ლივლივა ნაპირზე მეთევზეები
ბადეებს შლიან
თუ თეთრად ფრიალებს

ბავშვების პერანგის თეთრი არშია?

— მათებრ ლალი ჭაბუკი გაიზრდება

ჩემი მეჭმედი, დედის იმედი, —

ფიქრობს ჰიქმეთი.

უცებ მოეჩვენება მგოსანს,

ფირაე-ჰანუმი, ღიმილში ხვევდა.

სინარულის ჟამს უფრო მწვავეა

სამშობლოს სევდა.

თეთრი გოგონები თეთრ ვარდებს აწვდიან,

სინარულის ტალღამ ჭაბუკები ისევ

გადაარწია,

ისევ გუგუნებს დარბაზი:

— გაუმარჯოს ნაზიმ ჰიქმეთს!

— სამშობლოს ნახვა მელირსოს იქნებ.—

ნატრობს მგოსანი და

უხილავ კოცნას ყველას უგზავნის

სტამბოლის ბილიკებისაგან

მიმავალი მგზავრი.

ბოსფორში ისევ აბრჭყვიალდა

გემების სანათურების ალი,

მას ხომ ყველგან ხედავდა

მშვიდობის მომღერალი.

ბლოკადა და კაწია ყვავილი

გარეთ შემაზრუნენი წივილით

სკდებოდნენ ყუმბარები

და ქუჩაში აღამიანთა

განსაცდელი ძრწოდა...

როცა ტანია სავიჩევას

წვრილი თითებით

გოგონამ კომპოზიტორს

ყვავილი მიაწოდა...

შეუერთა შესტაკოვიჩი

მიწის პაწია მშვენებას,

ფეხზე წამოდგა უცებ ორკესტრი...

უმწვანეს ფოთლების შრიალი ესმით.

კომპოზიტორს წამწამი დაუსველდა
უწმინდეს რთვილით...

ღმერთო, ამ ჯოჯოხეთურ
ცეცხლსა და ყინვას
როგორ გადაურჩა პაწია ყვავილი?!
თითქო ირწეოდა ქარვისფერი
პურის ყანა
და თავთუხის სუნთქვა შემოჰქონდა
მობერილ ნიაგს.

ასწია ხელი ღირიყორმა და
კვლავ აგუგუნდა
ლენინგრადის ბლოკადის
სიცოცხლის სიმფონია.

ოღონდაც...

ნანა კანდელაკს

ყველა ბავშვის სიხარული გვინდა,
ღედის გულები ერთმანეთს გვანან.
დიდი, დიდი გულები გვაქვს,
ძვირფასო ნანა!

იგი ყველა ბავშვის ფიქრს უაღერსებს
და უფაჩიზეს ოცნებებს იტევს,
იდუმალ ნატვრით ყველგან ახარებს
უმშვენიერეს ალისფერ ტიტებს.

ყველა ქვეყანა ხარობდეს უნდა,
ყველა ღედის გულს იდუმლად იყოფს,
ოღონდაც ყველგან
მშვიდობა იყოს!
ოღონდაც ქვეყნად
მშვიდობა იყოს!

სიბრძნე, მშვენიერება ქალის

ქალის სწავლა-განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქალი პატარა ნაპერწკალს ჰგავს, რომელსაც შეუძლია ლამპარი ანთოს თავისი ერის მშვიდობიანი მომავლის გასანათებლად, შეეკავშირდეთ ისევე, როგორც თამარ მეფის დროს ვიყავით...

გულოლა.

თამარ დედოფლის ლამპარი
ქართველთა ქვეყანას შუქს ფენდა,
ეფინა მწვანე ველს ციალი,
ნაირფერ ყვავილის ფერთა,
ეზვია ვენახის გრებილი,
ვაზების ძარღვების ფეთქვა,
ელავდა რაინდთა ხმლები და
მას საქართველო ერქვა.
რვა საუკუნის შემდეგ
ღვთაებრივ განგის პირას
ცხრა მილიონმა ხალხმა
ერთხმად შეჰფიცა ინდირას.
ექნება მშვიდობის შუქ-ბრწყინვა
მისი ლამპარის აღის,
მუდამ დიდებად ექნებათ
სიბრძნე მშვენიერება ქალის.
ღღეს კოსმონავტი ქალები
ვარსკვლავის საკრეფად ადიან...
„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს თუნდა ხვადია“.



ე მ რ უ ლ ა

წიგნი მორა

რვა წლის წინ ყურნაღმა „ქორომა“ დაბეჭდა მწერალ რამაზ სურგულაძის ვრცელი კინომოთხრობა „ემრულა“. მალე ეს ნაწარმოები „საბჭოთა აქარაძე“ ცალკე წიგნად გამოსცა. იგი ძალზე მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

წიგნის ბოლოთქმაში ავტორი მკითხველებს აუწყებდა: „ემრულა მაღაყ-მაძის სიცოცხლის ბოლო წლებში აზრთა სხვადასხვაობის გამო მოთხრობაც დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სთვებს. ზოგი საბუთით ის ცალმხრივ სიყვა-რულს ემსხვერპლა: დაპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გარდაიცვალა, თუ მოკლეს. იმასაც ამბობენ, ბოქილდადებული აბრაგი გზიდან გაექცათო, ან კიდევ მეგობრებმა გამოიხსნეს და მისი სიკვდილით აღესრულაო.

თუ ოდესმე შევძელით სინამდვილის დადგენა, მომავალ მოთხრობაში შე-საძლოა ემრულას ღამაში ბიოგრაფიაც გაგრძელდეს“...

უკანასკნელ წლებში ავტორმა შეკრიბა სრულიად ახალი, კიდევ უფრო დამაჯერებელი თქმულებები, ისტორიული საბუთები და... ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი ბრძოლის სახელოვანი გმირის ღამაში ბიოგრაფიაც გრძელდება.

— ათი დღე ენვერი არ ჩანდა, — თქვა ბექსიამ და ტანტზე გვერდი მოიცვალა, — ახლა უტარო დანასავით ნიაზი გადაიკარგა, არავინ იცის, სად გაიჭრა, სად ვეძებოთ ეს ბიჭი. ერთი კაცით სულ ნაკლები ვართ.

— ერთი კაცი მარქაფში უნდა გვყავდეს, რაზმიც იმით უნდა შევაგ-სოთ. ოცდაათზე ნაკლები არ უნდა ვიყოთ, ხომ გახსოვს ჩვენი პირობა?

— მახსოვს, როგორ არა, მაგრამ ჯერ ნიაზი მოვნახოთ, თან ვიფიქ-როთ, მარქაფში ვინ გამოგვადგება.

ემრულა ფანჯარასთან მივიდა, მზერა შორს გაექცა.

— გულიაშვილი ხომ არ მოგვეყვანა? — თავად შესთავაზა ბექსიამ.

— რომელი?

— ბარეგანიდან რომაა, ჯემალი.

ემრულას გაეღიმა.

— მაგას ჩემს გამო რაც სჭირს, ისიც ეყოფა, დუშმანები მე მამს-გავსებენ და ერთ-ორჯერ კინალამ შემოაკვდათ მშვიდობიანად მიმავალი კაცი. ახლა აქ რომ მოვიყვანოთ, ვეღარ გავგარჩევნ და ვინ იცის, რა ფი-თერაქს აკიდებთ.

— იქნებ პირიქითაა. თუ ერთმანეთში ვერ გარჩევნ, არ ხჯობია,

ჩვენთან შეაფაროს თავი, ვიდრე უაზროდ ნასროლ ტყვიას შეეწიროს?

გმრულა ერთხანს ღუმაღა.

— ბაძგირეთში ერთი დეიდაშვილი მყავს, სელმან ცვარიძე, გულადი და გამჭრელი კაცია, იქნება შემოვიერთოთ.

— სანდოა?

— ძნელია ამის თქმა. ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, სანდოაო, ვინმეზე ვერ იტყვი. მე მაინც შინაური, ნათესავი კაცი მიჩვევია.

— თუ გული გეუბნება, მოვიყვანოთ, ერთი დიდი ძალა შემოგვემატება. მოსალაპარაკებლად თავად შენ უნდა წახვიდე.

— მეც ასე ვფიქრობ, პირადად ვნახო, სხვას არც გაყვება... ისე, ერთი რამე კი მაფიქრებს.

— რაო? — დაინტერესდა ბექსია.

— თავრობის კაცებთან ახლოს უნდა იყოს. ამასწინათ სეიფულა-ნაჩალნიკთან ერთად ვნახე, ტყეში მიდიოდნენ ცხენებით, შორიდან ვაღე-ვნებდი თვალს.

— რა ვიციოთ, რაზე მიდიოდნენ. იქნებ ჩვენთვის კიდევ სჯობდეს სეიფულასთან მისი ასეთი შეამხანაგება.

— ვნახოთ, დრო გვიჩვენებს.

* * *

ბორჩხიდან ართვინისაკენ მიმავალი გზა სულ აღმართ-აღმართ მიდის, თანაც ისე მიიკლავნება, რომ მგზავრის თვალწინ გამუდმებით მოჩანს, სად იწყება და რომელ ხეობაში იკარგება მისი ბოლო. რაც უფრო ზემოთ აღიხარ, თვალსაწიერი კიდევ უფრო ფართოვდება, სულ ახალ-ახალი მწვერვალები ჩნდება, აგერ არტანუჯის მიმზიდველი ხეობა მოგიახლოვდა, ჭოროხი სადღაც ქვემოთ შორს, შორს მიექანება. კიდევ რამდენიმე მოსახვევი და ართვინიც გამოჩნდება. მთის თვალწარმოტაც ფერდობზე ბალებს შორის შეფენილან ამ ქალაქის თეთრი სახლები. ჩვენგან, მართლაც ჩიტის გადასაფრენიდან, ქვემოთ, ზედ მდინარესთან, კლდეზე მოჩახს ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები და მაღალი კოშკი. მოსახვევი მოსახვევს ცვლის. გზა თავქვე ეშვება. ბუნების მომაჯადოებელი სილამაზე რომ არ გატყვევებდეს, უფსკრულზე დაკიდულ ამ გზაზე ძნელია ადამიანმა სიმშვიდე შეინარჩუნო, იმდენად ვიწრო და მიხევულ-მოხვეულია იგი. აი, მარჯვენა მხარესაც გამოჩნდა ციხე-კოშკის ნანგრევები, მარცხნივ კი, კლდეებს შორის, არტანუჯისაკენ მიმავალი გზა მიიკლავნება.

დაღმართი გათავდა. წელან ქალაქი თქვენს თვალწინ რომ იყო, ახლა იგი თქვენს ზემოთაა. გზა ისევ და ისევ კლდეებშია გამოკვეთილი და მდინარის პირას იგი ერთგვარ სანაპიროს ქმნის, ხიდთან კლდოვანი კედელი

დასრულდა. ფეხით მოსიარულეები ხიდს როგორც კი გაივლიან, იქნა სას-
ტუმრო „ჭოროხთან“ ცხენებს იჭირავენ და ისე გაემართებიან ჩვენი
საკენ, ქალაქამდე კი ერთი საათის გზაა. ზოგი დაგვიანებული მგზავრი სა-
სტუმროში ღამის გათევასაც არჩევს.

აქ, ამ ადგილას, ბუნებამ თავად უკარნახა ადამიანს გაეკეთებინა ხიდი
და აეშენებინა ციხე-სიმაგრე. ვიწრო კლდოვანი ხეობა, ბუნებრივი საძირ-
კველი ციხისათვის, ნამდვილი სადარაჯოა. ძველთაგანვე აქ იყო თავდაც-
ვის ციხადელი, ხიდიც იყო და ქართველი მცველებიც იდგნენ. ისინი ჯერ
ასკერებმა, ახლა კი სალდათებმა შეცვალეს.

რუსების მოსვლამდე აქ შესანიშნავი ვენეციური ხიდი, წარსულის
ძვირფასი ნაშთი, შემორჩა. იგი გზის გაფართოების დროს ააფეთქეს.

ბუნების სიუხვე თვალსა და გულს ახარებს. აქეთ უზარმაზარი თუ-
თის ხეებია უჩვეულო დიდი ნაყოფით, იქით — წყნარი, ვერცხლისფერი
ზეთისხილის ხეები, სასწაულებრივი ხვიარა მცენარეები და ყურძნის
რტოები, ალისფერი შინდი და ბროწეული, ატმები და ლელვის ხეები.

ღიახ, ავ თვალს არ ენახვება ართვინის შემოგარენის, ჭოროხის ხეო-
ბის სილამაზე და სიმდიდრე, მაგრამ ემრულა ამას ვერ ნახავს, რამდენი
წელია არც უნახავს. დღის სინათლეს ემალება, ალიონზე ტყის სიღრმეში
თავის სავანეში მიიჩქარის, დაბინდდება და მხოლოდ მაშინ იწყება მისი
საქმე. მთვარეა მისი მეგობარი...

მთვარე აშუქებს ყოველივე მარადიულს, მისი სხივები ელამუნება
ჭოროხის აქოჩრილ ტალღებს, ცამდე აზიდულ კლდეებს, ანათებს კოშკის
დაკბილული ქონგურების სილუეტებს. აგერ, ხიდთან, შაშხანიანი კაცი
გამოჩნდა.

ცხენოსნები არ შეჩერებულან, პირდაპირ გუშაგისაკენ გაემართნენ.
იგი შუა გზაზე გამოვიდა, შაშხანა გადმოიღო, ფეხები გაბაჯა და თავადაც
გაოჯგმა.

— Кто вы, документы. — რიხიანად ბოძანა.

ემრულას ხმა არ გაუცია, ჩოხის უბიდან წიგნაკი ამოიღო და გუშაგს
გაუწოდა.

სალდათმა ათასეულის მეთაურის საბუთი გაშალა. მთვარის შუქზე
შეატრიალა და დაეინებით დააცქერდა.

— А ваши документы? — მიუბრუნდა მხლეგლებს.

— ისინი ჩემთან ერთად არიან. — უპასუხა ემრულამ.

— Что, что? — ვერ გაიგო სალდათმა.

— ისინი ჩემთან არიან, მე მახლავან. — გაიმეორა აბრაგმა.

სალდათმა ვერაფერი გაიგო. შეტრიალდა და წიგნაკიანად ჯიხურში
შერგო თავი.

ცოტა ხნის შემდეგ საგუშაგოდან ორნი გამოვიდნენ: ცხენოსნები
ნამძინარევი, წვერაბურძენული ოფიცერი მიუახლოვდა.

— საიტ მიდიხარ? — იკითხა მან.

— ბაძგირეთში — უბასუხა ემრულამ.

— ვისტან? — ოფიცერი ისეთი ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, ვითომც ყველა ბაძგირეთელს იცნობდა.

— დეიდასთან. — თქვა ემრულამ და ირონიულად გაიღიმა. — იცნობთ მერიმ ხანუმს?

ოფიცერმა მწყრალად ახედა. არაფერი უთქვამს, წიგნაკი გაუწოდა, მობრუნდა და უხალისო ნაბიჯებით საგუშაგოსკენ წავიდა.

ცხენოსნებმა გზა გააგრძელეს.

— ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა? — თქვა აბრაგმა.

— რას იზამ, ასე იყო ათასი წლის წინ, ასეა ახლაც და, ალბათ, ასე იქნება მომავალშიც. — უბასუხა აბრაგმა და ცხენი ააჩქარა.

— ჩემს სახლში, ჩემს ნათესავთან თურქი, რუსი, ვიღაც გადამთიელი არ უნდა მიშვებდეს?

ბექსიას ირონიულად გაეღიმა:

— ამაზე გტკივა გული? აბა, ერთი იმას ჰკითხე. დაგამადლის კიდევ, მე ვიცავ შენს მშვიდობიან ცხოვრებასო, გეტყვის, მე რომ არ ვიყო, შენი ბურღლაც არ იქნება ამ ქვეყანაზეო, მაღლობა მითხარი და დღედაღამე ჩემზე ილოცეო. ისე, კაცმა რომ თქვას, შენ ამ მუნთანებს მართლაც უნდა უთხრა მაღლობა.

— ვითომ რატომ? — იკითხა ემრულამ.

— ღამეა და ამით ვერ გიცნეს, ღლისით თითო გადაგვარებული ჩვენებური ყოველთვის ყავთ ჭინურში, იქედან გამოიჭვრებს, გიცნობს, საბუთის სიყალბეც გაირკვევა და... რასაც გაგიშვებდნენ, ენახავდი.

— თავს შემოგვაკლავდნენ. — დაუმატა ირემადემ.

ემრულამ ბურანს მოუხედა, მერე ცხენს მათრახი შემოჰკრა და ააჩქარა.

— შენ, ბიჭო, პირზე სულ მოკვლა ნუ გაკერია.

ცხენოსნებმა ქერეთისხევისაკენ გაუხვიეს. აგერ, მთვარის შუქზე, სადგერელის მთაც გამოჩნდა. შემოსცინა თუ არა, ისინი ზენა ბაძგირეთში ცვარიძეთა ჭიშკარს მიადგნენ.

ეზოში არავინ იყო. ემრულა ცხენიდან ჩამოხტა, ჭიშკარი გააღო და მსლებლებს ხელით ანიშნა, შემოდითო, თავადაც ცხენს ეზოში შეუძღვა.

აივანზე ნიფხავ-პერანგაიანი კაცი გამოჩნდა.

— მობრძანდით! — დაიძახა, ხელით კიბისაკენ ანიშნა და თავად სახლში შევიდა.

სტუმრები კიბეებს აუყვნენ და სამოსაფერო ოთახში შევიდნენ. ამასობაში მასპინძელსაც მოესწრო ჩაცმა, იგი ღილ-კილოს იკრავდა. ბიჭებს ჩამოუარა, მარცხენა ხელი გადახვია და მკერდით გვერდზე, მიეყრდნო, შემდეგ ემრულას მიუბრუნდა.

— არ გელოდი, ემრულავ. — სელმანის ხმაში რაღაც უხერხულობა და საყვედუროც შენიშნა დეიდაშვილმა. — დაბრძანდით, ბიჭებო, — სტუმრებს სექვისკენ მიუთითა.

— დღეს ასე ალიონზე არ მელოდი, თუ... საერთოდ არ მელოდი. — საყვედუროთვე შეეკითხა ემრულა.

— როგორ არა, ბიჭო, — თითქოს მოღვაწე ცვარიძე. — რამდენი წელია არ მინახავხარ.

ემრულამ დეიდაშვილს თვალი გაუსწორა. შემდეგ ბიჭებს გადახედა. ბრიალა თვალებში რაღაც უკმაყოფილება ჩასდგომოდა. იქნებ ნათესავის შეხვედრა არ მოეწონა, უცხო ბიჭებთან იგი სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. ემრულას ერთი პატარა ძარღვის შეტოკებაც არ გამოეპარება. ტყუილუბრალოდ ის არავის აუხიროდებოდა. რაღაც მოხდა.

— ჩვენ საქმეზე მოვედით, სელმან! — ხმა შეარბილა მაღაყმაძემ.

— რა საქმეზე? — კვლავ ტლანქად გამოუვიდა შეკითხვა ცვარიძეს.

— ჩვენთან უნდა წამოხვიდე.

— ვერა, ვერ წამოვალ. — სელმანი არც დაფიქრებულა ისე მიახალა.

— წამოდი, კაცი გვჭირდება, შინაური, სანდო.

— ვერ წამოვალ, — გაიმეორა ცვარიძემ.

— რატომ? — მიზეზით დაინტერესდა ემრულა.

თითქოს ამას ელოდაო, სელმანმა გუდას პირი მოხსნა:

— მე შენით ვერ ვიცხოვრებ, ემრულავ. ცხვირით წყალს ვერ დავლევ, შენ ხელი ბრუდე გაქ და კაცებ ქუცავ. ვინცხას ორი შაური ავართვა და ჩემ ცოლშვილს მივუტანო, ამას ვერ ვიქ.

ემრულას თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

— ვინ გავჭეტე, ვის ავართვი, ბიჭო, მე თუნდაც ერთი შაური!

— მაგი ქიბარალას კითხე.

— ქიბარალას რას მისხენებ, ათი წელია თვალით არ მინახავს. წენელს რას მიგრიხავ, მე ჩემსას გეკითხები, ვის ავართვი რამე, დამისახელე. — ემრულამ ეკლის თვალებით შეხედა დეიდაშვილს.

— აბა, რაით ცხოვრობ შენ, ესენი? — სტუმრები ადგილზე შეტოვდნენ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ.

— ამათ რას კითხულობ, ჩვენს უძალო სოფლებში რა ხდება, ის იკითხე, ბაძგირეთში, შენს მეზობელს კეფოძეს უღელი ხარი ხრამში რომ გადაუცვივდა, მეორე დღეს ვინ უყიდა უკეთესი ხარები, თუ მოიკი-

თხე. ბასონიძე რომ ჩამოახრჩეს ართვინში, მის თორმეტ ობოლ ბაღნას ვინ აჭმევს, ვინ აცვამს და ახურავს, ეს თუ მოიკითხე?

ბურან ირემაძე ადგილზე ველარ ეტევა, აზღარბებულ ბიჭს ბექსია აჩერებს.

— მაგათ თუ ეხმარებით, ვინცხას ხომ ართმევთ?

— ვართმევთ, კი, ვართმევთ.

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნებით.

ბექსიამ ბურანს ხელი უშვა და სკამზე მოსწორდა.

— ვის ვართმევთ, მაგიც გეცოდინება, სელმან. — წყნარად ჩაერია საუბარში.

— მაგი სულერთია.

— არ არის სულერთი. ჩვენ ვართმევთ და ვარწყევინებთ ჩარჩ-წურბელებს, ჩვენ ხალხს კაპიკათ რომ ტაცებენ სიმინდს, თუთუნს, თაფლს, ზეთის ხილს, კრამიტს, ქოთანს და მილიონებს რომ აკეთებენ. ჩვენ ვართმევთ გათახსირებულ მებუყეებს, გაჭირვებულ გლეხს ერთ ალაბ ჩითში მის საფასურზე მეტ ბაჟს რომ ახდევინებენ. ჩვენ ვართმევთ ქიბარალისთანა „დამცველებს“, ხალხის დაცვის მაგიერად თვითონ რომ ატყავენ ისედაც გაძვალტყავენ გლეხობას.

სელმანს ხმა არ ამოუღია. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ემრულას ერთჯერ კიდევ მიმოათვალიერა ოთახი, მალულად დეიდაშვილსაც გადახედა.

— ჰა, რას იტყვი, წამოხვალ?

ამასობაში კარის კრიალი გაისმა. ყველა იქეთ მიბრუნდა, დიდ ლამბაჭზე საძმელები ელაგა, ზემოდან მარლა ჰქონდა გადაფარებული. ლამბაჭი ქალს ეჭირა ორივე ხელში, მისი სახე არ ჩანდა.

სელმანი წამოხტა, ქალს ლამბაჭი გამოართვა და პატარა სკამზე დადგა.

— მობრძანდით, ცოტა წეიხემსეთ, ბიჭებო! — თქვა მასპინძელმა. ემრულას სუფრისაკენ არც გაუხედავს:

— წამოხვალ? — ახლა მის ხმაში სიმკაცრე გაისმა.

ცვარიძემ დეიდაშვილს გაკვირვებით ახედა, თითქოს პირველად ესმოდა ასეთი შეკითხვა:

— ვერა, ვერ წამოვალ.

ემრულა სექვიდან წამოიჭრა.

— წავედით, ბექსია, ბურან, წავედით! — თქვა და აღარათერს დაელოდა, პირდაპირ კარებისაკენ გაემართა, — შენ ხელზე წყლის დასხმის ღირსიც არ ყოფილხარ. — დეიდაშვილს მიუხედა.

— სად მიდიხარ! — კარებში გადაეღობა სოლომონიძე, — ვერ ხედავ? — და ხელით ფანჯარაზე ანიშნა.



კარგად გათენებულიყო.

— აქ არაფერი გვესაქმება, — უთხრა ემრულამ, — სხვასთან ვიდეთ და სალამომდე იქ დავრჩეთ.

ბექსია კარებისაკენ შებრუნდა, გააღო და წინ გავიდა.

მათ კიბეებზე ჩაირბინეს, ცხენებს მოახტნენ და მასპინძელს არც დამშვიდობებიან, გომიშეთისაკენ გაქუსლეს. იმ დღიდან ემრულამ დეიდაშვილი გულიდან ამოიხოცა.

* * *

ცხენოსნები ერთხანს უხმოდ კეცავდნენ გზას. გზას ვამბობ, თორემ ეს უფრო პატარა დამშრალი მდინარის ქვალორდიანი კალაპოტია, ვიდრე გზა.

ამასობაში მზეც ამოიწვერა.

ემრულამ ცხენი შეაჩერა, ცალი ხელი შემოიჩრდილა, მეორე ხელით მათრახი გაიწვდინა.

— აი, იმ სახლთან უნდა ავიდეთ, — მსლებლებს სულ ზევით, ტყის თავზე, მამალი რომ არ ყივის, ჩიტის ბუდესავით მიყუყულ სახლზე მიუთითა.

არ უკითხავთ, ვისთან მიდიოდნენ.

ნალებმა ქვებზე კვლავ დაკვესეს.

ეზოში ცხენოსნებს ბებერმა ძაღლმა შეუღრინა, მაგრამ ზეზე არ წამომდგარა. მისი ღრენა ყვეფას აღარ ჰგავდა. ის ვინმეს დაფრთხობას და შეშინებას აღარც აპირებდა, მოვალეობას ასრულებდა მხოლოდ.

ცხენოსნები ჩამოხტნენ. ბურანმა მოღრეცილი ჭიშკარი მოხურა. ბედაურები ბალახზე მიუშვა, თავად სახლთან მიყრილ თივავზე მიწვა. ერთსართულიანი ფიცრული სახლის კარი ღია იყო. აბრაგები სახლში შევიდნენ. ოთახი ყვავის ბუდე ჰგავდა.

სექვზე ვიღაც იწვა, ჭუჭყიანი საბანი თავ-ტანზე ჰქონდა შემოხვეული, პირით კედლისაკენ მიბრუნებულიყო. სექვთან, პატარა ჯორკოზე, თავდახურული სპილენძის თევში, მჭადის ორი დიდი ნატეხი და მამრად ფით წყალი იდო. ეტყობა, ვიღაცამ საჭმელი მოიტანა, მაგრამ მწოლარე არ შეაწუხა.

ემრულამ საბანი წამოსწია, თავადაც კედლისაკენ გადაიხნიჭა და სახეზე შეხედა. თმა და წვერი ერთიანად თეთრი ჰქონდა. კაცი არ იძროდა. სტუმარმა საბანი კიდევ უფრო გადახალა და მოკრუნხული მოხუცი ოდნავ შეანჯღრია.

— ისლამ დედევ, გაიღვიძე, სტუმრები ვართ მოსული.

მოხუცი ოდნავ შეინძრა, თავი გადმოაბრუნა და ცალი თვალი გამო-
აბჟუტა. ჯერ უძრავად შესცქეროდა რაღაცას, მერე მზერა მოსულეებზე
გადაიტანა.

— შენ ხარ, ემრულავ? — ჩახრინწული ხმით ჩაიჩურჩულა.

— ჰო, მე ვარ, — ხმამაღლა ჩასძახა სტუმარმა.

ბექსია კართან მივიდა, ბურანს გადახედა, კარი მოხურა და ბუხარ-
თან ჩამოჯდა, მერე ტყეცი აიღო და ნაცარში გაურია. ერთადერთმა დიდ-
მა ნაკვერჩხალმა გამოანათა.

— საჭმელი რატომ არ ჰამე? — აბრაგი მოხუცს არ ეშვებოდა.

ისლამ-დედემ ცალი თვალით ჯორკოს გადმოხედა. ეტყობოდა, ჰამის
და ლაბარაკის თავი აღარ ჰქონდა. ემრულამ ჯორკო ბერიკაცს საწოლთან
მიუჩოჩა, სპილენძის თეფშს თავი მოხადა. ფხალ-ლობით ჯერ კიდევ თბი-
ლი იყო. მაშრაფა მოხუცს პირთან მიუტანა და წყალი დააღვინა.

— საჭმელს მე ვაჭმევ. — თქვა ბექსიამ და ჯორკოსაკენ გადმოინა-
ცვლა. ხუთიოდე ლუკმა გადაყლაპა ისლამ-დედემ. აქამდე ბექსიაზე არც
შეუხედავს. ახლა თავი გადმოაბრუნა და, თითქოს რაღაცას თხოვსო, მია-
შტერდა.

— ხომ არაფერი გინდა, ისლამ ძიავე! — ჩასძახა ბექსიამ.

— მინდა. — შეწუხებული ხმით თქვა მოხუცმა და დაიკლაცნა, თვა-
ლებით საბნის ქვეშ ანიშნა.

ბექსიამ ხელი შეუყო, ჯერ გულზე მოუსვა, შემდეგ ნელ-ნელა
ბუკლისაკენ ჩააცურა. ერთხანს უძრავად იყო, თითქოს რაღაცას სინ-
ჯავსო.

— შარდის ბუშტი ტიკივით გაბერილია, გასკდომავ აქ. — ემრუ-
ლას მიუბრუნდა.

— რა ეშვებოდა? — შეწუხდა ემრულა.

— შიშველი ხელით რას ვუზამთ. ჭურჭელს ჩავეუდგამ.

ბექსიამ კარსუკან მიკიდული პატარა ტაშტი მოიტანა და ქვეშ შეუ-
დგა.

მოხუცს რაღაცის თქმა სურს.

— ხომ არაფერი გინდა? — გაუმეორა კითხვა ბექსიამ და სმენა
დაძაბა, ნათქვამი არ გამოიმეპაროსო.

— თოვლი მინდა.

ბექსია ვერ მიხვდა.

— რაო, რაო?

— თოვლი მინდა. — გაიმეორა ისლამ-დედემ.

აბრაგებმა ერთმანეთს შეხედეს.

„რაა ეს? — გაიფიქრა ემრულამ, — სიკვდილის წინა ნატვრა თუ...
იქნებ რაიმე ეჩვენება?“

— სად ვნახავთ ახლა თოვლს. — თქვა ბექსიამ.

— თოვლი მინდა. — ერთხელ კიდევ ჩაიჩურჩულა მოხუცმა და თვალები მილულა.

ბექსია დაბნეული უცქერის მაღაყმადეს.

— რას ვიზამთ. — თქვა ემრულამ. — მოხუცს უნდა ავეუსრულოთ ბოლო ნატვრა. ახლა თოვლი სადგერელის ღარტაფებში თუ იქნება. იქ ასვლას და ჩამოსვლას ოთხი საათი დასჭირდება. თუ ვინმე არ გვიდარაჯებს, ასვლა საშიში არაა, მგონი, გზაზეც არავინ შეგვხვდება.

ბექსიამ მომცრო ბაღია აიღო, კედლიდან ტილო ჩამოხსნა, შიგ ჩადო და გარეთ გაიტანა. ცხენთან მივიდა, ბაღია უნაგიორზე შემოდო და... სანამ ზორბა ტანს ცხენზე ასასვლელად მოამზადებდა, მეორე მხრიდან უნაგიორზე ბურანი მოექცა.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

— სადაც შენ უნდა წასულიყავი. — უბასუხა ბურანმა.

— შენ რა იცი, მე სად მივდიოდი.

— რა მნიშვნელობა აქვს. — გულცივად თქვა ბურანმა და გვერდზე გაიხედა. მერე ისევ ბექსიას მიუბრუნდა, — ამ ჩახრახებში თავი თუ არა, ცხენი მაინც არ გეცოდება? მე შენი ნახევარიც არ ვარ.

— რაქი არ იშლი... — ბექსიას გაელიმა. — სადგერელს უნდა ასცდე. ცხენი ბოლომდე ვერ ავა. ქვემოთ დატოვე. სადმე ღარტაფის ჩრდილში თოვლის ნამქერი იქნება, ბაღიაში ჩადე, ამ ტილოში შეხვლე და ჩამოუტანე მოხუცს.

ბურანს არაფერი უთქვამს, ცხენს შეუძახა და ჭიშკარს გარეთ გადრინდა.

ერთხანს ისმოდა ნალების თქარა-თქური, მალე ისიც მიწყდა.

ბექსია ბურანის მაგივრად თივაზე მიწვა.

— ვიცოდი, რომ არ გაგიშვებდა. — კარებიდან დაელაპარაკა ემრულა და მისკენ გაემართა.

იარაღასხმულმა აბრაგებმა ზურგშექცევით დაიკავეს ადგილები. ასე მთელი არე-მარე თვალხილული იყო.

— ჰო, არ გამიშვა, — მოგვიანებით უბასუხა ბექსიამ, კეფაზე ცალი ხელი შემოიღო და ვეება ბეჭით თივას მიეყრდნო. — ეგ ბიჭი მარტო რომ მიდის საქმეზე, სულ ცუდ ამბავს ველი, არ უნდა გამეშვა.

— მძიმე ხასიათი აქვს, ხანდახან ძნელდება მაგის შემადგერება. არ ვიცი, საიდან მიიღო ასეთი სისასტიკე და უღმობლობა. ზედავდი, სელმანთან ჯავარი როგორ აეშალა და დასამბელი რომ გაგვიხდა.

ბექსია ერთხანს ხმას არ იღებდა.

— მე ვიცი, საიდან მოდის ეს სისასტიკე, — თქვა მოგვიანებით. —

შენთვის, ვატყობ, არც მოუყოლია, ალბათ, არც გეტყვის არასოდეს გულში აქვს შენახული მისი მწარე თავგადასავალი. როცა გაიგებ, აღარ გაგიკვირდება მისი დაუნდობლობა.

* * *

უნდომად იყო საქართველო. მისი ერთი ყველაზე დიდი მანკი, სასირცხოვო და საძრახისი, ადამიანების ყიდვა-გაყიდვა იყო. არ იფიქროთ, ბოძოლაში, ომში გამარჯვების შემდეგ დამონებულსა და ტყვედ წამოყვანილ მტრებს ჰყიდდნენო, არა. ქართველი ქართველს იტაცებდა და ადამიანით ვაჭრობდა. ჩვენთან ასეთ არაკაცებს იესირჩებს ეძახდნენ. ოსმალო გადასახადს რომ შეგვაწერდა, იმაში ჩვენი თავად-აზნაურები და ალბეგები პაწაწა ლამაზ გოგო-ბიჭებს მოუსაველეთის გზას გაუყენებდნენ ხოლმე. ბიჭი იანიჩარი გახდებოდა, გოგო ფაშის მეჩვიდმეტე ცოლი. მარა ოსმალო რად გინდა, ისევ ჩვენიანები ცოდვა-ბრალს ატრიალებდნენ, ხანდახან ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს იარაღზე, ოქროულობაზე, ფარჩეულზე და ვერცხლზე ცვლიდნენ. ადამიანი ყველა სულდგმულზე იფი ღირდა. კაი ცხენი უფრო ძვირი იყო. იმფერი შიმშილობაც გამოიგონია, რომ შვილს დედ-მამა პურის ნატეხზე ყიდდა, და მუდმივი მონობისათვის იმეტებდა. ბაბუაჩემის მონაყოლიდან ვიცი, აგერ მის ნაცნობს ჭანტურიძეს შვილი, თედორე, ექვს კოდ ქერში გაუცვლია. ადამიანებით ვაჭრობას ვინ გაბედავდა, ხალხს შიში რომ ჰქონოდა. ცხვარის შობარვისათვის დიდი იყო სასჯელი, ადამის მოდგმის გაყიდვისთვის რამეს არ ეტყოდნენ.

ერთხანს შემოიღეს კაცების გამყიდველების ცეცხლში დაწვა, მდულარეში ჩაგდება და იცოცხლე, შეშინდნენ იესირჩები, მარა ხანდახან მაინც გეიგონებდი: ამას ბიჭი დაეკარგა, იმას გოგო მოპარესო.

ჰოდა, ერთ დღეს ტყეში შეშის საჭრელად გასულ ჩხაკაურელებს თავს დაესხნენ იმერელი ბურჯანაძის ყაჩაღები, კაცები დაჭრეს, ზოგიც გალახეს, მათთან მყოფი 12 წლის რემანოზა და მისივე თანატოლი, გურიიში სტუმრად მყოფი ღორჯომელი ბიჭი გაიტაცეს და თავინურზე აჭარულ იესირჩებს ყავაზს და წანწალაქს კიტრის ფასად მიჰყიდეს. შიშისაგან ელდანაცემი, მძიერი, ტანსაცმელშემოთხრეშილი ბაღნები იმ უღმერთოებმა უღრანი ტყით ჭვანის ღელისაკენ წამოიყვანეს.

— ბურჯანაძე ეკლესიის ქვების მპარავი ხასოსი ხომ არაფერია? — იკითხა ემრულამ.

— ძმა მისი. ეტყობა, მოდგმით არიან ბოროტნი და ქართველი ხალხის მტრები. სულის გამყიდველი იყო და იმიტომ გამოიქცა.

კაცებით მოვაჭრეებს პერანგას ძირში შემოათენდათ. ერთმანეთზე

გადაბმულ ბიჭებს საგულდაგულოდ ხელ-ფეხი გაუბორკეს და ხელებზე
ჭიკრეს. — არ გაგვექცნენო. თვითონ იქვე დიდი ნაძვის ძირში მიწვეს
შომშოლისა და დალილობისაგან დაოსებული ბალები მიწიდან ამოღე-
ბულს დაემსგავსნენ. რემანოზას სუნთქვა შეეკრა. თანატოლმა იდაყვი
გაჰკრა, ხომ არ მოკვდაო. რემანოზამ თავი შეიმაგრა და მის ბელში მყოფს
გადმოხედა.

მოულოდნელად ტყის სიომ დაჰბერა, საიდანაც თაფლის სუნი მოვა-
რდა და მშვიერ ბიჭებს გულ-მუცელი აულერდა. სუნი იესირაგებმაც იგრძ-
ნეს, თვალეები მოახილეს და ყურები დაცქვიტეს.

— საცხა ახლოს თათლია, ჭო! — თქვა წანწალაქმა.

ყავაზმა ჰაერი შეისუნთქა, მერე წამოდგა, ბავშვებს შეუღრინა, წელ-
ში გაიმართა, რაღაცას მიაყურადა, თანამგზავრს გამოხედა და ქარის სა-
წინააღმდეგოდ ტყეს გაუყვა. წანწალაქმაც დააბირა წასვლა.

— შენ მაგ ბლარტებს მიხედე! — გადმოსძახა ყავაზმა და ბუჩქებში
მიიმალა.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, უკან მობრუნდა. ხის ქერქებზე
თაფლის ფიჭები დაეხოხოლებინა და მოჰქონდა. ხელებში თაფლის წვეთე-
ბი მოწურწურობდა. პირისახეც თაფლით ჰქონდა მოთხვრილი, ყავაზს
თაფლის გემო უკვე გავგო.

იესირაგებმა ნუგბარი ბალახზე დადევს, ფეხები მოირთხეს და მაღია-
ნად შეექცეოდნენ. თანატოლმა რემანოზას კვლავ გაჰკრა იდაყვი, ჩაი-
ჩურჩიულა და თვალთ რაღაც ანიშნა: „თუ თაფლი მოგვაწოდონ, არ
ჭამო“, — დაახლოებით ამას ნიშნავდა ეს ჩურჩილი და თვალის დაფა-
ხულები.

კაცებმა ხეზე მიკრულ ბიჭებს ფიჭის ნაჭრები მართლაც მიუტანეს
პირთან, მაგრამ იმათ უარის ნიშნად თავი გააქნიეს. აღარც დაუძალებიათ.

ოცი წუთის შემდეგ მტაცებლები ჯერ ერთმანეთს მიაცქერდნენ, მერე
ბავშვებისაკენ მობრუნდნენ. უაზრო თვალეები რაღაცნაირად დაბრეცო-
დათ. წანწალაქს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი თვალის ჩინი, ყავაზმა წა-
მოიწია, ჩაიკეცა და დაკლულსავით დაიწყო გორაობა. წანწალაქი, ვითომც
მივეშველებიო, ერთხანს აკავებდა, მაგრამ თავადაც მისავათდა, ყავაზი
კი გულადმა გაიშხლართა და ხროტინი ამოუშვა, ცოტა ხნის შემდეგ წან-
წალაქიც ისეთივე დღეში ჩავარდა.

ბავშვები გამოცოცხლდნენ. რემანოზა ფართო თვალეებით დასცქე-
როდა მიწაზე გართხმულ იესირაგებს.

— მაგიტომ ვითხარი, არ ჭამო-მეთქი, — უთხრა ამხანაგმა. — მე ამ
ტყეში ნამყოფი ვარ, ბაბუას ხარი დაეკარგა და ვეძებდით, იქ დიდი წიფ-
ლის ფულუროშია ფუტკარი. შხამიანიაო, ბაბუამ თქვა და გავეცალეთ.

— მართლაც, რა საწამლავი ყოფილა. — ჩაილაპარაკა რემანოზმა ღორჯომელი თოკების ახსნას შეეცადა. ჯერ ხელებით გაიბრძოლა, შემდეგ ფეხების განთავისუფლება ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მისუსტებულ რემანოზს მაჯებზე ისე ჰქონდა გადაჭერილი წვრილი ბაწარი, გვეგონებოდა დასივებული ხელებიდან სადაცაა სისხლი გადმოსკდებაო.

ბიჭებმა კიდევ ბევრი იჯაჯატურეს, გაიწ-გამოიწიეს, რემანოზს მაჯებს თანხშლები კბილებითაც დასწვდა, მაგრამ თოკებს ვერაფერი მოუხერხა.

უცებ ზემოთ რაღაც უჩვეულო ხმა გაისმა. ამას ტოტების ლაწახი მოჰყვა... და ბიჭების წინ დიდი მურა დათვი ჩამოგორდა. ჯერ იქეთ-აქეთ მიყრილ-მოყრილი, თათლში ამოსვრილი ხის ქერქები დაყნოსა, მერე მიწაზე გაშლართულ კაცებთან ჩაბაჯბაჯდა, ორთავეს დრუნჩით სახეზე შეეხზ და ბავშვებისაკენ შემობრუნდა.

ბიჭები ვეება სოჭს ისე აეკრნენ, გვეგონებოდა ხეზე შემოზრდილანო. თვალები ისე გაფართოებოდათ, თითქოს საცაა გადმოუცვივდებათო, დაყვირებაც ვერ მოახერხეს, ანდა რას უშველიდათ. დათვი მათკენ რომ წამოვიდა, რემანოზს თვალები გადაუბრუნდა, გონი წაერთვა და თავი გადმოკიდა. ამხანაგმა ისლა შეძლო, თვალები დახუჭა და მხეცს სახე მობარიდა. დათვი ჯერ ქვემოდან შესცქეროდა ცოცხალ-მკვდარ არსებებს. მერე, მათკენ გაემართა, ბიჭებს გალურჯებულ ხელებზე სველი ცხვირით შეეხო, ერთჯერ ახედა, წინა ფეხებზე ოდნავ აიწია, თითქოს უნდა მოეხვიოსო, კვლავ ძირს დაეშვა, მიბრუნდა და იქეთ გაძუნძულდა, საიდანაც ყავაზმა თათლი მოიტანა.

ბიჭმა მხეცს ცალი თვალი გააყოლა, მერე რემანოზს მკლავი გაჰკრა, ფეხითაც ეცადა მის მოფხიზლებას, მაგრამ გონს ვერ მოიყვანა. ფეხზე რაღაც თავისუფლება იგრძნო, დაიხედა და სიხარულით კინალამ შეჰყვირა. ცალ ფეხზე მუხლებამდე ბაწარი ახსნოდა. გვერდზე ორბოტიკა ჯოხი ებღო, ფეხი დიდი წვალეებით მიაწვდინა, პატარა ქვაზე შეაჩოჩა და ბოლოზე დააბიჯა. ჯოხი ქვაზე აისხლიტა და ბიჭის თითებში მოექცა.

ბიჭმა ჯოხის მეორე ორბოტიკა ბოლო ქვაზე დააბჯინა, ქვა ჯოხს აჰყვა და მან ხელებში ქვაც მოიგდო. ხელები სულ ერთიანად დაუხისხლიანდა, მაგრამ ამას აღარაფრად აგდებდა. რემანოზს ხელებთან ბაწარს ქვა სულ ხუთჯერ ჩამოჰკრა, რამდენიმე ადგილას გაწყვიტა და მკლავები გაუთავისუფლა.

ამასობაში რემანოზაც მოეგო გონს. მეგობარს შეხედა, ხელები აამოძრა, ქვა გამოართვა და ისიც გაათავისუფლა.

ბიჭები მოწამლულებთან მივიდნენ. ყავაზს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, წანწალაქი ხმამაღლა ხროტინებდა. ორივეს ხანჯლები აცალეს, თოფებიც მხარზე გადაიკიდეს.



— დავკლავ ამ ღორიშვილს! — დაიძახა ღორჯომელმა, წანწალაქს ხანჯალი კისერზე მოუწწორა და მთელი ძალით მოიქნია, მაგრამ რემანოზამ ხელი შეაშველა, თუმც კედარ შეაჩერა... ორღესულმა გამტაცებელს ლოყა გაუფატრა. სისხლმა იფეთქა. კაცმა წამოიწია და ლოყაზე იტაცა ხელი, მაგრამ თავი ვერ შეიმავრა და დაეცა.

ბიჭებმა თავი მიანებეს და ბუჩქებში გადაეშენენ.

— ის ღორჯომელი ბიჭი ბურან ირემაძე იყო. რემანოზა სახლში წაიყვანა და მასთან იყო მანამ, სანამ მშობლებმა არ გაიგეს შვილის ადგილსამყოფელი. მერე წაიყვანეს, მარა ახლაც ისეთი ახლობლობა აქვით, ნათესავზე უკეთესი.

ყავაზი იმ დღეს მაწყენარ თაფლს გადაჰყვა.

წანწალაქის ამბავი ზღაპარს ჰგავს. თურმე ამ ბაღნების გაქცევის შემდეგ დათვი ისევ მობრუნდა იმ ადგილას. მკვდარ ყავაზს აღარ გაჰკარებია. უგონო წანწალაქს დაავლო კბილები და ბუნაგში შეათრია. სამ დღეს ალოკია დათვმა თათი, მისი კერძი „საჰმელიც“ მიართვა და სიკვდილს გადაარჩინა. წასვლას ვერ ბედავდა, ეშინოდა „მასპინძელი“ არ გალიზიანებულიყო, მაგრამ ერთ დღეს დრო იხელთა და გამოიქცა.

კაცს დედის მუცლიდან რომ დაჰყვება უსინდისობა, არაფერი ეშველება. უბედურმა წანწალაქმა სოფლის მონადირეებს მოუყარა თავი და დათვის ბუნაგთან დააყენა. მხეცი ბუნაგში ეგულუბოდით, თურმე გარეთ იყო, ჩუმად მიუახლოვდა, კაცებს ყურადღებაც არ მიაქცია, წანწალაქი უმაღლე იცნო, მოულოდნელად დაავლო ტორი, ტყეში გაიტაცა და შუა გაგლიჯა. ასე მიიზარა ღმერთმა ამ უნამუსო კაცის ცოდვილი სული.

* * *

ემრულას სახე მოღრუბლეია და თითქოს პირქუშიც გამხდარა, ხმა არ ამოუღია, არც არაფერი უკითხავს ამ სულისშემძვრელი ამბის გამგონეს. უბრალოდ, თივაზე მიწოლილი ისმენდა ორი ბედკრული ყმაწვილის თავგადასავალს.

ბექსია წამოდგა, თივის მტვერი ტანიდან ჩამოიფერთხა და სახლში შევიდა. ემრულა ფიქრებმა დაიმორჩილა, თითქოს რაღაცას თუ ვიღაცას იგონებსო, ისე გაექცა თვალები შორს, კარჩხალისაკენ. ამასობაში ბექსიაც დაბრუნდა.

— ცოტა წყალი მოსვა, ლაპარაკის თავი აღარ აქვს.

ემრულა მიუბრუნდა.

— რატომ არ მეკითხები, ვინაა ეს მოხუცი ან აქ რატომ ამოვიყვანეთ?

— რა ვიცი, კაცს უჭირს, ვილაცამ ხომ უნდა მიხედოს. ჰოდა, ჩვენც ამოვედით... მორჩა და გათავდა.

— მარტო მაგიტომ?

— რა ვიცი.

— ისლამ-დედეი ჩემთვის არაა მარტო მიხრწნილი ავადმყოფი, შველას რომ საჭიროებს.

— აბა ვინაა?

— ვინაა და... კაცია, ვიზეც ნდობა შეიძლება.

* * *

ჩვენში სულ უბრალო საქმეზე კაცი კაცსა ჰკლავს, გამკითხავი არა-ვინაა. უმიზეზო სისხლისღვრა მთავრობას სულაც არ აწუხებს. ბოროტს არ დასჯის და ამით თავად იწვევს ბოროტებას.

ერთი ასეთი მკვლელობა იმერხევეში მოხდა. სიცილ-ტირილი მოგივა კაცს, ამას რომ მოისმენ.

ერთი მშვიდი და გემრიელი ოჯახი იყო ამ მხარეში. მშობლები, შვილები, მათი ცოლები გუგულისფერით მშვიდად, ტბილი ურთიერთობით, სიყვარულითა და პატივისცემით ცხოვრობდნენ, მაგრამ სატანას არ ეძინა. იტყვიან: სადაც ეშმაკი ვერ შევა, იქ დიაცს შეგზავნიან.

ოჯახში ფინთი ქოფაკი ჰყავდათ. ქალმა იფიქრა, ეზოში ვერავინ შემოვაო და ჩამაშურთან ერთად გასაშრობად საცვლებიც გაჰფინა. მოსულა ვილაც ბოროტი სული, ქალის საცვალი ჩამოუხსნია და ჯუმა დღეს ჯამეს კარზე ფეხებგაფარჩხული ჩამოუკიდია. შინაურებიც მივიდნენ იმ დღეს სალოცავად, მიხვდნენ, ვილაცამ მათი თავის მოჭრა, ამოთხრა და გაბოროტება რომ განიზრახა. საცვალი კარებიდან ჩამოხსნეს და სახლისაკენ გაეშურნენ. ვინ ჩაგვაფურთხა ულვაშში, ვინ იზამდა ამ სასირცხვო საქმესო, თავს იმტვრევდნენ შეურაცხყოფილი მანაკაცები. გარეთ თავს ველარ ყოფდნენ სირცხვილისაგან, ეჭვი მეზობელზე მიიტანეს. ის ერთადერთი იყო, მათი ქოფაკი რომ არ ერჩოდა. ტყეში მიუგზავნეს დაქირავებული კაცი. იმანაც ცულით თავი წააცალა. ახლა მოკლულის ძმებმა დაიწყეს შურისძიებისათვის მზადება. დაიქირავეს 15 წლის ბიჭი და დააპირეს მათი ძმის მკვლელობის მოსპობა, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ვაიგეს, ბიჭი გადაიბირეს, მიუგზავნეს და კიდევ ერთი კაცი იმსხვერპლეს. ამის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაერია მთავრობა და ეს 15 წლის ბიჭი ციხეში ჩავარდა. ახლა დამქირავებლებმა იფიქრეს: ახალგაზრდაა, გაგცემსო და ძველ სისასტიკეს ახალი დაუმატეს: ვილაცის ხელით ის ბიჭი ციხეშივე გაასაღეს. ამით არ დამთავრდა ამ ორი ოჯახის სისხლისღვრა. მოკლულის მამას და ძმას რა მოასვენებდა. ბეგრი უდარაჯეს, მაგრამ ხელში ვერ

ჩაიგდეს. ერთხელ მის კვალსაც მიაგნეს. მთვარიან ღამეში დატყეპილი ცხენით ართვინიდან ბრუნდებოდა. მამა-შვილი გზის პირას ჩასაფრდნენ. ჰენჯყო აღვილზე პატარა ფიცრების ხიდი იყო გადებული. მოილაპარაკეს: ცხენი ფიცარზე რომ შედგება, კაცი უფრო კარგად გამოჩნდება და მაშინ ვესროლოთო. ცხენმა ერთი ნაბიჯი გააკეთა ხიდზე, თითქოს გასროლაც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ცხენი დასრიალდა და ფიცრის გარდიგარდ-მო ოთხივე ფეხით ჭაობში ჩაერჭო.

— არ ესროლო! — მამამ მოასწრო შვილის გაფრთხილება.

მხედარი ცხენიდან გადმოხტა და ავშარას მოეჭიდა, იქნებ ამოვიყვანოო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დატყეპილ ცხენს ფიცარი გულმუცელზე აწვეებოდა, კისერი მოღრეცოდა და სადაცაა, ყოველ ჩაიხრჩობოდა. კაცმა ბევრი იჯაჯგჯრა, ცხენსაც გამეტებით გადაჰკრა მათრახი, მაგრამ საშველი არ იყო. თვითონაც პირთამდე ლაფში ამოისვარა.

მამა-შვილი საფარიდან გამოვიდნენ და თოფებმომარჯვებული მტრი საკენ გაემართნენ. მხედარმა მოახლოებულნი რომ დალანდა, ცხენს თავი მიანება და ბუჩქებში გადახტა.

— ნუ გარბიხარ, ბიჭო, ცხენი გადავარჩინოთ! — გასძახა კაცმა, მაგრამ პატრონი ვერ ენდო, ბუჩქებში გაიტრუნა, იარაღი მოიმარჯვა და აქედან უთვალთვალებდა.

მამა-შვილმა ცხენი ჯერ ტვირთისაგან გაათავისუფლეს, მერე ჰენჯ-ყოდან ამოიყვანეს, ტვირთი კვლავ აჰკიდეს და გზაზე მიუშვეს.

— დღეს შენ აღარ გესვრით, ნულარ იმალები, ამ დღეში ჩავარდნილი, შვილის მკვლელები ცოდვია. ხვალიდან ისევ შენი მოსისხლე მტრები ვართ! — დაუძახა მამამ და ვაჟთან ერთად იქაურობას გაეცალა.

— ის კაცი ისლამ-დედე იყო. — დაამთავრა ემრულამ თხრობა.

— შეარჩინა შვილის სისხლი?

— მეზობლებმა სახლი ახსნეს, მოილაპარაკეს და ერთ დღეს ისლამ-დედეს ესტუმრნენ. სახლში შემოსვლისთანავე ერთმა უთხრა: გარეთ ქოფა-კი რომაა დაბმული, ვისიაო. გამოიხედა გარეთ ისლამ-დედემ და რას ხედავს, მეზობლებს მიუყვანიათ მისი შვილის მკვლელები და აი, ამ ხეზე მიუბამთ. — ემრულამ ხელი დიდი ცაცხვისაკენ გაიშვირა. — თურმე მეზობლებმა საღაც დაიჭირეს და ასე მოზვერივით თოკმობმული მოიყვანეს. ისლამ-დედე მივიდა, ახსნა და სახლში შემოიყვანა. შერიგდნენ, თუმცა მისი ბიჭი უბღვერდა, ბრუდედ უყურებდა, და კვლავ დროს უცდიდა მის მოსაკლავად, მაგრამ მამის სიტყვასაც ვერ გადადიოდა. ბოლოს ისიც შეუტრიადა. თურმე თვითონ ყოფილა განწირული. შარშან, დიდთოვლობას, არტანიდან მომავალი ნამქერში დაიხრჩო. ამ საცოდავ მოხუცს ცოლი აღ-რე გარდაეცვალა, მოკლული შვილის მეუღლე ბავშვებიანად მშობლებმა

წაიყვანეს და დარჩა ასე მიუხაფარი. მისი დრო მოჰქმული აქვს და სიკვდილსაც დავიწყებია.

— მართლაც ძლიერი კაცი ყოფილა ისლამ-დედე, ამისთანა ადამიანს სულიც შეიძლება ანდო. — თქვა ბექსიამ.

— ძლიერი რომ არ ყოფილიყო, არ აპატიებდა. პატიება ვაჟკაცებისთვისებად მიმაჩნია.

— ღმერთის სამართალს რა ვუთხრა, — ჩაილაპარაკა ბექსიამ, — ასეთი კაცი მართო უნდა კვდებოდეს?

— ცუდკაცებში ყოფნას ასეთი ცხოვრება სჯობია. — თქვა ემრულამ. — სიკვდილი მისითაც მოვა... ისე, მართლაც როგორაა მოწყობილი ადამიანის ბუნება, ჯერ არა და არ მოდის, თუ მოვიდა, მერე სიკვდილს ხელს ვეღარავინ შეუშვერს. თავადაც მკურნალია, რამდენი კაცი გადაურჩენია და ახლა რა დღეშია.

საღლაც შორს კენტი გასროლის ხმა გაისმა. აბრაგს სიტყვა პირზე შეაშრა.

— გაიგონე? — ჰკითხა ბექსიამ.

— გავიგონე, იმ ბიჭს ხომ არავინ შეხვდა?

— ვინ იცის. მგონი სხვა მხარიდან იყო.

ერთხანს სმენადამებული იყვნენ, მაგრამ სროლა აღარ განმეორებულა.

მოსაუბრეები დიდხანს დუმდნენ. არ იმჩნევდნენ, მაგრამ, ეტყობა, ამ გასროლამ ორივე ჩააფიქრა.

— რას გაჩუმდი? — ბოლოს ჰკითხა ემრულამ და თვალი გაუსწორა.

— აბა, რა გქნა.

— ილაპარაკე რამე.

— რა ვილაპარაკო? — უხალისოდ თქვა ბექსიამ. — ბევრი ლაპარაკი ბევრი თავის ტკვილია, ხომ გაგიგონია.

უცებ ისეთი სროლა ატყდა, გეგონებოდათ, ცა ჩამოინგრაო.

აბრაგები წამოცვივდნენ, იარაღი მომართეს და ცხენებს მიაშურეს.

(გაგრძელება იქნება).



და მოდიოდნენ...

და მოდიოდნენ!

და მოუძღოდათ

შაჰის ნება და რისხვა კეისრის.

ცეცხლის ისრები ოქროს ურდოდან,

ვნება — აღგვის და ვნება — შერისხვის...

და მოდიოდნენ!

და თან მოჰქონდათ

სულთანის რწმენა, ზრახვა ხალიფის,

სახრჩობელები, ჯვარცმა, გოლგოთა,

შიში, სიკვდილი, აპაკალოფსი...

შემართულია შუბი მსახვრალი.

მოზიდულია სიკვდილის ცელი,

მზეზე ლაპლაპებს იატაგანი,

ველზე მოფრინავს ველური ცხენი,

სივრცეს მთარღვევს სპა გრიგალივით,

დაუნდობელი, როგორც მეწყერი,

გადამქელველი თოვლის ზვავივით

და ელდასავით სულისშემძვრელი.

და მოდიოდნენ!

დელგმად და წარღვნად,

ქარბორბალებად გზებს მიჰკიოდნენ,

და რად,

და რისთვის,

იცოდნენ, მაგრამ

ის არ იცოდნენ,

ხად მოდიოდნენ.

საით მოაფრენთ დარახტულ მერნებს,

ვინ უნდა აღგვათ პირისგან მიწის,

რა ფერებს შანთავთ, რა ღვთიურ ფერებს

გადამბუგველი ცეცხლით და სისხლით?

საით მიდიხართ?

ვინ გაიმეტეთ?

ვის ადებთ ხუნდებს, ხუნდებს მონობის,

და ბედისწერის ცისფერ იმედებს
ვის უსპობთ ასე შეუპოვრობით?
ბანას ქვეყანავ,
შოთას ქვეყანავ,
მარტო შენ ხარ და მხოლოდ შენა ხარ,
რომ არ გყოლია მტერი ისეთი,
შენი სიმაღლე რომ დაენახა,
რომ
ჩაწვდომოდა შენს მაღალ ლტოლვას,
რომ
ჩაწვდომოდა შენს მაღალ ტკივილს,
შენს უტკბილესს და უმწარეს ქორალს,
შენს ცაზე შენი არწივის ყივილს.
და მოდიოდნენ!
მაგრამ შენ სწორედ
შენმა სიმაღლემ ვადაგარჩინა,
...ახლაც,
ამ წუთში,
ალაზნის წნორებს
გადაუფრინა თავზე არწივმა.
შენმა სიმაღლემ!
და ამ სიმაღლით
და მზისკენ აწვდილ მტკიცე კოშკებით,
და მირიადი ციხესიმაგრით,
და ნაჭრილობევ ცისფერ დროშებით,
სულ უმტკიცებდი მტერს და დამპყრობელს
შენს უკვდავ რწმენას — ზეცის წყალობას,
რომ შენ —
სიმაღლეს —
ვერ დაგამხობენ,
რომ უნდა გაპყვე მარადუამობას.

* * *

...მაგრამ შენ მაინც იწყები ელდით,
შემძვრელ ელდით და ელდის წიაღსვე,
თუმც შენში უკვე იპოვე ღმერთი
და ღვთის მიგნებით შენს თავს მიაგენ.
ღმერთი შენშია!

და მაინც ელდა

კივის და... გონი ჩაწვდა და უწყის,
რომ ზეცად ასვლას, რაც გეზლო ხვედრად,
წინ გარდუვალად გოლგოთა უძღვის.

* * *

ამოხსნილია ამოსახსნელი,
შეცნობილია შესაცნობელი,
ანთებულია ყველა სანთელი,
გაშიფრულია არსი ყოველი.

და მაინც,

მაინც

გადაუშლელი

კვლავ რჩება რაღაც ამ შრეებს იქით,
კვლავ იდუმალი და აუხსნელი,
ვით ყრუ და მუნჯი პატიმრის ფიქრი.

* * *

რაღაც სხვა, ვიდრე მხოლოდ ნანგრევი,
რაღაც სხვა, ვიდრე ბურჯი დაშლილი,
ვიდრე ჩუქურთმა, ცეცხლით ნარბევი,
ყამით დაშლილი და გადაშლილი,
რაღაც სხვა, ვიდრე ქვაზე ავაზად
ამოტვიფრული ხსოვნა ხალდესი,
არა!

სწორედ ის,

სწორედ რაღაც სხვა

არის მთავარი და უმთავრესი.

* * *

ქალაქი ელის ოცდაერთ ივლისს,
და სდუმს ქალაქი და შენ მოგელის,
და ამ დუმბილში ჩაძირულ ტკივილს
ნატურის ნიღბებად ხატავს გოგენი.
წარმოსახვების თეთრ ზმანებაში

ქალაქი შენ და სიცოცხლეს ელის,
და მოხვალ

და ამ გარინდებაში
ამოძრავდება სუყველაფერი.

მონანიება

ეს იყო რწმენა!

მერე კი, როცა
განსჯამ ეჭვით და ეჭვმა ძიებით
ნიღბები მოხსნეს სისხლიან დროუჟამს,
სული შეძრწუნდა მონანიებით.
და ვინანიებ!

რომ იმ მხურვალე
რწმენით რეკავდნენ ზეცის ზარები
და საუკუნის წლები ბრუნავდნენ,
როგორც ოქტომბრის თანამგზავრები.

* * *

რა სამართალს და
რა კანონს და
სიმართლეს ითხოვ
მონად გაჰყიდეს
ღვთაებრივი პლატონი.
მონად.
ტაბუ დაადვეს
ლორკას სახელს
და ლორკას სტრიქონს.
გადაუბუგეს
ამბიონი
სიონის ქორალს.
ზურგიდან ჩასცეს
ორღესული
დაშნა კეისარს,
და მაცხოვარი
საწამებელ

ჯვარზე გააკრეს,
ვერ ააცილეს
ულმობელი ხელით
შერისხვა
ვერც ბაბილონს და
ვერც ურუქს და
ვერც ნოქალაქევს.
ცყვია ესროლეს,
ცხელი ტყვია
ილიას შუბლს და
სოკრატეს ბედი
მელიტეს (და ეშმას)
მიანდეს,
დემონის ხმალი
გააშიშვლა
გარნისში შურმა,

ათენს მტრად ექცა,
მოსისხლე მტრად,
ალკიპიადე-
თორამ განკვეთა
და უარყო
ბარუხ სპინოზა,
ჯორდანო ბრუნოს
შემზარავი
უზღეს სასჯელი,
ტაძარში დაჰკრეს,
ლეთის ტაძარში,
ლეთის გვირგვინოსანს,
აშოტს. მახვილი
და ლალატი

უკანასკნელი.
იერემიას
უსაშველო
ტივილის და გლოვას
უდაბნო
დუმილს ახვედრებდა
უმწარეს გზებზე,
მონად გაჰყიდეს
ღვთაებრივი
პლატონი, მონად,
რა სამართალს და
რა კანონს და
სიმართლეს ეძებ!

ხათუნა გაგუა

* * *

მე კარგად მახსოვს წამი, როდესაც
ეფარებოდა ვარსკვლავებს მთვარე,
გრილი ნიავი დაჰქროდა ირგვლივ,
სულიც გაფრენას ითხოვდა გარეთ,
მე კარგად მახსოვს ნამი, როდესაც
სულში ფიქრები იქცა ლოცვებად,
შენ მოდიოდი ჩემკენ ოცნებით
რათა გაგეგო ჩემი ოცნება...



დაკარგული სამანი

ტრაპიზუნის შავ ბაზარს ერთი ვიწრო და გრძელი ქუჩა გასდევდა. ეს ქუჩა დუქნებითა და ქარვასლებით იყო სავსე. რა ჯურის კაცს არ ნახავდით აქ ჩამომხდარს, დღისით და ღამით არეშარზე მიღეთის ხალხი ტრიალებდა და თავთავიანთ საქმეებს არიგებდა.

ჩვენ ერთი ქარვასლა გვქონდა შეგულებული და გადმოტანილ საქონელს მუდამ იქ ვინახავდით. ქარვასლის პატრონი ბერძენი იყო, ხრისტოპულოსი. თავის ღროზე მამაჩემსაც კარგად იცნობდა და ჩვენც დიდი სიამით მიგვიღო. ჩაიბარებდა საქონელს, დაგვაპურებდა, დაგვასვენებდა და ღამით ნავსადგურში გავგიყვანდა.

ათობით სავაჭრო ხომალდი ირწეოდა რეიდზე. ბერძენი თავის ნავში ჩავესხამდა და რომელიმე გემისკენ გაგვაცურებდა, მეტწილად ინგლისელ და ჰოლანდიელ ვაჭართა გემებზე ავეყავდით, თუთუნის ყადრი სხვაზე მეტად მაგათ იციანო, იტყოდა ხოლმე, მოვრიგდებოდით, დამხვდური ევროპელი სასმელით გვიმასპინძლდებოდა და უკან კმაყოფილნი ებრუნდებოდით.

მეორე საღამოთი ხრისტოპულოსი აქლემს იჭირავებდა, საპალნეს აჰქიდებდა და გარიგებული ვაჭრის გემზე ჩვენს გარეშე აჰქონდა თამბაქო. დაბრუნდებოდა თუ არა, ოქროს მისხალ-მისხალ ჩაგვითვლიდა და პატარა ყუთით სიგარებსაც დაგვიწყობდა წინ. პატიოსანი კაცი გამოდგა ბერძენი, ამიტომ არც ჩვენ ვიშურებდით მისთვის არაფერს და გასამრჯელოსაც ორმაგად ვუხდიდით.

ბერძნის ქარვასლის გვერდით პატარა, მაგრამ კოხტა ღუქანი იდგა. რით ვაჭრობდნენ ღუქანში ამას ვერ გეტყვით, არც დავინტერესებულვარ, მაგრამ ღუქნის პატრონმა კი შემადიქრიანა.

ამ მოკლე ხანში, ამდენ წანწალსა და მალვა-მალვაში, ბევრი რამ საკვირველი ენახე ღუქანზე, მაგრამ ამ კაცის ხელებმა და ყალიონმა ნამდვილად განმაცვიფრა.

წარმოსადგვი, სასიამოვნო პირისახის პატრონი იყო. მსხვილი, გადგრეხილი უღვაშები თითქმის ყურის ბიბილოებადმე უწევდა. თმა თეთრი და ხშირი ჰქონდა, სახესა და შუბლს ნაოჭები უკვე თამამად შესეოდნენ, მაგრამ სიმტკიცესა და ვაჟკაცურ იერს ვერ უკარგავდნენ. ეს იყო,

რომ მუდამ მოღუშული იჯდა და სალამ-ქალამის დროს მოჰმუშავებდა შუბლს ოდნავადაც არ გაშლიდა.

უსაშველოდ დიდი ყალიონი არ მახსოვს ჩაექროს — ამოსწავდა თუ არა ერთ ჩადება თუთუნს, მოზრდილ ქისას გახსნიდა, თითქმის ერთ პეშეს უზარმაზარი ყალიონის ხახაში ჩატენიდა და ისევ აბოლქვებდა იჭაურობას.

ყალიონის შესაფერისი ფართო და მსხვილი ხელები ჰქონდა მეღუქნეს. სწორედ მათმა ხილვამ შემადრწუნა, ტყავაქლეთილი, აწითლებული ხელის მტევნები ალაგ-ალაგ ჩაშავებულ-ჩაკირულიყო, იგრძნობდი, რომ ამ ხელებს უზომო ტანჯვა და ტკივილი გადაეტანათ. დაუჯერებელია მარა ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ამ კაცს ორი გონიერი, ღარდითა და სევდით მოცული არსება შეზრდოდა. მათი დინჯი მოძრაობანი ღიდ სიმწარესა და ნაღველს გამოხატავდნენ.

ახალგაზრდა ვიყავი და როგორღაც შემძრა იღუმალებით მოსიღმა უცნობმა. ბევრჯერ მომიხდა ოსმალში ჩასვლა და მეღუქნის ხილვა, ხრისტოპულოსაც ვკითხე მისი ავან-ჩავანი. ასე მიპასუხა: ხოსრო-ეფენდის ეძახიან, აგერ, ორმოცი წელი გახდება, რაც ეს ღუქანი გახსნა, იაპონური ქსოვილით ვაჭრობს, მაგრამ ვინ არის ან სადაურია არ ვიციო, ეგ არის, რომ აქაური ვაჭრები და მექარვასლენი დიდის პატივითა და ნდობით ვეპყრობითო, მეტი ვერაფერი დავსტყუე ბერძენს, მე კი გაცხობის წადილი მკლავდა და ვერასგზით მომეხერხებინა.

ერთხელ, მე და ჰაიდარი ქარვასლაში ვისვენებდით. ხიროსის ღვინოს შევექცეოდით და ხრისტოპულოსის გამოჩენას ველოდით. კარებს უცხო მსახური ყმაწვილი მოადგა და იკითხა, რომელია აქ გურჯების ქვეყნიდანო, ჩვენსკენ ვიხმეთ.

— ჩემმა პატრონმა, ხოსრო-ეფენდიმ მიბრძანა, გაცნობოთ, ერთი თოფა თუთუნის შესყიდვა სურს და მობრძანდით, ფასზე მოვრიგდეთო.— თვალების ფახულით გვაუწყა ბატონის ბრძანება მსახურმა.

ჰაიდარი ის იყო, უარის შეთვლას აპირებდა, მაგრამ გავაჩუმე და მსახურს მივუბრუნდი.

— წადი და ეფენდის მოახსენე, მზე რომ ზღვაში ჩაესვენება, მე ვესტუმრები და თავად მივართმევ ერთ თოფა თუთუნს ფეშქეშად.

მალე ჩვენი მწყალობელი ხრისტოპულოსიც გამოჩნდა, თამბაქოს ფაბრიკის მეპატრონე ინგლისელი გაუცვნიდა და სალამოთი გასარიგებლად უნდა წავყოლოდით. ჰაიდარს ეთხოვე, ჩემს გარეშე ხლებოდა ინგლისელს.

ღედის ძმა დავითანხმე და დროის მოსაკლავად სპარსელ ყულისთან ნარდის თამაში გავაჩაღე. სალამოს პირიც დადგა. გულმა არ მომიტმინა.

მზის ჩასვლას აღარ დაველოდე, ერთი თოფი საუკეთესო თუთუნით
რჩიე და ხოსრო-ეფენდის ღუქანს მივაშურე.

* * *

ხოსრო-ეფენდი, როგორც ყოველთვის, ახლაც ღუქნის წინ იჯდა და
შუბლშეკრული კუშტად გასცქეროდა გამვლელ-გამომვლელს.

— სალამ-ალეიქუმ, — მდაბლად მივესალმე.

— ალეიქუმ-სალამ, — მშვიდად მომაგება სიტყვა და მსხვილ წარ-
ბებს ქვემოდან მომაპყრო მხერა. უსიტყვოდ წამოდგა — ზორბა კაცი
შემრჩა ხელში. მორიდებით ვუტიე გზა და ღუქანში შემიძღვა.

კარებთან მსახური ბიჭი გაჩნდა, ტვირთი ჩამომართვა და პატრონს
მოწიწებით ჰკითხა, რა მოგართვათო სუფრაზე. ჩემი საყვარელი ღვინო
და ხილი გამოიტანეო ხელდახელ, — ბრძანა მასპინძელმა. ბიჭი ძღვენი-
თურთ მიიმალა.

მე და მასპინძელმა ღუქნის დიდი, გაშლილი სავაჭრო დარბაზი გავიარ-
ეთ და ძვირფას სპარსულ ფარდაგს იქით, ერთ მყუდრო, სადად შემკულ
ოთახში ამოგყავით თავი.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უეცრად ჩემი სახლის სურნელება და იერი
შევიგრძენი. კარგად რომ შევათვალე რე აქაურობა, დავრწმუნდი ქარ-
თულ სასტუმრო ოთახში ვიმყოფებოდი. ჩვენში, აჭარა-გურიაში რომ
ნახავს კაცი. კედლის ერთი ნაწილი ქართულ-ნაქარგი ხალიჩით დაემშვენე-
ბინათ, კუთხეში, პატარა ამბიონზე, მცირე ზომის ხატი ესვენა; კარგად
რომ დავაკვირდი, წმინდა გიორგის ხატს მივაშვავსე. მოპირდაპირე კე-
დელთან საკმაოდ მოზრდილი, ჩუქურთმებიანი მოსასვენებელი ტახტი
მიედგათ, შუაგულ ოთახში კი დაბალი, ჩვენებური ყაიდის ტაბლისათვის
ექვსი სამფეხა სკამი შემოელაგებინათ.

ამასობაში მსახურს სუფრის გაშლა მოესწრო. თუმცა რა სუფრა—
ტაბლაზე აღმოსავლური ნაირ-ნაირი ხილით საესე ზონჩა იდგა, გვერდით,
ზემო იმერეთს გარდა ვერსად რომ ვერ აკეთებენ, სწორედ ისეთი ხელა-
და და ორიც კიდევ მისი საფერი თიხის სასმისი. სულ ეს იყო.

— დაბრძანდით, ჭაბუკო, — წმინდა ქართულით მომმართა მასპინ-
ძელმა.

მშობლიურ გარემო-სურნელში მოხვედრილს არც გამკვირვებია მად-
ლიანი ქართული „დაბრძანდით“.

— თუ არ ვცდები, მემედ ასამბაძის ვაჟი ხართ, არა?

— ბატონი ბრძანდებით.

— ჰოო, ზედგამოჭრილი მემედი ხართ, მამათქვენს კარგად ვიცნობ-

დი, კაი ვაჟკაცი იყო. ხრისტოპულოსმა მიამბო ყველაფერი. როგორც
გავიგე, მამის მკვლელს ეძებთ.

საქართველო
საქართველო

— აბა, სხვაგვარად არ იქნება მაგ საქმე, ეფენდი, მამის უდანაშაუ-
ლო სისხლს ვერ შევირჩენ, ზურგიდან მიმპარველსა და მოლაღატეს თავი-
სი უნდა მიეზლოს. არა მგონია, ვინმემ დამძრაბოს, — სხაპასუბით მი-
ვაყარე.

— ასეთ საქმეში ჩარევა და რჩევის მიცემა ძნელია, შვილო, კაცის
კვლა თავად ითვლება მძიმე ცოდვად, მაგრამ არც იმ ლალატიანი ადამი-
ანის ბოგინი ივარგებს მიწაზე. ვინ იცის, მამაშენის შემდეგ რამდენს მოულო
ბოლო და კიდევ ვის წასიკრებს მისი უკეთური ხელი.

მერე სასმისს წაეტანა და მშვიდი ხმით განაგრძო: — შენ საქმეს თა-
ვად უნდა გაუძღვე, ვაჟკაცი ხარ და მოქმედებაც ვაჟკაცური გმართებს.
ახლა კი მამაშენის ხსოვნისა შევსვით.

სასმისები გამოვცალეთ. მასპინძელი კვლავ შეუყვავ საუბარს: — კა-
რგად ვიცი, მემედს ჭირის დღესავით სძულდა ოსმალს, მაგრამ გაჭირ-
ვებამ მაინც აქაურობას დააკავშირა. ცხოვრება ხლართია, ათასი ხვანჭი,
ხიფათი და უსამართლობა თან სდევს მუდამ, ოღონდ სიბრძნეცაა იგი.
ძნელად შესასწავლი და შესათვისებელი. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, სიკე-
თეზე მეტად სიავეს შეეყრები, მაგრამ არ დაგავიწყდეს, კეთილმან შექმნა
სამყარო, არსება მისი გრძელია.

გაშეშებული ვუსმენდი ტკბილმოუბარ ქართველ ოსმალს. მცირე
ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მასპინძელმა უკანასკნელი ნაფაზი შეისუნთქა
და უსიამო თითებით თუთუნით გამოტენილ ქისას წაეტანა.

— ჩემი თამბაქო გასინჯეთ, ეფენდი, ვფიქრობ მოგეწონებათ.

— ნება შენი იყოს, — შუბლი გახსნა მასპინძელმა და მსახურს დაჭ-
რილი თუთუნის მორთმევა უბრძანა.

დინჯად, დაკვირვებით მოსრისა თუთუნი, მერე დაყნოსა და მიეხვდი:
რომ კმაყოფილი დარჩა. ჩვეულებისამებრ ერთი პეშვი ყალიონს შეუქე-
თა, კვეს-აბედით გააჩაღა და იქაურობა კვამლით დაბურა.

— დიდებულია, დიდებული, ყოჩად, ჭაბუკო! — მოწონების ნიშ-
ნად მხარზე შემეხო, — ჩვენ ვაჭარი ხალხი ვართ და საქონლის ყადრი
ვიცით. აბა, ფასი მითხარი, შვილო.

— როგორ გეკადრებათ, ხოსრო-ეფენდი, ეს თუთუნი ძღვნად მოგა-
რთვით, მერმის ჩამოსვლაზე ერთ ამდენს კიდევ ელოდეთ.

მხრები გაშალა ნასიამოვნებმა მასპინძელმა. ვიგრძენი, რომ დრო
იყო წადილი დამეკმაყოფილებინა, გამეგო, ვინ იყო ეს კაცი, უზარმაზარი
ყალიონისა და საზარელი ხელების პატრონი.

— ქართულ გულუხვობას გადაჩვევიხართ, ხოსრო-ეფენდი, — ნიშ-



ნისმოგებით ჩაუყარი სიტყვა, — თორემ ეს მცირედი საჩუქარი რა სათქმელაა. ხომ გაგიგონიათ, ჩიტი ბდღვანდ არ ღირსო. — გაკვირვებულმა შემომხედა, მარა მის მხერას არ შევეპუე და დაწყებულ სათქმელს ბოლომდე მოუყარე თავი, — ქართველი რომ ბრძანდებით, ამაში დავრწმუნდი. ალბათ, გულმაც იმიტომ გამომიხმო თქვენსკენ. როგორც ვხედავ, ბევრის მნახველი და ჭირგამოვლილი ვაჟკაცი ხართ, ჰოდა, გთხოვთ, ჩემს სითამამესა და გულისწაიღის უდიერებაში ნუ ჩამომართმევთ, აქ მოსვლაც იმან გამაბედინა, რომ ახლოს გამეცანით, შემეტყო თქვენი ცხოვრების ვარამი, გული მეუბნება ამას. ამიტომ გავბედე, იქნებ არასაკადრისი სიტყვაც გითხარით, მივიწყებული წარსული გამოგიჩიჩქნეთ და დაშოშმინებული გუნება გაგიფუჭეთ.

გავჩერდი. თავი ჩაექინდრა შუბლშეჭმუნხულს, ყალიონსაც მალე-მალე აბოლებდა.

კარგა ხანს დუმილი რიალებდა ოთახში. — უხერხულობისაგან ავწრიალდი, თითქოს მიმიხვდაო, ხელადას წაეტანა და სასმისები ღვინით შეავსო, ყალიონი გვერდზე გადადო, სასმისი ორთავ ხელში მოიმწყვდია და სვენებ-სვენებით ამოისროლა სიტყვები:

— ჭაბუკო... მე მსურს... ჩვენი მიწის, ჩვენი ტანჯული კუთხის, ქართველის დაღვრილი სისხლის სადღეგრძელო შევსვა. თითქოს შენოდენამ დავტოვე მშობლიური აჭარა, ათასგზის ნაგვემი და ათასგზის კურთხეული მხარე, აგერ, ოთხ ათეულ წელს მოუყარი თავს, რაც არ ვღირსებოვარ ჩემი მიწის სურნელებას. მოდი, მონატრებისა იყოს, ხანმოკლე კაცს რომ ააფორიაქებს, იმდენ ხანს სათუთად ნატარებს და მერე საღდაც მიჩქმალულს, ერთი შენი სახიერი რომ მოგაგონებს და გახლეჩილ, უკვე დაჩირებულ მკერდს ისევ ავიკვირებებს.

სასმისი სასმისს მივუჯახუნეთ და დავცალეთ.

ყალიონი კვლავ გამართა და კვამლში გაეხვია, ვიგრძენი, რომ სათქმელს იტყოდა, სული ავუფორიაქე და იტყოდა.

ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, ისე დაიწყო.

— აკი გითხარი, ორმოცი წელიწადი მალე შემისრულდება, რაც ტრაპიზუნს ვიმყოფები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ ყველაფერი ძალმომრეობას ემორჩილება.

მეც, ალბათ, ერთი იმათაგანი ვარ და თუ არ დავმორჩილდებოდი, დაუწერელ კანონებს არ ვეზიარებოდი, ვფიქრობ, დღეს შენთან ერთად ამ პეკემოკიდებულ ცოლიკაურს ჭაშნიკს ვეღარ გავუხიზავდი. ორმოცი წელიწადი ცოტა არ არის — ამ ხანში ყველა აწ გავლილ ცოდვა-მადლთან ერთად ბევრიც მიფიქრია და სამოც წელიწადს მიტანებული კაცი მხოლოდ ორადორ ჭეშმარიტებას ვეზიარე: ამ ქვეყნად ყველაზე ადვილი

კაცის სულიერი და ფიზიკური განადგურება ყოფილა, მოთმინება და პატიება ყველაზე ძნელი. ერწმუნე ჩემს სიტყვებს, შვილო, თუნდაც მას შემდეგ, რასაც გიამბობ და მომავალშიც, როცა თავად გადაეყრები მრავალ ჭირ-ვარამს და შენს არჩევანზედ ბევრი სათუო საქმე იქნება დამოკიდებული.

ხოხრო ეფენდიმ ისევ ჩამოასხა ღვინო, უსიტყვოდ გადაჰკრა და შერე გაავრძელა.

— მამაჩემმა, თავის დროზე აჭარაში განთქმულმა საფარ-ბეგმა, ისე მოხდა, რომ ქრისტიანი ქალი, თავად კაცია წერეთლის ასული შეირთო, მალე კი მეც მოვევლინე წუთისოფელს.

* * *

დედაჩემი, იმერელი წერეთლის ასული, ქრისტიანი, ფრიად განსწავლული და მეტად მორწმუნე ქალი იყო. მამა-ბატონი ხომ აღმერთებდა მას. სიყვარულმა თავისი ქნა, ხოლო სისპეტაკემ და სათნოებამ სულიც დაიპყრო საფარ-ბეგისა და მამაჩემმა, სჯულით მაჰმადიანმა, ყველასაგან მაღულად ისლამი დაგმო და ქრისტიანობას, თავის წინაპართა სამებას უზიარა. ასე რომ, მეც ქრისტეს მოძღვრება დავიდე სათავედ და გამდე-ლდაც იმერელი ქალი აიყვანეს.

მამა-ბატონი ჩემს აღზრდაში არ ჩარეულა. იგი მეომარი კაცი იყო, ოჯახისა და სახლობისთვის ნაკლებად იცლიდა. ამიტომ შინაურ საქმეს დედა განაგებდა.

გადიოდა წლები. თუმც, აღნაგობითა და ვაჟკაცობით მამას გამოვე-მსგავსე, გული დედისა გამომეყა. მასავით რბილი და შემებრალე ვიყავი. მიყვარდა მოყვასი და მკეროდა ადამიანის. მამა-ბატონი ძლივას მოესწრო ჩემს დავაჟკაცებას, ძველმა ჭრილობებმა თავი შეახსენეს და მალე განუ-ტევა სული.

ზაფხულობით დედა უმეტესად ჩმერეთში, წერეთლიანთ დიდ მამუ-ლში თავის ძმასთან მაგზავნიდა.

ვამეყ წერეთელი ქეიფსა და დარდიმანდობას გადაყოლილი ბატონი-შვილი გახლდათ. მე აქ უფრო ლაღად ვგრძნობდი თავს. უკვე ოცი წლის ჭაბუკი ვიყავი და ბიძაჩემის დარდიმანდული ცხოვრება მიტაცებდა კო-დეც. დღეებს ნიადაგ ნადირობაში ვატარებდით, ღამეებს კი ქეიფსა და ნადიმებში ვათენებდით, ღვინოსა და ლამაზ ქალებს ვეტრფოდით.

ერთ მშვენიერ დღეს აივანზე ვისვენებდი, თავზე ბიძაჩემი დამადგა და მხიარულად მომმართა:

— აბა, ჩემო ხოსრო, გამოეწაიო, ბატონ გიორგი ლორთქიფანიძის

ოჯახში ვართ წვეულებაზე დაპატიებული. დაუჩქარე, სუფრას სტუმრების დასასდომადე უნდა მივუსწროთ.

— რატომღაც, გიორგი ლორთქიფანიძე თქვენს ნაცნობ თავად-აზნაურობაში არ მაგონდება, ბიძაჩემო.

— შენ მართალი ხარ, დისწულო, გიორგი ოცი წელიწადი პოლონეთში ცხოვრობდა, იგი ჩემი სიყრმის მეგობარია.

— ქართველი თავადი პოლონეთში? — გაკვირვებით ავხედე ბიძაჩემს.

— ჯერ კიდევ ჭაბუკი, მამამისმა, ბატონმა ანდრეაფარმა, ევროპაში გავზავნა სასწავლებლად, მარა სწავლას გიორგიმ სამხედრო გზა არჩია და პოლონეთის მიწა-წყალს ემსახურა, ოჯახიც შექმნა, იქაური ქალი შეურთავს.

— სტუმრად ეწვია თავის ქვეყანას?

— არა, ყმაწვილო, სამუდამოდ დაბრუნდა, მეუღლე გარდაეცვალა, იქაურობა მიჰყიდ-მოჰყიდა, და ერთადერთი ასული თან ჩამოიყვანა. მიწამ უყივლა, სჩვევია ეს მიწას, — მერე მხრებში ჩამავლო ხელი, წამომზიდა და დამიცაცხანა, — ცოტა მარდად გაისარჯე, თორემ ვინ იცის, თუ დავაგვიანეთ, ვინძლო სხვამ იმარჯვოს და თავადის პირმშვენიერ ასულს ტრფობის ისარი შიგ კაკალ გულში მოახვედროს.

— თქვენ რა ქარაგმებით მეუბნებით, ბიძაჩემო, — მოვიკატუნე თავი.

ლორთქიფანიძეებთან გამართულ ნადიმზე უღვინოდ ვითვრებოდი... ტრფობის ისარმა, მართლაც რომ დამკოდა იმ საღამოს, მაგრამ ვაი, რომ ჭრილობის დაამებას საშველი არ ადგებოდა.

ათეული წლები დიდი ხანია ერთმანეთში აითქვიფა, მაგრამ თავად ლორთქიფანიძის ასულის ლაყვარდევით უძირო თვალები მუდამ წინ მიდგას, ჩემს გონებას აბრმავენს და უსასოოს მხდის.

როცა პირველად ვიხილე, გავხევდი — ძოწისფერ სამოსელში გახვეული, ნიამორივით მფრთხალი ჩანდა. მამასთან ერთად ღიმდაკრული იერით ესალმებოდა სტუმრებს. თუმც, გავვოგნდი ფერიის ეშხითა და სინატიფით, მაგრამ სლავური სითამამე მაინც დავიჭირე მის გამოხედვაში,

დაინახა თუ არა ბიძაჩემი მასპინძელმა, სიხარული ვერ დაფარა და ფეხაჩქარებით გამოემართა ჩვენსკენ, ქალიშვილიც გამოიყოლა.

— ჩემო ვამეყ, როგორ გამახარე, ღმერთო-ჩემო, სრულებით არ შეცვლილხარ, ისევ ის თავანკარა, ამაყი გამოხედვა... — მეგობრები ერთ-ერთს გადაეხვივნენ.

წარმტაცი ასულის პირისპირ დავრჩი. ის წამები საუკუნედ გაჭამე-ჭამე, გახვევებულს ბიძაჩემის ხმამ მიშვილა.



— გიორგი, გაიცანი ჩემი დისწული, ბატონიშვილი ხოსროშვილი.
შიძე, — მამა-შვილს მოწიწებით დაუკარი თავი.

— ეს კი ჩემი ასულია, ანა, იცნობდეთ და გიყვარდეთ ერთმანეთი, —
თან დააყოლა, — ცოტა ანცია, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ, გავათამაშე
დედით ობოლი.

წვეულება დამთავრდა, მივხვდი, რომ ჩემი სიჭაბუკე და სილამე იმ
დამესავით გაიღია და დილის ბინდ-ბუნდს გაჰყვა სამუდამოდ. სიყვარუ-
ლის სამსალა ერია ჩემს სასმისში, უტკბესი იყო ის სამსალა, მაგრამ
ხევედნარევი, თანაც რატომღაც მომთენთავი.

ორიოდე დღეში დედა-ბატონის მიერ გამოგზავნილი კაცი მოვიდა —
სასწრაფოდ მიხმობდნენ შინ. გული აქ მჩრებოდა, მაგრამ დედის ბრძანე-
ბას ვერ გადავიდოდი და მალე ჩემს მამულში გავემგზავრე, იქაურნი
საქმენი იყო მოსაგვარებელი.

* * *

დედის გულმა მალე იგრძნო ჩემი სატკივარი. ერთხელ გვერდში მო-
მისვა, პატარასავით მომეაღერსა, დამიყვავა და ბოლოს ჩემს დაოჯახება-
ზე ჩამოაგდო საუბარი. მისგან დამალული არ მქონდა-რა და დედის ყოყ-
მანის შემდეგ გავანდე გულის ნადები.

გავიდა დრო. დედას თითქოს მიავიწყდა ჩემი საწუხარი. მხოლოდ ეგ
იყო, გაზაფხულის დამდეგს, თოვლი რომ საკმაოდ აღნა, კვირბაძლზე იმე-
რეთს გამგზავრება ბრძანა.

გამთენიისას ჩვენი სასახლის ეზოს ოცი ცხენოსანი მოადგა. სტუმ-
რებს მე გამოვხედე — ჰოი, საოცრებავ! აჭარის განთქმული ბეგები, მა-
მაჩემის ერთგული მეგობრები, თანამებრძოლნი, თოფ-იარაღში ჩამჯდა-
რნი, საბრძოლველად თუ შორ გზაზე გასამგზავრებლად გამზადებულნი,
დიდ ჭიშკარს შემოწყობოდნენ და ალაგებზე ცხენებს აღვირით აბამდნენ.

ყველა სათითაოდ ჩამეხვია, მამაშვილურად. მალე დედა-ბატონიც
გამოეგება სტუმრებს. თუმც მოსწრებული ვაჟი ვყავდი წერეთლის ასულს.
მაგრამ დრომ მის ქალურობას, მშვენებასა და პეწს ვერა დააყოლო-რა.
სიღარბაისლე შემატა მხოლოდ. თითქოს მოცურავდა ქართულ კაბაში
გამოწყობილი — ჭარმაგათა ოცი წყვილი თვალი კი მონუსხულივით მის-
ჩერებოდა. შუბლზე ამბორით დააჯილდოვა თითოეული დედამ და სახლში
შეიპატიჟა ნამგზავრნი.

სახელდახელო სუფრა გაიწყო. მიიკითხ-მოიკითხეს ერთუთრით, ძვე-
ლი ამბები გაიხსენეს, და ბოლოს დიასახლისმა სტუმრებს მოწვევის მი-
ზეზი ამცნო. ჩემი გულისთქმა გამართლდა — იმერეთს ეპატიჟებოდა
მამის თანამებრძოლებსა და მეგობრებს დედა-ბატონი — თქვენ უნდა



გაუწიოთო მამობა, მეგობრობა და თანადგომა ჩემს ერთადერთ ვაჟს, რადგან მე, თუმცა დედა ვარ, ქალი მქვია, საქმე კი კაცურად უნდა გადაწყდეს, თქვენს გარეშე კი მარტოა მამის მხრიდანო.

გადაწყდა — იმ დღესვე უნდა გავმგზავრებულიყავით იმერეთს ლორთქიფანიძის ოჯახს. ბიძაჩემთან ერთად უნდა წვეოდნენ მამის მეგობრები და ასულის ხელი ეთხოვათ თავადისთვის.

გრძელი თხრობით თავს არ შეგაწყენ, ჭაბუკო.

ნიშნობა იმავე კვირას შედგა, ქორწილიც არ დავაყოვნეთ. დიდის პატივითა და ზარ-ზეიმით წამოვიყვანეთ ჩემი სათაყვანებელი ანა, აწ მეუღლე ჩემი უკუნისით უკუნისამდე, როგორც ეს ჯვრისწერის ქაშს ბრძანა სულგანათლებულმა მამა ამბროსიმ.

* * *

ანა მალე შეეგუა ჩემს კუთხე-კარს. მისმა მხიარულებამ და ჩვეულმა სითამამემ გამოაცოცხლა სახლის კარი. ასე, სიამტკბილობაში გადიოდა ხანი.

ხშირად მე და ანა ორიოდ მწევარს წინ გავიგდებდით და ტყეს მივცემდით თავს. ანა ნადირობის ტრფიალი გამოდგა. მამაჩემის ნაქონ სანადირო თოფს შესასურად ისროდა მიზანში; ბევრჯერ მიხილავს ანას მარჯვედ ნასროლი ტყვიით განგმირული ისარივით მოწყვეტილი შველი ან მელაი.

სამამულო საქმეებით დატვირთული იმდენად ვეღარ ვიცლიდი ნადირობისათვის. მაშინ ანა მხლებელთან ერთად მოანტებოდა ბედაურს, როცა აჭაურ ტყე-ველს შეეგუა, მოწყენილობის ჟინს არც მარტოცა ეპუებოდა ახლო-მახლო ჭალებში ტაიჭით ნავარდს.

ვამჩნევდი, რომ დედა-ბატონს არ მოსწონდა რძლის აგრერივი გატაცება. მაგრამ არას ამბობდა, მე კი სულ სხვა რამ მაშინებდა — როგორც გავიგე, ჩემი მამულის მახლობელ ტყეში ერთი თავზე ხელადებული ყაჩაღი დაძრწოდა. უამრავ ცოდვიან საქმეს აბრალებდა ხალხი მას. ის კი დანამდვილებით ვიცოდი, რომ დიდსა თუ პატარას უმოწყალოდ ძარცვავდა და სადაც შიში არ გასდიოდა, იქ არც მსხვერპლს ერიდებოდა.

შეშფოთებულმა ანას ვაუწყე, რომ უჩემოდ სასახლის კარმიდამოს არ გასცილებოდა.

აგერ-აგერ შემოდგომაც მიილეოდა. ფოთოლცვენის ქაში დადგა. არემარეს სიგრილე შეეპარა, ტყეს და მის ბინადართ შეაყრეოლა, სოფელიც ზამთრისათვის გაემზადა. კერიაზე უფრო ხშირად ლაპლაპებდა ცეცხლის ალი, სითბოს ეფარებოდა ყოველი სულიერი.



მოწყენილობაჲ იმატა სასახლეში. მე და ანა უმეტესად მოგვიგონებუხართან ვატარებდით დროს, ბაასითა და წიგნების კითხვით ვერთობდით თავს, მაგრამ ერთფეროვნებას დიდხანს ვერ გაუძლო პატარა ქალბატონმა, ველარ ისვენებდა, ცმუკავდა, უმიზეზოდ კაპასობდა.

ერთხელ ხელიდან წამგლიჯა წიგნი, ბუხარში შეუძახა და აცრემლე-ბული ყელზე მომეხვია ალერსით.

— ჩემო ხოსრო, აღარ შემოიძლია, სული მეხუთება, ტყეში გავიდეთ, გავინავარდოთ, თვალი დავატყბოთ, სულს თავისუფლება მივცეთ...

მოკლედ, დამიყოლია. მეორე დღით ცხენები შევკაზმეთ და ტყას სიღრმეში შევყავით თავი.

სასიამოვნო დარი იდგა. თითქოს მზის უკანასკნელ სხივებს ეგებებია-ნო, ტყის ბინადარი გარეთ გამოფენილიყვნენ და თავ-თავიანთთვის ფუსფუსებდნენ.

ცხენები თავის ნებაზე მივუშვით, ვტკბებოდით ბუნების სიამითა და ზემოთ. ტყემ ანდამატივით მიგვიზიდა და შუაგულისაქენ შეგვიტყუა, ამორძალივით ამხედრებული ანა ციურივით ბრწყინვალედა ბუნების წიაღში, მისი ცხენი უსახმანოდ მიგელავდა და მეც ბრმად მივაჴენებდი ბედაურს დიაცის ეგზომ სიმკვირხლითა და სილამაზით ატაცებული.

ბოლოს დაოთხილი ცხენები ჩორთზე გადავიდნენ, არემარე მეუცნა-ურა — ჩანდა ჩვენს სანახებს გავცდით.

ამინდმა პირი იცვალა, მზემ უეცრად აიკრიფა სხივები და ნისლი ჩამოწვა. ანას უკან დაბრუნება შევთავაზე, მაგრამ არ შემეპუა, ჯიუტად გადაუჭირა მათრახი ბედაურს და წინ გაიჭრა. მეც არ დავინდე ჩემი აჯილდა და კვალში ჩავუდექი მქრქოლავ ფერიას.

ნისლი უფრო და უფრო მოეძალა არემარეს. ცხენებს უკვე გუმანო-თაც უჭირდათ გზის გაკვლევა. ცის კაბადონი კიდევ უფრო მკაცრად მოიღუშა, მერმე ღრუბელი შეიყარა და ყიამეთი ჩამოწვა.

წინსვლა გაჭირდა. ერთ აღგილზე დგომაც შეუძლებელი იყო, მზრალი ყინვა ტანში ატანდა, მგლების ყმუილიც შემოგვესმა. ცხენიდან ჩამოხ-ტი, ორთავ აღვირს ხელი გამოვდე და წინ გაუძეხი. ცხენები ატოკდნენ. ახლა ანა მოექცა თავში, ჰკიოდა, როკავდა უნაგირზე, ამხნევებდა ტაიჭს, თმები ჩამოეშალა, თვალანთებული ნადირობის განრისხებულ ქალღმერთს ჰგავდა.

ბუნება თანდათან დაშოშმინდა, დაოკდა, წვიმამ გადაიღო, ცაც გად-იყარა, ტყემ თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა. იმედმოცემულებმა უფ-რო გაბედულად განვაგრძეთ სვლა. დაოსებულებს, დასვენება ერთ სიცო-ცხლედ გვიღირდა, მაგრამ ტყიდან გასვლა დალამებადღე უნდა მოგვესწ-რო, თორემ ნადირის არჩივი გავხდებოდით.

ტიალ ადგილზე გამოვედით.

პატარა მინდორი უამრავ გამხმარ, ჩამყაყებულ ფოთოლს დაეფარა ერთ მხარეს კვამლი შეენიშნეთ, ანამ არ დააყოვნა და იქითკენ აიღო გეზი, დაბალი, უშნოდ გართხმული ქოხი გამოჩნდა, რომლის მსხვილი ძელებისაგან შეკრული კედლები აქა-იქ საკმაოდ გამრუდებულიყვნენ.

ცხენები ქოხთან შევაყენეთ. შვებისგან ბედნიერად ამოვისუნთქეთ, ანას სიხარულისაგან თვალები გაბრწყინებოდა — გადავრჩით. ანაზღად ქოხის კარები გაიღო და წირხლზე თოფ-იარაღში ჩამჯდარმა ვეება მამაკაცმა გადმოალაჯა. უზარმაზარი, ბუნებისაგან ზედმეტად ასხმული, გაბურძენილი თმა-წვერითა და იქედნური ლიმილით უხვიროდ გასხვილ მორს მაგონებდა უცნობი.

მზღალი არ ვყოფილვარ, მაგრამ გულში ავად გამკენწლა, არ მესიამოვნა ამ ბუმბერაზი ტყისკაცის ხილვა. ანას გადავხედე, იგი სრული სიმშვიდით გასცქეროდა მთაკაცს, რომელიც აუჩქარებლად მოაბოტებდა ჩვენსკენ. მე გახევებული ვიჯექი ცხენზე, მოგვიახლოვდა, ანას შეეგება, წელზე ხელი მოხვია და ბუმბულივით ჩამოსვა ძირს.

ელვის სისწრაფით შემოტრიალდა ჩემსკენ, წინააღმდეგობის გაწვევად ვერ მოვასწარი, უმაღლესი გათოკილი აღმოვჩნდი მიწაზე.

— ყაფან, არ მოკლა, — ემუდარა ანა.

სმენას ვერ ვენდე, ღმერთო-ჩემო, საიდან იცნობდა მეუღლე ჩემი, თავადის ასული, პატარა ქალბატონი, სასახლის კარის მშვენება ამ ნახევრად ველურს.

მხეცკაცმა ზეზე წამომაგდო, ქოხში ხელის კვრით შემიყვანა. კუთხეში მიმაგდო, მაჯებზე შემოსალტული თოკი გულდაგულ გამისიჯა და ფეხებიც ძალუმად გამიკრა.

ვეკ, ჭაბუკო, გახსენებაც კი მზარავს იმ ამბისა.

ცის გაბობას უფრო დავიჯერებდი — ჩემი ნაზი და პაეროვანი მეუღლის უნაბივით ტუჩები იმ საზარელ პირისახეში ჩაიმალა...

კრიჭა შემეკრა. გიჟივით ვაცეცებდი თვალებს, თავი სიზმარში მეგონა, გულსა და გუჟანს არ ვუჯერებდი, მელანდება-მეთქი, ალბათ, ალქაჯები დაეპატრონენ ჩემს სულს, ავი სულები მიწეწავდნენ გულს, მაგრამ, ვაი, რომ ყოველივე ნათლად დავინახე და გავიგონე.

გონება დამებნიდა. აზროვნების უნარი წამერთვა, უამრავი ნაპერწკალი ღაციაგებდა ჩემს თვალებში, გაურკვეველ წკვარამში მოვექეცი და უსასოოდ ვეხეთქებოდი აღმა-დაღმა. მივხვდი, რომ დავიღუპე, ქალი კი არა, ასპიტი მყოლია სარეცელის მოზიარე, ამ ამჟღავნებით დედაკაცის წერა უნდა გავმნდარიყავი. გადავწყვიტე გონი მომეკრიფა და ყოველი ძალა მესმარა ამ ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად.



გაყინული სისხლი თანდათან შეთბა და ამოძრავდა, გონება ნელ ნელ გამინათდა, საღად ვაზროვნებდი. მივხვდი, რომ გულუბრყვილობამ დამოღუპა, სიყვარულმა დამაბრმავა, მეუღლემ ჩემმა კი მონადირე ძაღლივით გამომიყენა და გამწირა. ნამუსი და ვაჟკაცობა ფეხით გამითვლა, არად ჩამავლო, კახპობა ირჩია, უნამუსობას ზღვარი არ დაუდო და ბოლოს თვისი კუროს ხელში ჩამავლო.

შურისგების ზარს უნდა ჩამოეკრა. სხვა გზას ვერ ვხედავდი. ან მე, ან ისინი უნდა აღგვილიყვნენ ამ ცხოვრებიდან. უშმინდურებას უნდა შერკინებოდა გათოკილი შურისგება.

დრო მცირე მრჩებოდა—ქოხი მოვათვალიერე, ტახტის თავთან ნაირ-ნაირი თოფ-იარაღი ეკიდა, მაგრამ ხელ-ფეხ გაკრულს რა შემეძლო. მივიხედ-მოვიხედე, კარიც საგულდაგულოდ ჩაერაზათ.

ადამიანი განსაცდელის ქამს მუდამ პოულობს რაიმე გამოსავალს, თუნდაც უმძიმესს. ძნელი, მაგრამ საკმაოდ სალი აზრი დამეხდა და აღარ დავაყოვნე.

ქოხში შუაცეცხლი ენთო. უზარმაზარი ჯირკი მადლიანად ბრდღვიალებდა. სამ-ოთხჯერ გვერდულად გადაეტრიალდი და შუაცეცხლთან აღმოვჩნდი. ცეცხლისკენ ზურგით მუხლებზე დავიხრქე და გაბაწრული მაჯები ავოხვიზებულ ჯირკს დავაბჯინე. სიმწრისაგან ენა კბილებს შუა მოვაქციე, გული ვერ გაუძლებდა აუტანელ ტკივილს, მაგრამ დამწვარი ხორცის უსიამო სუნი მამხნევებდა, თითქოს მაძლებინებდა, თან ვშიშობდი, ქოხში დატრიალებულ ოხშივარს მძინარენი არ შეეწუხებინა, მაჯები ავამოძრავე, მომწვარი თოკი ძალუმად გავსწიე და როგორც იქნა ხელები გავინთავისუფლე. განასკვული ფეხებიც სწრაფად გავიწხენი და სიხარულისაგან ლამის შევეყვირე.

შემდეგ კი ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ჭაბუკო.

საცოდავი ანა ყელგამოლადრული მამაკაცის ხროტინმა გამოაღვიძა. თვალი უსწორა სისხლის წვეთებით დაწინწკლული ხანჯლის წამახულ წვერს და ტანი ზემოთ წამოაგდო, თითქოს მკერდით შეეგება შემართულ სიკვდილს... ერთიც არ დაუკვნესია, დუნედ მოეშვა მისი ლამაზი სხეული და რალაც უღვთოდ მწარე კვნესა დაატანა უკანასკნელ ამოსუნთქვას. ცეცხლს მივეცი ქოხი, დიდხანს ვიდექი დამუნჯებული. ჩამოინგრა ავოხვიზებული სახურავი და ნაკვერჩხლებში სამუდამოდ ჩაიხუმქრა უწმინდურობა.

მერე კი... დავაგდე ბედის ანაბარა მშობელი დედა, ალბათ ცოცხალ შვილზე ჩავაცვი ძაძები. დავტოვე მამული ჩემი და გადმოვიხვეწე აქეთ.

შორს აღარ წავედი. ორმოცი ზამთარი და ორმოცი ზაფხულია ზღვის ტალღებს ვატან ჩემი მიწის სიყვარულს, ჩემს მონატრებას, იქ, სულ ახ-

ლოს რომ არის. აქამდე აღწევს ჩემი კერიის სითბო და ალერსი, მყუდროება და სისადავე, სურნელება. ორმოცი წელიწადია ბარტყივით დაბუდებულ სიყვარულს სათუთად ვინახავ, ვმაღავ, არ ვამხელ, რადგან მშობლიური მიწა-წყლიდან აღკვეცილი კაცის სიყვარულს ფასი არა აქვს, წყალწყალა და უფესვოა იგი. თუმც აქაც ბევრი სიკეთე მითესია, ჭირში ჩავარდნილი თანამემამულისათვის არაერთგზის გამიწვდია ხელი, სამშობლოდაკარგულნი დამიბრუნებია თავისი კუთხისათვის და ჭირი ღვინად მიქცევია მათთვის. მაგრამ ამით ხომ ისევ თავს ვშველოდი, სულს ვაამებდი, თორემ ჩემი მოკლე ხელები რას გაწვდება მშობელი მიწისგან მოწყვეტილ ამდენ სვეგამწარებულს.

დრომ თავისი ქმნა — მე უკვე მტვრის ის ნაწილაკი ვარ, ამ აბორგენულ ქალაქში რომ ტრიალებს ეშმას კუდივით, როცა იქნება, მოვწყდები მტვერთა მოარულ სვეტს და უთვისტომოდ გავექრები, ჩავინთქები უსასრულობაში, ასე სქლად რომ ჩამოსწოლია ამა სოფლის ხანმოკლე არსობას...



მინიატურები

თვარონა

ფანჯრის მიღმა ღრუბლები ლეგა-ლეგა მიიწევდნენ დასავლეთისაკენ. ჩამავალი მზის სხივები ხან გამოიჭყიტებოდნენ ღრუბლებს შორის, ხანაც მიიმალებოდნენ, თითქოსდა ეზოს თავზე მოფრთხილვით მერცხლებს დამალობანას ეთამაშებოდნენ. ხანგრძლივი მოგზაურობისაგან მერცხლები დაღლილები იყვნენ, მაგრამ მაინც ზოგი ბუდეც იკეთებდა, ზოგიც უთავბოლოდ დაფრინავდა ჰაერში. თითქოსდა ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი, სად ჯობია ბუდის გაკეთებაო.

კაცი გაბუსული იჯდა. ჩვენს გოგოს ვანოს ბიჭი შეყვარებულიაო, ეთქვა ცოლს. ჭაქანებდა ქალი, რა დროს მაგათი სიყვარულია, სკოლა არ დაუ-მთავრებიათო...

მერცხლები ნამეტანი სიხარულისაგან, ვინ იცის უკვე მერამდენედ, გარს უვლიდნენ ეზოს და თითქოსდა ჭიკჭიკებდნენ: სიყვარულმა განა-სააკი იცისო.

გოგო თვალეზმობილი იდგა ფანჯარასთან. ყურში ვაჟის ჩურჩული ესმოდა:

— მითხარი, თებრონე, ია ხარ თუ?..

— ?..

— მაშ თუ ია არა ხარ, რატომ გავხარ? ვინ გავხარდა იის სულით აღამიანდა!...

— რა დროს მაგათი სიყვარულია! — ჭაქანებდა დედა.

— არ დაინახოს თვალეზმა! — უყვიროდა მამა.

— ვინ გავხარდა იის სულით, თებრონე? — ჩურჩულებდა ვაჟი. ფანჯარაში კი მოიპარებოდა გაზაფხულის სევდიანი ღამე.

ბელურები

ფოთლებშემოძარცულ ხის ტოტებზე მოზუზული სხედან ბელურები. შენ დარეკავ...

აკრეფ ნაცნობ ნომრებს და დაელოდები...

უცებ შეგიჩერდება სუნთქვა, იქნები ასე რამდენიმე წამს გაკვირვებული

ბული (უკვე მერამდენედ), მისი ამდენი ხნის დუმილით.

„— არაფერი არ მკითხო, არაფერი არ თქვა... მოდი!“ — და შემო-
ნებული იმით, რომ პირველმა არ გამოართოს ტელეფონი, აჩქარებული
დაკიდებ ყურმილს.

...მერე დაიწყება ლოდინი, ვეებერთელა და უზარმაზარი...

...მერე გეგონება, რომ ქვეყნად მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ
სილამაზე არსებობს, რადგან გაგახსენდება: „— ამ გოგოს რომ ვუყუ-
რებ, ასე მგონია, მხოლოდ ბედნიერება დაფრინავს დედამიწაზე...“

მერე გგონია, დგახარ ათასფერად აყვავილებულ, მოჩუქურთმებულ,
უზარმაზარ მინდორში. თავს ზემოთ ბრღღვიალა მზე, ცისარტყელა და
პეპლებია, ფარფატებენ, ცეკვავენ, თამაშობენ მზის სხივები და შენც ხე-
ლებგაწვდილი მიფრინავ მზისაკენ...

...იცი, რომ არ მოვა, და მაინც ელოდები, მაინც ლამაზია იტგვლივ
ყველაფერი, და გეშინია ფანჯრის მიღმა არ გაიხედო, რადგან იქ ზამთა-
რია, ცივა და ფოთლებშემოდარცვულ ხის ტოტებზე მობუხული სხედან
ბელურები.



ღამის სილუეტები

ჩემი წყვდიადი... დაღლილი, ქანცაწყვეტილი პატარა ქალაქი განსვენებას მიეცა... აივნიდან ვიყურები. მთელ ქალაქს ხელისგულივით ვხედავ. ...ცივა, მაგრამ სიამოვნების ყრუანტელი მივლის მთელ სხეულში. მატყოვლებს... რა ლამაზია! ქალაქს ცივინათელები დასვეიან, უხარიან, წყვდიადში ქალაქს რომ ანათებენ, შნოს მატებენ. სიბნელის ძალიან მეშინია. პატარა ციმციმა მანათობელები გულს მიმაგრებენ...

სამარისებურ სიჩუმეს მანქანათა ხმები თუ დაარღვევს. ჯერ სინათლით გაბუღილებული ფარანი გამოჩნდება, მას მანქანა მოჰყვება და მასთან ერთად — ყურწამლები ზუზუნნი, ცოტაც და, კვლავ სიჩუმე იხადგურებს, ეს აუტანელი, მოუთმენელი სიჩუმეა. თითქოს ვიღაცას ველოდები, მაგრამ ვის? არ ვიცი... დრო არ ჩქარობს, მიიზლანება, მილასლასებს...

ყურადღება კაცის სილუეტმა მიიქცია. შორიდან რუხ კითხვის ნიშანს ჰგავდა... სწრაფი ნაბიჯით, თავჩაქინდრული მიდის. ხელის სწრაფი მოქნევით ქურთუკიდან კოლოფი ამოიღო და სიგარეტი პირით ამოაძრო... შეჩერდა, ქურთუკის მარჯვენა მხარეს ხელები მოათათურა, როგორც იქნა, მონახა. თუთუნს ასანთი მოუკიდა და ღრმად ჩაისუნთქა... თითქოს რაღაც დარჩაო, უკან მოიხედა, ნაღვლიანი თვალები, ალბათ არემარეს მიმოავლო... ვერავინ შეამჩნია. სიცივისაგან დასველებული ტუჩები ენით დაისველა, კვლავ ქურთუკში ჩარგო თავი და გზა განაგრძო...

მოპირდაპირე მხარეს მოხუცი ქალი გამოჩნდა. ბნელა, მაგრამ მაინც ვხედავ ძველისძველი, ნახვრეტებიანი შავი შალით დამპყნარი სახე დაუმაღავს. ბედის უკუღმართობას მათხოვრად გაეხადა. მიწამდე დახრილი, ყავარჯენზე დაყრდნობილი უსუსური, ნელი ნაბიჯით მიჰყვება დაუსრულებელ გზას... მხარზე გაქეპილი ხელჩანთა ჩამოეკიდა. მარცხენა ხელი მტკიცედ ჩაეჭიდა... მხოლოდ ესღა დარჩენია წარსული ცხოვრების მოსაგონებლად.

სულ ცოტაც და ორი სილუეტი სიბნელემ ჩაყლაპა.

ტაკ, ტუკ, ტაკ... ტუკ... სწრაფი ნაბიჯით, თეძოების რხევით, ყელმოდერებით მოაბიჯებს ახალგაზრდა ქალიშვილი. სიცივეს არცკი გრძნობს. შორიდან არ ჩანს, მაგრამ მე მაინც ვგრძნობ, ცისფერი პერანგის ღილაკი შეხსნია. ფიფქივით თეთრ, ნაზ კანზე, კისრის ბოლოში, პატარა ყავისფერი

ხალი გამოთლილა. პერანგის საყელოდან ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაიხრება. ელოლიავენ. ეთამაშება ნაზ არსებას, ხანდახან ვერ მოზო-
მავს, სულ მთლიანად გადაიხრება და მკერდის ჭრილს ბოლომდე გამოა-
ჩენს... გოგონას თლილი, ნაზი ხელები ეხება ცისფერ საყელოს, შეისწო-
რებს, გაილამაზებს, ყელს მოიღერებს და კვლავ ტაკ, ტუკ...

უფრო აცივდა, დაყრილი შავი დალალები კისერს შემოეხვივნენ. ერთი წუთითაც არ სცილდებიან თბილ და ნაზ სხეულს. ქალიშვილს სია-
მოვნებს, ტანში ჟრუანტელი უვლის... დალალები თავისას არ იშლიან. ახ-
ლა მთელს სახეზე შემოეხვივნენ. გოგონა შეწუხდა, თითებით გაიფანტა.

...უფრო ჩქარობს, ნაბიჯს უმატებს, მაგრამ თავს კი არ ზრის, კვლავ
ყელმოღერებით მიაბიჯებს. გოგონა გრძნობს, რომ იღლება. ფერმკრთალი
ლოყები კიდევ უფრო ამშვენებს, ტუჩებს ღიმილი დაჰყვება. ხანდახან
ააცმაცუნებს მას, თეთრ ჩამწკრივებულ კბილებს გამოაჩენს და კვლავ
შეაწებებს ერთმანეთთან.

ცა ვარსკვლავებით აივსო. ქალწულს თაფლისფერი, უძირო თვალები
მათკენ მიუბჯენია... წამში შემოავლო მთელ ცის გუმბათს თვალი... გრძე-
ლი შავი წამწამები სწრაფად ეხებიან და სცილდებიან ერთმანეთს. გოგო-
ნას თვალები დაეღალა, მოეკუტა. თავისას არ იშლის, არჩევს ვარსკვლავ-
თავან ლამაზსა და მშვენიერს და გულში ფიქრობს... „ეს ჩემია, არა ესა
სჯობს“.

როცა ასეთ არსებას უყურებ, ნამდვილად რწმუნდები, რომ სილა-
მაზე გადაარჩენს სამყაროს!



იერონიმას ლაუტინუსი

(ლიტვა)

ორი ნოველა

მიწილქვეშა ბაღის უვავილოზა

შორეული და საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დავბრუნდი. შინ მამაჩემის წერილი დამხვდა. თრთოლვით გაეშალე ფურცელი.

„ჩვენი მამაპაპური სახლი აიღეს და ახალ ბინაში გადაგვიყვანეს. რაც ზედმეტად ჩათვალეს, მიწის ქვეშ მოაქციეს, ძელები კი შეშად წაიღეს. აქ, ამ დაბაში, სულ ქვიტიკირის სახლებია. ჰოდა, ეცხოვრობთ ასე. ძალიან კი მოგვენატრე“, — მწერდა იგი.

შემეცოდა მამა, — მას ხომ მარტოდმარტო მოუხდა რამდენი რამის გადატანა. თუმცა საქმე არაფერია. საქმით მამას ვერ შეაშინებ. მთავარი ძველ სახლთან განცდა იქნებოდა. გული დამეჭჭჭა გახსენებაზე. ცუდია, რომ იმ დროს მის გვერდით არ ვიყავი.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ უკეთესიცაა. მამაზე ნაკლებ ემოციური როდი ვარ.

მანქანაში ჩავჯექი და დავქოქე. რატომღაც იმედი მქონდა, რომ მშობლიური სახლი თავის ადგილზე დამხვდებოდა. დაღლილობა თითქოს სადღაც გაქრა. დაბნეულად, თითქმის ანგარიშშიუცემლად ვმართავდი მანქანას. ფიქრებით მშობლიურ სოფელში ვიყავი. ხან ჩვენი სახლის ეზოში დავბობდი, ხან ბალახბულახში ვგორავდი, ხანაც ბაღში ლოყაწითელა ვაშლებს მივირთმევდი. გზატკეცილიდან გადავუხვიე. მოუკირწყლავ გზაზე ხტომა დაიწყო მანქანამ.

აი, ჩვენი ძველი სახლიც...

ოხვრა აღმომხდა უცებ, — აღარ არის! მეხსიერებაში მკვიდრად ჩარჩენილი სურათი და სინამდვილე სხვადასხვა იყო. აღარ არის სახლი, არც ვაშლის ბაღი! მამის მოშენებული ჩემი საყვარელი ვაშლის ბაღიც აღარ არის! მის თავზე აღმართულ თეთრ საკვამლე მილს შორიდან შენიშნავდი.

ქის ოწინარიც გამქრალიყო. ყველაფერი გადაეხსნათ და უმოწყალოდ მიენგრ-მოენვრათ.

მუხლები მომეკვეთა. იქვე დავეშვი, ძირკვზე. თვალები დავხუჭე. ახლა უფრო ცხადად დავინახე ქარში მონანავე ბალი, წეროსავით კისერწაგრ-ჩელებული ოწინარი და სოფლის ბილიკები.

ეჰ, აღარაა თეთრად აფეთქებული ვაშლის ბალი! შორიდან რომ გავ-ხედავდი, ასე მეგონა, ვიღაცას ქათქათა სალებავი მიმოუშხეფებია მის რტოებზე-მეთქი. ქარი რომ მოიქროლებდა, ყვავილები გუნდ-გუნდად ავარდებოდა ხოლმე ჰაერში. ხან აქედან ავარდებოდა, ხან იქედან და წავი-დოდა ცაში. მერე ფანტელებივით მიმოიბნეოდა ჰალებსა და ბილიკებზე.

ბალის ბოლოს ჭაა. აგერ, ნალიისაკენ მიმავალი ბილიკი. იქ არყის ხეების ტევრისაკენ მიიკლაკნება გზაბაწარა. მოგონებაში ვხედავ, ჭიდან ოწინარით ამომაქვს წყალი და ვედროებში ვასხამ რიგრიგობით. აგერ უკვე მიმაქვს შინისაკენ. უცებ ჩერდება წარმოსახვა. სახლის წინ დიდი კუზი წამომართულა მთასავით. მთელი ეზო კუზად ქცეულა თითქოს. უშნოდ გადახორტილი და ღრმა ჭრილობებით დასერილია კუზი. დგას ბიჭუნა და თვალებგაფართოებული შესცქერის. უცებ მივხვდი — აქ ჩაე-მარხათ ჩვენი ვაშლის ბალი, დაეჩხათ და დაეფლათ.

მანქანის საბარგულიდან ბარი ამოვიღე და თხრა დავიწყე. კუზის თა-ვზე ვიდექი და ვთხრიდი გამალებით. ბარის პირი ადვილად ჩადიოდა რბილ მიწაში. მონოტონურმა საქმიანობამ სიმშვიდე მომგვარა. ან იქნებ ეს ბუ-ნების იმ იდუმალი ძალის მოქმედება იყო, ახალი, უფრო მწარე დარტყმის გადასატანად რომ გვაშაბდებს ადამიანებს?..

აი, ვაშლის რტო ამოვადგე. მერე ნაყოფიც. წითელია, ღუზღუზა. თუმცა ტალახშია ამოსვრილი, მაინც თვალისმომკრელად წითელია. სად იდგა ეს ხე? ჰო, აი, იქ. გამახსენდა, როგორ ვკრეფდი. რა გემრიელი იყო! (ბიჭუნა დგას და მადლიანად მიირთმევს ვაშლს). გავეშვებულივით ვეცი მიწას, ვთხრიდი და ვთხრიდი. უცებ შავ აგურზე გაიხრჭილა ბარის პირმა. ეს ჩვენი ღუმელის აგურია. აგერ კრამიტიც... ბარის პირი ტოტე-ბში ეჩხირება.

ნაყოფიანად დაუფლიათ.

იქნებ მიწისქვეშეთში ასეთი სურათი არავის აკვირვებს... იქ არავის სტიკვა ცოცხლად დამარხული ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხეები. მხოლოდ შენ, იმიტომ, რომ დიდ ქალაქში, ერთ-ერთი მაღლივი სახლის მეათე სართულზე ყუთივით ბინაში გამომწყვდეულ ინტელიგენტს, გაშ-ფოთებს მშობლიურ სოფელში მიწასთან გასწორებული სახლის, ცოცხ-ლად დამარხული ბალის, ქის ოწინარისა და დედასავით თბილი და მოალერ-სე ღუმელის ხილვები...

„იქნებ მიწისქვეშეთშიც აცხობს იგი პურს?“.. — გავიფიქრე.



ზედაპირი მოვასწორე ისევ. მთელს სხეულში მტეხდა. ძლიერს მივართიე ტანი მანქანამდე. კარი გავაღე. და სავარძელში ჩავეშვი. ერთხანს ვიყავი ასე მოშვებული და თვალბმბილულული. მერე ძრავა ჩავრთე. ტრაქტორის მუხლუხებით მინგრეულ-მონგრეულ თხრილებს გვერდი ავუარე და მთავარ გზაზე გავედი. მალე გზის გასწვრივ ჩამწყრივებული ხეების უკან დარჩა მამისეული ბაღი, ახლა უკვე იმ ცხოვრებაში გარდასული.

ზემოდან უზარმაზარი კუზი აზის საფლავით.

შრომისმოყვარე და ფუსფუსა იყო მამა. ეჰ, არ დავემსგავსე. „საიდან გაჩნდი მაინც ასეთი უნიათო!..“ — ახლაც ჩამესმის ყურში მისი საყვედური.

თვალეზი მენისლება. „არა, არ შეიძლება მანქანის მართვა, ფათერაკი მომივა!“ — გავიფიქრე და რამდენიმეჯერ ღრმად ჩავისუნთქე, შვება ვიგრძენი.

„მალე ზამთარი მოვა და თოვლით დაიფარება ვაშლის ხეების სასაფლაო, — ვფიქრობდი მე, — მერე გაზაფხული იმძლავრებს — აყვავდება მიწის ქვეშა ბაღი. აყვავდება ძველებურად, თითქო ქათქათა საღებავი მიმოფანტვიათო რტოებზე“...

მანქანა მიჰქროდა ქალაქისაკენ და მე მჯეროდა, რომ მამის მოშენებულ ვაშლის ბაღის ყვავილობას კვლავაც დავინახავდი ჩემი პატარა ბინის ფანჯრებიდან. მერე სამხრეთ-დასავლეთის ქარი მოიქროლებდა და კვლავაც მომიტანდა მის ნაცნობ სურნელებას.

ბედის კონვეიერი

ნელა, მონოტონური ზუზუნით მიიზლახნება წინ კონვეიერის უსასრულობა. ზედ უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილია ადამიანთა ბედ-იღბალი.

კონვეიერს გაურკვეველი ასაკის ქალი უზის. დიდი ნაცრისფერი თვალეზი აქვს და ძალიან უხდება. გრძელი წამწამების ჩრდილში ნაღვლიანი ელფერი დაჰკრავს მის თვალეზს.

ქალის მოვალეობაა კონვეიერის ლენტზე მიყრილ-მოყრილი ბედ-იღბლის დაწყვილება.

ქალს ბედისწერა ჰქვია.

აი, გრძელი თლილი თითებით იღებს იგი ვილაცის იღბალს. ერთხანს უჭირავს. სათუთად უჭირავს ბედისწერას იღბალი. თვალეზით ეძიებს შესაფერს. უცებ ნახულობს და ნაღვლიან თვალეზში სიხარულის სხივები აუთამაშდება. მაშინ კონვეიერი წამით წყვეტს ზუზუნს — ჩერდება. ქალი უცნაური ბუტბუტით აწყვილებს ბედ-იღბალს.

რას ბუტბუტებს, ნეტავ?

ალბათ, ლოცულობს. ჰო, ასე იქნება. სახეზე ნეტარი ღიმილი აქვს დაფენილი და ლოცულობს. ტუჩები უთრთის ოდნავ.

ლამაზი ტუჩები აქვს ბედისწერას. მრგვალი და აბურცული. ოღონდ, კუთხეებში ოდნავ შესამჩნევი ნაოჭებით. როცა ჩაფიქრებულია, კიდეც უფრო უმრავლდება და უღრმავდება ნაოჭები.

დაღლილობაც გაქრობია. ბედნიერია ახლა. აბა, რა — სხედასხვა გზით მიმავალი ორი ბედი დააწყვილა.

ისევ დაიძვრება კონვეიერი და ახლა უკვე ერთ არსებად ქცეული ორი ბედი ერთად გაუდგება საკუთარი ცხოვრების გზას.

ჩვენ, ადამიანები, ვერ ვვარძნობთ ბედისწერის შეხებას. ასე გვეგონია, თავისით მოხდა ყველაფერი: ერთ მშვენიერ დღეს შევხვდით ერთმანეთს ორი საბედო, ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში და... მას შემდეგ ხელიხელ-ჩაკიდებულები მივაბიჯებთ საკუთარი ცხოვრების გზაბაწარა ბილიკებზე.

ზოგი საერთოდ ვერ ვამჩნევთ საკუთარი ბედის უეცარ შემობრუნებას. წვრილმანი თუ მსხვილმანი პრობლემებით დამძიმებულ ჩვენს გონებას აღარც კი ახსოვს ის დღე, როცა პირველი გამხელის სიხარულით აღტაცებულნი მეშვიდე ცაში დავეფრინავდით. ღვიძილშიაც და ძილშიაც ჩვენი სათაყვანო არსება გვეშამნებოდა. ივანობის დღეს ბედნიერების მომტან გვიმრას დავეძებდით და მის რტოს ჩურჩულით ვაცილიდით ფოთლებს: —

„ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ...“

„ვუყ-ვარ-ვააარ!..“

ეჰ, ზოგჯერ ისიც კი გვაგვიწყდება, პირველი კოცნის განცდით კვირები რომ არ გვეძინა, შეყვარებულის სახელის გაგონებაზე ელეთ-მელეთი მოგვდიოდა.

ზის ბედისწერა კონვეიერთან...

თვითონაც არ ახსოვს, როდის დასვეს... ვინ დასვა... ვინ დააგალა: ადამიანების ბედ-იღბალი შენს ხელშია და ახლა შენ იცი და შენმა ქალობამო.

როგორ არ ცდილობს, ყურადღებით ადევნოს თვალი კონვეიერის ლენტს, ხდება, ზოგჯერ გაექცევა, მზერა შორს, ცის უსასრულობაში. ჰო, ქალი მაინც ქალია და ბედისწერასაც უყვარს ოცნებებში წასვლა. უცნაური აღმაფრენა ეწვევა უეცრად და გაფრინდება ბედისწერა ლაქვარდებში. კარგა ხანს ეთამაშება იქ ხან მთვარეს, ხან ვარსკვლავებს. უფრო ვარსკვლავებს. მერე ერთ ვარსკვლავს მოწყვეტს და უბეში შეინახავს. შეინახავს და დაუთბება უბე. ჯერ უბე, მერე მთელი ტანი. „ჩემი ბედის ვარსკვლავი... ჩემი ბედის ვარსკვლავი!“ — ჩურჩულებს თავისთვის ბედისწერა. ახლა იგი ჩვეულებრივი ქალია — ოცნებისათვის, სიყვარულისათვის, დედობისათვის გაჩენილი ქალი.



ფაქიზად ალაგებს თავის ციურ ოთახს. გემრიელი კერძების მომზადება იცის, მერე, როცა ბინდი ჩამოწვება, უცნაური ღიმილით შლის ლოვინს. თავთან ორ ბალიშს დებს...

მეორე დღეს... (ღმერთო, შეუძნე შეცოდება!) ხელებში ჩვილი ჩაუვორებია და უნანავებს.

ზეციერის თვალები რისხვას აფრქვევს. ეს რა ჰქენიო, უყვირის, ადამიანების ბედ-იღბალი განდე, შენ კი საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრობო. ღმერთის მაინც არ გეშინიაო?! — უწყრება ღმერთი.

ისე ამოიოხრებს ბედისწერა, რომ ღმერთსაც შეეცოდება.

შეფიქრიანდება უფალი: „იქნებ სხვა დამეყენებინა მაგ კონვეიერთან, ეს კი ადამიანებთან გამეგზავნა?“..

წუთიერი სისუსტით გაიფიქრებს ასე ზეციერი, მაგრამ მალე ისევ დაიბრუნებს სიბრძნესა და სიმტკიცეს:

„მერე ის სხვაც მიწაზე დაშვებას მოისურვებს“...

ეს რა მომსვლიაო! — შეიცხადებს ქალი-ბედისწერა, — რამდენი ადამიანი გამოუბედურებიაო. ყველაფერი ჩემი თავქარიანობის ბრალია, რა ეშველება ახლა ამ საქმესო! შემოიკრავს თავში ხელებს და გადმოაღვარღვარებს ცრემლებს.

ბედის კონვეიერს ვერ გააჩერებ. ვერც უკან დააბრუნებ. არადა, რამდენი შეცდომა მოსვლია ბედისწერას, ერთმანეთისათვის გაჩენილ რამდენ ადამიანს აურია გზა-კვალი. რაღა ეშველება ამათ?!

...ერთ ჭერქვეშ შემთხვევით მოხვედრილი ორი სხვადასხვა ბედი ველარ პოულობს საერთო ენას. უყურებენ ერთმანეთს და უკვირთ, რამ დაუბნელათ თვალები, რატომ ვერ მიხვდნენ დროზე, რომ უცხოები იყვნენ ერთმანეთისათვის?

იწყება ჩხუბი და აყალ-მაყალი. კაცი ღვინოს მიეძალება ან სხვაგან მოძებნის ნავსაყუდელს. ქალი... ბოლოს და ბოლოს, ან მიატოვებს ქმარს ან გადაყრება ვინმეს. და იწყება ტრაგიკომედია: ერთმანეთის მალულად შინ მიიპარებიან დაგვიანებული ცოლი და ქმარი — ორი უცხო ბედი...

ხედავს ამას ქალი-ბედისწერა და არ იცის, რა ქნას. ზოგჯერ, სასოწარკვეთილებამდე მისული, სახეს იკაწრავს, ტუჩებს იკნეტს, საკუთარი გაჩენის დღეს წყევლის. ო, როგორ სურს გამოისყიდოს შეცდომები, ოღნავ მაინც შეუმსუბუქოს მდგომარეობა თავგზააბნეულ ადამიანებს. მაგრამ გვიანია თითებზე კბენანი.

მაშინ ბედისწერა მათ შვილებს უბოძებს დაკარგული საბედოების თვისებებს.

გავა დრო და მშობლები მიხვდებიან ყველაფერს. საკუთარ შვილებში დაინახავენ ერთ დროს მათთვის საოცნებო არსების თვისებებს. დაინახავენ და შეკრთებიან. ხომ არ მოგვეჩვენაო, გაიფიქრებენ. მერე გაუხარდნენ.

ბათ. ძალიან გაუხარდებათ, და შვილებზე გადაიტანენ სიყვარულს...
ცოლქმრული ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი გახდება.
ღაბნეულია ბედისწერა. აღარ იცის, როგორ მოიქცეს, რომ ცოტათი
მაინც შეუმსუბუქოს მდგომარეობა ადამიანებს.

და უკანასკნელ ნაბიჯს დგამს. ერთმანეთისათვის გაჩენილთ ღრობით
შეხვედრებს უწყობს.

ხელებიან ადამიანები შემთხვევით ჟურნალ-გაზეთების კიოსკებთან,
კლავებზე, ავტობუსების გაჩერებებთან, მეტროში, თვითმფრინავებშიც
კი... ასაკში შესულნი — ბულვარებში ძელსკამებზე.

მალულად გააპარებენ მზერას ერთმანეთისაკენ. ხელები... უცებ აუ
ფორიაქდებათ ხელები, გაცოცდებიან ერთმანეთისაკენ...

შეკრთება ბედისწერა:

ვაითუ მიხვდნენ, რომ ერთმანეთისათვის არიან გაჩენილიო, გაიფიქ-
რებს შიშით.

კმარა, გონს მოდით! — ბრძანებს და ადამიანებიც შეცბუნდებიან.
უცებ გამოერკვევიან და მიმოიხედავენ. რალა დროსიაო, ამოიოხრებენ.
ისე მწარედ ამოიოხრებენ, რომ გულსაც ამოატანენ, როგორც ამ ცოტა
ხნის წინ ციურ ცხოვრებას ძალად მობრუნებული ბედისწერა.

ეს რა ხდება! რამდენიმე წუთით გაცნობილ ადამიანებს განშორება
უჭირთ. მაგრამ ცხოვრება მაინც ცხოვრებაა და მათი გზებიც განსაზღვ-
რულია უკვე.

ერთი აქეთ მიდის, მეორე — იქით.

ღროღადრო შედგებიან და მოუხედავენ ერთმანეთს.

ღმერთო, რა ტკივილიანია ეს შემოხედვა! შორდებიან ერთმანეთს
და... მიიწწრაფვიან ერთმანეთისაკენ. რაც უფრო იზრდება მანძილი, მით
უფრო ძლიერდება ეს სწრაფვა...

მარადიულია სულების ურთიერთსწრაფვა.

და დაქრიან სამყაროში მოხეტიალე სულები. დაქრიან უთავბოლოდ,
დაეძებენ ერთმანეთს. ღამღამობით ისევ ადამიანებს უბრუნდებიან, ტკბილ-
მწარე ზმანებებად ევლინებიან და მოსვენებას უკარგავენ...

ბედის კონვეიერი კი ნელა მიიწევს წინ.

თარგმან პახტანო ახვლედიანმა



გაბია ვაგშანიძე

რა დამავიწყებს!..

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა 1940 წლის მარტ-აპრილის თვეში მოაწყო სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა ერთდროინი შეკრება. ამ შეკრების მონაწილე იყო თითქმის ყველა რაიონის დამწეები მწერალი. ბინად ვიყავით ყოფილ სასტუმრო „პალასში“ და ვიკრიბებოდით ჩვენი მწერალთა კავშირის სასახლეში, სადაც ცნობილი მწერლები, კრიტიკოსები გვიკითხავდნენ ლექციებს ლიტერატურაზე, იმპაზე, თუ რაზე უნდა ვწეროთ და როგორ უნდა ვწეროთ. ყველა ლექტორს პირზე ეკერა „სოციალისტური რეალიზმი“... და მაშინ აქ გავიცანი იოსებ ნონეშვილი, ლადო ასათიანი, ლადო სულაბერიძე, ალექსანდრე საჭაია, გიორგი ძიგვაშვილი, ლადო ბალიაური და სხვები. იოსებ ნონეშვილმა უმაღლეს თავი შეგვაყვარა, როგორც კეთილმა და თავმდაბალმა ჯველმა. ერთხელ წაგვიკითხა რამდენიმე ლექსი, რომელთაგან გამოირჩეოდა „საუბარი ნაძვებთან“. იგი დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერლების ჟურნალ „ჩვენს თაობაში“. ამ ლექსის ორი სტრიქონი მინდა გავისენო:

აი, მე პატარა პოეტი გახლავართ,
მარადეამ სუსტი და ფერგადაღებული...

იოსები მართლაც სუსტი და ფერგადაღებული იყო... და ამ „პატარა ფერგადაღებულმა“ პოეტმა მერე და მერე შექმნა ისეთი შესანიშნავი ქმნილებები, რომ დღეს საქართველოს პოეზია უნონეშვილოდ ვერ წარმოიდგენია, მას სახელისათვის ეყოფოდა მართო ერთი ლექსიც — „რთველი არის თუ შენი ქორწილი!“ და ამ მჩქეფარე, ინტონაციან ლექსს, თანაც სევდიანს. ისე გალობს ცნობილი მომღერალი ქალბატონი ნანა ბრეგვაძე, რომ მასაც ეყოფოდა ეს სიმღერა უკვდავებისათვის.

იოსებ ნონეშვილი ყოველმხრივი გაგებით საქართველოს ტეშმარიტი სახალხო მგოსანია, ლექსი გულს თუ არ მოეკიდება, რაგინდაც მდიდარი იყოს სხვა ჭიმპონენტებით, იგი ტეშმარიტ პოეზიას არ განეკუთვნება. იოსებ ნონეშვილის პოეზია კი გულს ცეცხლივით ეკიდება, ნაღვერდალივით გაცხუნებს და თანაც მდიდარია ხატოვანებით, მარად და მარად ნელდია. ამიტომაც მისი პოეზია ტეშმარიტი პოეზიაა, თანაც იმდენი კარგი ლექსი დააგროვა, რომ გიკვირს, მეტად მდიდარი და ხალასი ფანტაზიის მგოსანი იყო.

ჩამოვდიოდი რა თბილისში, ისე არ დავბრუნდებოდი ბათუმში, ნონეშვილი რომ არ მენახა, ამას გული მთხოვდა, ასე შეგვაყვარა თვეი ბათუმელებს უშუალოდ, გულწრფელობით, თავმდაბლობით. მას დიდი ადამიანური მიმზიდველობა ჰქონდა. ასეთ

1988 წლის შემოდგომაზე იოსებ ნონეშვილის სოფელ კარდენაში წარმოთქმულ სიტყვა, მიძღვნილი პოეტის დაბადების 70 წლისთავისადმი.

ადამიანზე ამბობს ხალხი: თბილი კაციაო, რა ბედნიერებაა, როცა ასეთი პიროვნება შენი მეგობარი იქნება!

იოსები, როცა მწერალთა კავშირის მდივანი იყო, ვის არ გაუხარა გული! მისი კაბინეტიდან მუდამ მღიმარენი გამოდიოდნენ. მათი წყაროსავით წმინდა და უღვწიო იყო მისი სიკეთის წყარო. არასოდეს დამავიწყდება, რომ მან ერთ ჩემს მძიმე სატყე-ვარ-ჭრილობას უეცარი მალამო დაადო. იგი სიკეთის ქმნისათვის იყო გაჩენილი. კვი კაციბაც ამას ჰქვია! ხალასი პოეტური ნიჭითა და ადამიანობით იოსებ ნონეშვილი უნიკალური პიროვნება იყო.

იოსები ზშირად ჩამოდიოდა ბათუმშიც, ჭირსა და ლხინში მხარში გვედგა ბათუმელ კოლეგებს, ძალიან გვიყვარდა და ძალიან ვუყვარდით. რამდენი რამ უნდა გაიხსენო ამ პატარა სიტყვაში!

პატივი დამდო იოსებ ნონეშვილმა და რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 150 წლის იუბილზე აჭარიდან მე მიმიწვია. ამ ფორუმის ხელმძღვანელიც თვითონ იყო პირველი საუბილეო ცერემონიალი ჩატარდა პოეტის მშობლიურ კუთხეში. იოსებმა ჩამჩურჩულა: თუ გამოსვალ სიტყვითო, — კი-მეთქი — ვუპასუხე. როცა მოისმინა ჩემი სიტყვა, გამიხმო და გადამკოცნა. ამ სიტყვას შენ თბილისშიც იტყვი, ფილარმონიის დარბაზში მოგწევს გამოსვლაო. არ აღელდე, გარკვევით და ნელა ილაპარაკეო, დამარტყა, იქაც გამომიყვანა... მერე, როცა ბათუმში ჩამოვიდა, საჯაროობაში თქვა: რაფიელ ერისთავის იუბილზე მამია ვარშანიძემ გვახსენა, კარგი, პატრიოტული სიტყვა თქვა, შიგ აჭარის ისტორიაც ჩააქსოვა ისე, რომ გულზე მომხვდაო. უფრო მეტიც თქვა, მაგრამ აქ მოგვევთ სიტყვას, რადგან მეშინია, არავინ ჩამოთვალოს საკუთარი თავის მერტყმეტებად.

მარადსახსოვრად დამრჩა ერთი მისი საჩუქარი, რომელიც ბათუმში ფოსტით გამოგზავნა. 1979 წლის მიწურულს იოსებ ნონეშვილმა გამოსცა ახალი ლექსების კრებული, რომლის ბოლო გარეკანზე მისი სურათია. ეს იყო უკანასკნელი კრებული მისი სიცოცხლეში, რომელსაც სახელწოდებაც არა აქვს. აჭარაში მხოლოდ მე გამოგიგზავნა ეს წიგნი... და ასეთი წარწერით:

„მამია ვარშანიძეს, —
სიყრმის მეგობარს —
ძმასავით საყვარელ კაცს —
შენი იოსებ ნონეშვილი.
20.01.80 წ.
თბილის-ქალაქი“.

როგორ დამავიწყდება ეს! ვიდრე ცოცხალი ვარ, ეს წიგნი ჩემი თანამგზავრი იქნება. მერე და რა კარგი, რა თბილი, მაღალპოეტური ლექსებია ამ კრებულში! ...1980 წლის 11 ოქტომბერს წუთისოფლიდან გავისტუმრეთ ჩვენი საყვარელი იოსები. მაშინ მე და პოეტი ჯემალ ქათამაძე დაბინავებული ვიყავით სასტუმრო „თბილისში“. იმ დამესვე გადაწყვეტიტ ერთი რამ: შევადგინეთ წერილი, რომელშიც იოსებ ნონეშვილს ვახსიათებდით როგორც ბრწყინვალე, ხალხის უსაყვარლეს პოეტს, უკეთილშობილეს ადამიანს და ვითხოვდით იოსებ ნონეშვილს სიკვდილის შემდეგ მაინც მინიჭებოდა სახალხო მგოსნის წოდება, რომლის ღირსიც ის იყო. ეს წერილი იმ დღეს-მე გავაგზავნეთ. ველოდით პასუხს ბათუმში, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მომხსნა ჩასვლა თბილისში. შემხვდა პოეტი გრიგოლ აბაშიძე, რომელიც მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო. მომესალმა და მითხრა: თქვენი წერილები, რომლებიც ზემდგომ ორგანოებს გაუგზავ-



ნეთ იოსებ ნონეშვილის შესახებ, ჩვენს მწერალთა კავშირს გადმოგზავნა. მან ჩვენს ხილავთ ამ წერილს და იოსებ ნონეშვილს მივანიჭებთ შოთა რუსთაველის სახელობის ლაურეატის წოდებასო და იქვე დასძინა, რომ აღარ ხდება სახალხო მგოსნის წოდების მინიჭება, თორემ იოსებისათვის ამას არ დაფინანსებდითო. მაღლობა გადავუხადე... როგორც ითქვა, ისე მოხდა... მე და ჯემალ ქათამაძეს ეს ფაქტი მარად კეთილმოსაგონ რად დაგვრჩა...

კიდე რამდენი ლამაზი ფაქტი მაქვს გასასტენებელი ჩვენი ურთიერთობიდან ჩვენი ცხოვრებიდან. კიდე რამდენი კარგი რამ მაქვს სათქმელი ჩემი სიყრმის მეგობარ პოეტზე იოსებ ნონეშვილზე, მაგრამ აქ დავსვამ წერტილს და კვლავ ჩემს გულისთქმას ღირიყას მივანდობ...

ჩემი სიყრმის მეგობარო, იოსებ, კაცის სულო, საყვარელო, ღმერთკაცო, შენს საფლავთან დიდუბეში ვილოცებ, აჭარიდან მოვედი-ოჲო, რომ ვამცნო, და მგონია, წამოვდები ღიმილით, ხვეწნა-კოცნით მონატრებას ვიჭერებო, მეტყევი: წამო, კარდენახში მესტუმრე, წამოგყევი, განა არ დაგიჭერებ.

შენს საფანეს გადავხედავ ტრფილით, — კურთხეული იყოს შენი სააკუნე! აქ ძერწავდი შენი სულის ფილებს, მარგალიტნი მოიხევე შენამ მკე, ძალა მოგცა ამ სოფელმა პატარაში? თუ კახეთმა? თუ სამშობლომ ერთიან? ასე თბილმა, გულანმა, გამანმა, რაც სთქვი, მისი მომნიჭები ღმერთია. შენ იტყვი: ღმერთს ვინ არ წერს,

მაგრამ კი უნდა იყო წმინდა, მუდამ რაინდი! რაინდი ხარ, შენზე ითქმის არაკიც, კაცობის და პოეზიის შენ ტაძარი დაიდგი.

აჭარაში შენ არ იყავ სტუმარი. აჭარელიც, შავშელიც ხარ, კლარჯელიც, იქ, თურქეთში, შეხვდი ნენეს ჩვენებურს.

და აღმოგზნდა: რა ბედი გვაქვს მტანჯველი!

მოფერე, გადაკოცნე ბავშვები, ჰკითხე: იცით თქვენ ქართული ანბანი? არაო, თქვენს და ატირდნენ შავშელნი. დაგაბარეს: იქ თქვე ჩვენი ამბავი. იქ თქვე ჩვენი გულისთქმა და

ფიქრები, ვით იქნება — ვიყოთ გაღმა-გამოღმა, აა ჩვენ ჩვენი „დედა ენა“ არ გვქონდეს,

მოვერტანე, როცა კიდე ჩამოხვალ!

მათი სულთ წვა შენს სტრიქონებს გადასდე,

ას მთას გასწვდა შენი სულის გოდება.. ასი ხმალი კისერზე რომ დავადგეს, ეის არ შესძრავს, ვის არ მოაგონდება. რუსთაველი ხელიდან რომ მოგვგლიჯეს, და ყურანი სულს ბუკარებად გაუბეს, ეს გვტანჯავდა, მეგობარო, ორივეს, ადექ, ძმაო, აი, იმ გზას გაუღდე! ეს გზა არის, რომ გადახვალ შავშეთში, ტარში და კლარჯეთშიც რომ გადახვალ, პაპათ გზაა, ტყუილად არ დაგშვრებით, რა სჯობია ტბეთის ტაძრის დანახვას! ღეონიძე ჩვენ მხარისმხარს გაცეცხება. სულ ამბობდა: შავშელი ვარ, შავშელი! მოდი, ვნახოთ მონატრული და-ძმები, ღმერთსაც ეკითხოთ: როს იქნება საშველი?!

აღარც შენ ხარ, აღარც ღეონიძეა. და მგონია, თითქმის დაგრჩი მარტო მე, კოლეგაც ხარ და აჭარის სიმცე ხარ. შენს საფლავთან ცხელი გული დავტოვებ მოვალ, წაღალ, მენატრები ისევაც, რა ძნელია უშენობა, იოსებ! შენი სიყრმის მეგობარი მუხლმოყრით ათასჯერაც შენს საფლავთან ვილოცებ. შენს წიგნს გულში ჩავიხუტებ და ვიტყვი:

ძმის სანაცვლოვ, ძვირო და წაუშლილო! საქართველოს გულისგულში უზისხარ. საქართველო არ იქნება უშენოდ!

1988 წ. 25 სექტემბერი — სოფ. კარდენახი.

ბათუმური პორტრეტები

წიგნიდან „რედაქტორის ჩანაწერები“

ერთ დღეს გამომცემლობაში მოვიდა პროფესორი ალექსანდრე ჩაგ-
ლეშვილი და საგამომცემლო გეგმაში მისი ხელნაწერის „ქართული ან-
დაზების“ შეტანა ითხოვა. ბუნებრივია, მისი სურვილი დააკმაყოფილეს,
წიგნის რედაქტორობა მე დამეკისრა.

ბატონი ალექსანდრე სტუდენტების საყვარელი პედაგოგი იყო. ცხა-
დია, ეს დაფასება თავისით არ მოსულა. იგი გახლდათ შესანიშნავი პი-
როვნება, გულთბილი, ახალგაზრდობის დამფასებელი, ამასთან მკაცრად
მომთხოვნი. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფე-
სიონალიზმით, ერუდიციით, საუბარიც რაღაცნაირი იცოდა, ერთბაშად
რომ დაგატყვევებდა, ამიტომაც იშვიათად ვინმეს მისი დატუქსული სტუ-
დენტი ენახა, სწავლითაც ყველა სწავლობდა.

ერთხელ მოხდა ისე, რომ მის ლექციაზე 10 სტუდენტმა დააგვიანა.
დაგვიანება არ უყვარდა. ყველას სათითაოდ გამოჰკითხა მიზეზი. ზოგმა
შორს ცხოვრება მოიმიზეზა, ზოგმა ავტობუსების არარითმულ მუშაობაზე
თქვა, ზოგს დედა ჰყავდა ავად, ზოგსაც ბებია. ერთი სიტყვით, ვინ რა
თქვა და ვინ რა, ბოლოს ჯერი ჩემზე მიდგა, ყველამ რაღაცით იმართლა
თავი. ასე რომ, მე აღარაფერი მრჩებოდა სათქმელი, არადა, ტყუილს თუ
თქვი, სინამდვილეს ხომ უნდა ჰგავდეს ცოტათი! ბევრი აღარ მიყოყმანია,
სერიოზულად ვუთხარი, ეს დაგვიანებული ხალხი ჩემზე ბედნიერი იმით
არიან, რომ იმათ ქუჩაზე ავტობუსები და ტაქსები მაინც მოძრაობენ, მე
კი ისეთ უბანში ვცხოვრობ, არც ერთი სახის ტრანსპორტი არ გადვლის-
მეთქი. შეწუხდა კაცი. ესლა მითხრა, თუ ასე შორს ცხოვრობ, ცოტა ადრე
უნდა გაიღვიძო, ყველა თავის ადგილზე დავსხა და საუბარი განაგრ-
ძო. მოულოდნელად ლექცია შეწყვიტა, ფეხზე ამაყენა და მკითხა: კი მაგ-
რამ, კაცო, ასეთ დაკარგულში სად ცხოვრობო. სხვა რა გზა მქონდა და
სიმართლე ვუთხარი: თქვენს მეზობლად, სტუდენტებში, ენგელსის ორში-
მეთქი. სტუდენტები ზედ ინსტიტუტზე იყო მიდგმული. ატყდა აუდიტო-
რიაში ხარხარი, თავდაც ვერ შეიკავა თავი. როცა აუდიტორია ცოტათი



ჩაწყენარდა, კალამი აიღო, ჟურნალი გაშალა. ჩემი გვარის გასწვრივ ჩაწერა ჩაწერა, ალბათ, ორიანი-მეთქი, გავიფიქრე, ფირცხალაიშვილს „სუთი“ საუკეთესო ტყუილისათვის, — გამოაცხადა აუდიტორიაში და ვითომც არაფერი მომხდარაო, ლექცია განაგრძო. მეორე შემთხვევაც უნდა გავიხსენო. ერთ დღეს ბატონი ალექსანდრე ლექციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შემოვიდა ჩვენთან, ყველანი აუდიტორიაში ვიყავით. მან ერთი ჩვენი თანაკურსელი თავისთან მიიხმო და უთხრა — ამა და ამ აუდიტორიაში მიდი, იქ ჩაღხია ჩავლენიშვილი იკითხე და აქ მომგვარეო. წავიდა ეს სტუდენტი და დიდხანს არ გამოჩენილა. ბოლოს, როგორც იქნა, შუა ლექციაზე შემოაღწია და ბატონ ალექსანდრეს მოახსენა: პარტიკულულო, ჩავლენიშვილი კი ვნახე, მეორე — ჩაღხია იქ არ იყოო. ამაზე ბატონმა ალექსანდრემ ბევრი იცინა, მერე სტუდენტს მიუბრუნდა, კაცო, ვაჟაფშაველა არ წაგიკითხავს და ჩაღხია არ გაგიგონიაო? ჩაღხია გვარი კი არა, ჩემი ვაჟის სახელიაო.

ბატონი ალექსანდრე ახალგაზრდა მწერალთა წრესაც ხელმძღვანელობდა. ამ წრეში მიიღეს პირველი ნათლობა ზურაბ გორგილაძემ და ნოდარ ჯალაღონიამ, შოთა ზოიძემ, ცისანა ანთაძემ, დავით თედორაძემ და სხვებმა.

როცა მისი შედგენილი „ქართული ანდაზები“ გამოვეცით, სასიგნალო ეგზემპლარი სახლში გავუგზავნეთ. სამადლობელი ბარათი მომწერა. მისი „ლიტერატურული წერილები“ მოგვიანებით გამოქვეყნდა, სამწუხაროდ, ავტორი ვერ მოესწრო მის გამოცემას.

ბატონი ალექსანდრე ძალიან აფასებდა წიგნიერ ხალხს, ორი შარვალი თუ გაქვს, ერთი გაყიდე და წიგნი იყიდეო, გვეტყოდა ხშირად.

სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა, ბოლოს სიარულიც გაუჭირდა. ერთხელ მე და პოეტი დავით თედორაძე მის მოსახსენებლად მივედით. ძალიან გაუხარდა, ხილითა და კონიაკით გაგვიმასპინძლდა, გაგვახსენა სტუდენტობა, პირველი ნაბიჯები პოეზიაში. მერე კარადიდან ჩვენივე წიგნები გადმოგვალეზინა ხაზგასმული ადგილებით — ზოგი მოწონებას ნიშნავდა, ზოგი დაწუნებას. ხომ ხედავთ, ჩუმად ისევ გადგენებთ თვალს, თქვენ კი კინალამ დამივიწყეთო.

ამ შეხვედრის შემდეგ მალე გარდაიცვალა. მისი სიცოცხლე მართლაცდა რომ დააკლდა ბათუმს. ნეტარსახსენებელი იყოს სახელი მისი.

* * *

კაცის გაცნობას, უფრო სწორად შეცნობას, ფუთი მარილი სჭირდებაო, ნათქვამია. პროფესორი შოთა ნიჟარაძეც ერთი რიგითი ლექტორი გვეგონა, შემოვიდოდა ლექციებზე, მოათავებდა თავის საქმეს, აიღებდა



ხელჩანთას და, როგორც იტყვიან, თავის ბედს ეწეოდა. ეგ ერთი შეხედვით. კურსიდან კურსზე ვინაცვლებდით და შესაბამისად იზრდებოდა ბატონი შოთას ავტორიტეტიც. თავდაპირველად არ დაეკვირვებოდათ, მოგვიანებით შევამჩნიეთ, რომ ბატონი შოთა ლექციის წაკითხვის დროს, ეგრეთ წოდებულ „შპარგალკას“ არ იყენებდა. შემოვიდოდა, ჩანთას მაგიდაზე დადებდა, ცარცს აიღებდა ხელში და იწყებდა ლექციის კითხვას, მაგალითებს თვით სტუდენტებს ასახელებინებდა, მის გარჩევაში, ლექტორთან ერთად, მთელი კურსი მონაწილეობდა. ისე გასაგებად, სადად ხსნიდა ყველაფერს, რომ შემდეგ წიგნში ჩახედვა ფაქტობრივად აღარ გვჭირდებოდა.

და მაინც ისე დავამთავრეთ ინსტიტუტი, ბოლომდე ვერ შევიცანით ეს საინტერესო პიროვნება. იმ ერთმა ამბავმა, რომლის შესახებაც ახლა მინდა მოგითხროთ, შესანიშნავად წარმოაჩინა ბატონი შოთას სულიერი პორტრეტი. პორტრეტი ჭეშმარიტი მამულიშვილისა. საქმე ეხება ბათუმის 1978 წლის 26 მაისის გრანდიოზულ აქციას, რომლის სულის ჩამდგმელი და წარმმართველი ბატონი შოთა ნიჟარაძე გახლდათ. პოეტმა ვახტანგ ღლონტმა, ამ აქციის ერთერთმა ორგანიზატორმა, ამ მოსალოდნელი მიტინგის შესახებ ერთი კვირით ადრე გამაფრთხილა, რომელსაც საიდუმლოდ ვინახავდი, მაგრამ ამ ამბავმა ეტყობა, სადღაც მაინც გაჟონა. 1978 წლის 26 მაისს — როცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინაეობდა, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა განეხილა და დაემტკიცებინა — მთავრობის სახლის წინ მხოლოდ 13 კაცი გამოცხადდა ვახტანგ ღლონტის თავკაცობით. მე მეთოთხმეტე ვიყავი. საბჭოთა იმპერიული აპარატი — პოლიტიბიურო შეეცადა ამ კონსტიტუციით რესპუბლიკისათვის სახელმწიფო ენად თავს მოეხვია რუსული. ბევრმა რესპუბლიკამ ეს ამბავი უაპელაციოდ მიიღო, მაგრამ ამ ნაბიჯს საქართველოში აპრილ-მაისის ჯერ გაუგონარი აზვირთება მოჰყვა ქართველი ხალხისა. თბილისში ასეთი აქცია 14 აპრილს წარმატებით დაგვირგვინდა — საქართველოს სახელმწიფო ენად, ბუნებრივია, ჩაიწერა ქართული. ახლა ჯერი ბათუმზე მიდგა. ჩვენმა ქალაქმაც არ შეირცხვინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი საგულდაგულოდ ჩარაზეს შესაბამისმა სახელმწიფო სამსახურებმა, შოთა ნიჟარაძის წაქეზებით, სტუდენტებმა მაინც მოახერხეს შენობიდან თავის დაღწევა და მომიტინგეებს შეუერთდნენ, ვინ ფანჯრიდან ხტებოდა, ვინ მეორე სართულიდან ეშვებოდა სახელდახელოდ გადაბმული ქამრებით. ბუნებრივია, მთავრობამ თოთხმეტკაციანი აქცია არად ჩააგდო, მაგრამ აშკარად შეცდა. სულ რაღაც ერთ საათში იგი ერთი-ორად გაიზარდა, ხოლო საღამო ჟამს 15 ათასს გადაჭარბა. სესიაზე სტუდენტებმა სხვებთან ერთად ბატონი შოთაც გაგზავნა წარმომადგენლად.



ეს აქცია, როგორც აღრე ვწერდი, წარმატებით დამთავრდა.

27 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს ბათუმის აქციის წარმატებით დაგვირგვინება ვიწრო წრეში აღინიშნა კაფე „სიკბუჯეში“, რომელსაც ჩვენი ქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ესწრებოდნენ — სულ 25 კაცი. სუფრას თამაღობდა შესანიშნავი პიროვნება და მამულიშვილი, ბატონი შოთას ძმა ნადიმ ნიჟარაძე. აქვე იყვნენ მწერლები: ალექსანდრე სამსონია, ლადო სეიდიშვილი, ვახტანგ ღლონტი, ალექსანდრე ჩხაიძე, აგრეთვე შოთა ნიჟარაძე, იური ბიბილეიშვილი, ნუგზარ ჯაფარიძე, მამია ვარშანიძე და სხვები. შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა შოთა ნიჟარაძემ. დაუვიწყარი დღე იყო.

არ გასულა დიდი ხანი და ქუჩაში მიმავალ შოთა ნიჟარაძეს მანქანა დაეჯახა, რამაც ძალიან შეარყია მისი ჯანმრთელობა.

მახსოვს, ჩემი სტუდენტობის დროს გამოვიდა შოთა ნიჟარაძის მიერ შედგენილი „აზარული დიალექტი“, შესანიშნავი წიგნი, რომელსაც ასევე შესანიშნავი ლექსი უძღვნა პოეტმა ზურაბ გორგილაძემ. მეცნიერი ამ წიგნზე მუშაობას შემდეგაც განაგრძობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ხელმოწერა გამოცემა, მოელაპარაკა გამომცემლობის ხელმძღვანელობას. წიგნის რედაქტორად მე დამნიშნა. სამწუხაროდ, მის სურვილს აღსრულება არ ეწერა, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ვფიქრობ, მეცნიერ-მკვლევარებს, მის მეგობრებს ვალად ადევთ ამ წიგნის მკითხველთათვის ხელახლა მიწოდება.

* * *

ერთ დღეს ლექციაზე ხელჯოხით შემოვიდა საკმაოდ უცნაური კაცი და ნელა მიუახლოვდა მაგიდას, ეტყობოდა, ფეხები პროთეზისა ჰქონდა. როცა კარგად დავაკვირდით, გავვოცდით, ხელის მტევნებიც თითქმის აღარ შერჩენოდა. სტუდენტებს მოგვესალმა, ჩვენ ფეხზე წამოვდექით. გელოდით, „დასხედითო“, გვეტყოდა, მაგრამ შემოსული არ ჩქარობდა. თავდაც ფეხზე იდგა. მოულოდნელად ლექსის კითხვა დაიწყო, ნიჟამი განჯელისა. დაასრულა თუ არა, დაჯდომის უფლება მოგვცა. ასე გავიცანით იმ დღეს შესანიშნავი პიროვნება, მასწავლებელი და აღმზრდელი ბატონი ვაჟა აფხაზავა. ამ ტრადიციისათვის შემდეგაც არ უღალატნია. ყოველ ლექციაზე თითო ლექსს კითხულობდა ხოლმე მსოფლიო და ქართული კლასიკიდან.

ეს ხეივანი კაცი დიდი გულის პიროვნება აღმოჩნდა, ნაღდი ქართველი, ჭეშმარიტი ვაჟკაცი, უშურველი ადამიანი. არ შეგულება კაცი, რომელსაც ბატონი ვაჟა აფხაზავას ლექციები მოესმინოს და მასზე ვინმეს



ოღესმე ცული ეთქვას. ბატონი ვაჟა მსხვერპლია მეორე მსოფლიო ომისა. ფინეთის ომში მტრის ტყვიით დაჭრილი ვიდაცა დალოცვილმა თოვლის ნამქერში იზოვა, ფეხები და ხელის მტევნები მოყინვოდა, ოპერაციის შემდეგ ნახევარკაცი დარჩა, მაგრამ ნებისყოფამ, სიცოცხლის სიყვარულმა თავისი ვაჟეთა და ბატონი ვაჟა კვლავ ცხოვრებას დაუბრუნა. ქალიშვილი, რომელიც ომში წასვლამდე უყვარდა, კვლავ მას ელოდებოდა. ბედნიერი ოჯახიც შექმნეს. მეცნიერებისთვისაც არ უღალატნია და ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორიც გახდა, სტუდენტების უსაყვარლესი მოძღვარი.

აი, სწორედ ასეთი პიროვნება იდგა ახლა ჩვენს წინაშე და ჩვენს შეცბუნებულ სახეებს შესცქეროდა. ყველას გულში სიბრაღულის გრძნობას დაებუდებინა. ლექციაზე მართლაც რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ლექციის ბოლოს ბატონმა ვაჟამ ცოტა რამ საკუთარი ცხოვრებიდან მოგვითხრო და საუბარი ასე დასრულდა: — მე ნუ შეგებრალებით, ახალგაზრდებო. მე შეძლებისდაგვარად ვაკეთებ ჩემს საქმეს, თქვენისთანა შესანიშნავ ადამიანებს ვუზრდი საქართველოს. შესაბრაალისი ის არიხ, ვინც ცოცხლებში მკვდრად მოიხსენიება.

ლიტერატურის დიდი მოყვარული ვახლდით, მაგრამ პოეზია ფანატიკურად უყვარდა. მაშინ ზოგიერთი ჩვენთაგანი პირველ ნაბიჯებს დგამდა პოეზიაში. ბატონი ვაჟაც გვაქეზებდა, გვახალისებდა, თუმცა ობიექტურობის გრძნობა არასდროს დაღატობდა და შენიშვნების მოცემაც დროულად იცოდა.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ეს ამაგდარი კაცი. სამწუხაროდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მისი თანამედროვეები ისე ვერ მივეთბეთ, მოვეფერეთ მას, როგორც ეს მის მხურვალე, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ გულს შეეფერებოდა. ის კი არადა, ბუნებაშიც ახალი რისხვა დაატეხა თავს — მოულოდნელად გარდაეცვალა ვაჟი — ზურაბ აფხაზავა, ხელოვნების დიდი მოტრფიალე, გულმართალი პიროვნება. თუმცა ეს ამბავი ბატონი ვაჟას გარდაცვალების შემდეგ მოხდა და ამ სევდიანი ამბის შესახებ არაფერი იცის ამ წამებულმა კაცმა.

* * *

ახლა ველარ ვიხსენებ, როდის შევხვდი პირველად პოეტ მამია ვარშანიძეს. დაახლოებით მას შემდეგ, რაც გამომცემლობაში დავიწყე მუშაობა. მისი რამდენიმე წიგნის რედაქტორიც ვყოფილვარ.

მამია ვარშანიძე ძალიან ხასიათბილი, მიმდნობი პიროვნება გახლდათ. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა დღეს თუ შენს მეგობრად თვლიდა თავს, ხვალ ვინმეს გადაბრუნებულ სიტყვას შეიძლება მტრად ექცია.

უკანდახევაც სულგრძელად იცოდა. ბოლო წლებში მისი განუყრელი მეგობრები ჯემალ ქათამაძე და რამაზ სურმანიძე იყვნენ. მწერალთა კავშირის წევრი 1935 წელს გამხდარა. პირველი წიგნი „მებრძოლის სიმღერები“ 1946 წელს გამოცა, მანამდე ხუთი წელი ფრონტზე იმყოფებოდა, მუშაობდა გამომცემლობის დირექტორადაც, წლების განმავლობაში იყო ყურნალ „ჭოროხის“ პასუხისმგებელი მდივანი.

როცა მის ხელნაწერს ვამზადებდი, თითქმის ყოველდღე მოდიოდა გამომცემლობაში, თავის აზრს მიზიარებდა ამათუ იმ ლექსზე, წავიდოდა და ერთი საათის შემდეგ რომელიმე თანამშრომლის ხელით წერილს ატრუნდა, ამის და ამის თქმა დამავიწყდა შენთვის და აგერ ყველაფერი მაგ წერილში წერიაო. ვიდრე წიგნი გამოვიდოდა, იმდენი წერილი დამიგროვდებოდა ხოლმე, ერთ მოზრდილ საქალაქდეს შეავსებდა, რომელსაც სახეიმო ვითარებაში ვუბრუნებდი წიგნის გამოცემის შემდეგ. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. საზოგადოდ უნდა ითქვას, პოეტი ძალიან ბევრს წერდა. ბუნებრივია, ყველა მათგანი ვერ იდგა ერთნაირ დონეზე. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მან ბევრი მართლაც კეთილშობილი ლექსი დაუტოვა ქართულ მკითხველს. მამია ვარშანიძე ხშირად მინახავს მიტინგებზე, ახალგაზრდების გვერდით. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ბათუმის 1978 წლის 26 მაისის ამბებისა. მასხენდება 1988 წლის ნოემბრის თვის დასაწყისში ილია ჭავჭავაძის ბიუსტთან ჩატარებული არასანქცონირებული მიტინგი. როცა მომიტინგეთა დარბევა დაიწყო, პოეტს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია: ერთი გაბედონ და ხელი მომიკიდოს ვინმემო, ხმამაღლა გაიძახოდა. საბედნიეროდ, მას არავინ შეხებია, თორემ ისე იყო მომართული, საქმეს კარგი ბოლო არ უჩანდა.

დაახლოებით მის ათამდე წიგნს ვურედაქტორე. სამწუხაროდ, ხშირად მომხდარა ისეც, რომ პოეტი განაწყენებული დარჩენილა გამომცემლობაზე. 1978 წელს მ. ვარშანიძემ მოიტანა ხელნაწერი „იყო და მარად იქნება“. ეს გახლდათ კრებული აჭარის წარსულზე, დღევანდლობაზე მის მომავალზე. კრებულში თავმოყრილი იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების სიტყვები, ნარკვევები და ლექსები აჭარაზე. ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო და საჭირო წიგნი გახლდათ. ამავე წიგნში შედიოდა იპოლიტე ვართაგავას წერილი მამია ვარშანიძის შემოქმედებაზე, სადა აღვაწომოსილი კრიტიკოსი საკმაოდ ობიექტურად აფასებდა პოეტის კალამის ნაღვალს. სამწუხაროდ, გამომცემლობამ, ცენზურის დახმარებით, ეს წერილი შეამცირა და ასე, ამ სახით მიაწოდა მკითხველს. იგივე განმეორდა პოეტის პროზაულ წიგნზე „ოხვრა სულისა“, რომელიც თურქულში მცხოვრებ ჩვენებულებზე მოგვითხრობდა. მაშინ ასეთი თემები ტაბუად აღებული იყო და მწერლის ეს წიგნიც ცენზურის წყალობით, კარგ ხანს იყო შერისხული.

საერთოდ უნდა ვთქვათ, ბუნებით მ. ვარშანიძე ჭეშმარიტი პოეტი გახლდათ — ხანაც მეოცნებე და აღზევებული, ხანაც ნალვლიანი და შიშველი, ხანაც განრისხებული და ხმალამოწვდილი. ამის მიუხედავად, პატიოსნებისათვის არასდროს უღალატნია. ამ თვისებების გამო ძალიან გვიყვარდა ახალგაზრდა მწერლებს.

ბათუმში ბევრს არ ჰქონია ისეთი შესანიშნავი და მდიდარი ბიბლიოთეკა, როგორიც ბატონ მამიას. რა წიგნს არ ნახავთ აქ. მათ შორის ბევრი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული, წიგნის თხოვებაც დაუმაღლებლად იცოდა...

9 აპრილის ტრაგედიამ ყველა ქართველი ააღელვა, შურისძიების ცეცხლით აანთო, ერთ მუშტად შეკრა ერი. იმ დღეებში რამდენჯერმე შეეხვდი პოეტს — აფორიაქებული და დაბნეული გამოიყურებოდა, ვინც რუსთაველზე დაიღუპა, თედორე მღვდელზე ნაკლები რაინდები როდი ყოფილანო. შემდეგ დაკრა ფეხი და თბილისში ამოყო თავი. ეროვნული მოძრაობის ხსნის კომიტეტში დაღუპულთა სურათები გამოითხოვა, ბათუმში ჩამოიტანა და გაამრავლებინა. 1939 წლის 26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს — ბათუმში დემონსტრანტებს სწორედ მამია ვარშანიძის მიერ ჩამოტანილი სურათები მიუძღოდათ წინ...

ივანე ბორაძე

სადაურსა სად წაიყვან...

ჩემს სახელოსნოში კარებსა და ფანჯრებს ვამზადებდი. ეს იყო 1943 წლის თებერვალი. სოფლის მუხტარმა გამომიარა და სამხედრო კომისარიატიდან გამოგზავნილი შეტყობინების ქაღალდი გადმომცა. მეორე დღისათვის კომისარიატში მიბარებდნენ. რალაცნაირმა უსიამოვნებამ შემოპყრო.

— ნუთუ ომს იწყებენ ეს ოხრები? — გავიფიქრე მე. რა უნდა მექნა? ოჯახშიაც უსიამოვნება ჩამოვარდა. მივადექი კომისარიატს. იქ სხვებიც იყვნენ, მათ შორის ერთი ჩვენი სოფლელიც ერია. რიგრიგობით შევდიო-

დით სამხედრო კომისართან და სიაში გვწერდნენ. — ხვალისათვის მზად იყავით, ჯარში უნდა წახვიდეთო. ეს ჩვენთვის არ იყო ახალი ამბავი. ჩვენ დესაც სამხედრო კომისარიატი შეტყობინებას გვიგზავნიდა, მაშინვე მივწვდით, რომ ჯარში გავგიწვევდნენ. ხელში რაღაც საბუთები მოგვცეს და მეორე დღისათვის დილით კომისარიატში გამოცხადება გვიბრძანეს, სამე-შობლოს დაცვა ყველას ევალებათ.

— რომელი „სამშობლო“? — გულში გავიფიქრე. — რა თქმა უნდა, სადაც ცხოვრობ, ის სამშობლო უნდა დავიცვათ. ხელში მოცემულ საბუ-თებში ეწერა, სადაც გვაგზავნიდნენ. მარმარილოს ზღვისპირა ქალაქ ჩა-ნახალეში, ჩემს სოფელთან ერთად, მაგრამ ამ მოულოდნელმა ამბავ-მა ჩემზე იმდენი ზეგავლენა არ მოახდინა, რამდენიც ჩემს სოფელზე. ცოტა ვერ იყო შეძლებულად, თანაც ერთი წლის დაქორწინებული იყო და ერთი თვის ბავშვი და ცოლი უპატრონოდ უნდა დარჩენილიყო. დავბ-რუნდით სოფელში. საგზალი გავვიმზადეს და დილით ადრე მივადექით სამხედრო კომისარიატს. იქ 30-40-მდე სხვებიც იყვნენ. სია ამოიკითხეს, მერე ორ მწყრივად დაგვაწყვეს და გზას გავვიყენეს. თებერვლის დღეა, თოვლი ჯერ კიდევ ბლომად არის, მანქანები არ მუშაობდა. ფეხით მოვ-დიოდით და ღამეებს სოფლებში ვათევდით, ორ-ორ, სამ-სამს დაგვანაწი-ლებდნენ მოსახლეზე. მუშის ვილაეთის საზღვარი გადავლახეთ და გადა-ვედით ბითლისის ვილაეთის მიწებზე. ეს ერთი მომადლო მთა იყო. იმ მთაზე ძველისძველი სასტუმრო იყო. ერთი ღამე იქ გავათიეთ და დილით დაღმართზე დავეშვიტ ქალაქ ბითლისისაკენ. იმ დღეს ბითლისში ჩავე-დით. თოვლი იქ არ იყო. ამინდი დათბა, ნელნელა მივიდიოდით, როგორც იქნა, ქალაქ დიარბაქირში შევედით. იქ ორი დიდი სომხური ეკლესია იყო, სადაც მოგვათავსეს. ეკლესიებს სამხედრო საქმიანობაში იყენებდნენ. ერთი კვირა დავრჩით დიარბაქირში. ერთ დღეს საერთო აბანოში წაგვი-ყვანეს, თანაც საცვლები და ტანსაცმელები დაგვირიდეს. უკვე სამხედრო პირებს დავემსგავსეთ, საღამოს მატარებლის ვაგონებში მოგვათავსეს და სტამბულის გზას დავადექით. სტამბულის სადგურში ჩამოგვსვეს. იმის იქით გემით სირქეჯის ნავსადგურამდე ვიმგზავრეთ. გადმოვედით გე-მიდან. იქ სამხედრო ბინებში დაგვანაწილეს.

სტამბულში ორი-სამი დღე გავჩერდით, მერე გემით მარმარილოს ზღვით გელიბოლუს ნავსადგურს ღამით მივადექით. მეორე დღეს ქ. ჩა-ნახალეში გადმოგვსვეს. მე იქვე, ქალაქში, დამტოვეს. სხვები ქალაქგარე მდებარე ნაწილებში გაუშვეს. ქალაქში დარჩენა გამიხარდა. იქ უფრო კა-რგი პირობები იყო, შემეძლო რადიოს მოსმენა, გაზეთის წაკითხვა. მაინ-ტერესებდა რუსეთისა და გერმანიის გაცხარებული ომის მდგომარეობა.

ჩვენი ნაწილის უმეტესობა სტამბულელი ბიჭები იყვნენ. მათთან მალე გამოვნახე საერთო ენა. დამეგობრდით კიდევ. სოფელს თურქებთან



არ გვექონდა მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა. ქალაქელები კულტურით, ცოდნით ჯობდნენ მათ და საერთო ენის გამონახვა შეუძლებლობდა. დაიწყო სამხედრო სწავლება. ერთი კვირის შემდეგ იარაღი დაგვიბრუნეს და სავარჯიშოდ მინდორში გავდიოდით. თოფის სროლასა და სხვა სამხედრო სწავლებას შევეუდებეთ.

ვარჯიშიდან შესვენების დროს თანამოაზრეები გაზეთებს ამოვიღებდით და ჩვენს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. ერთხელ გაზეთის კითხვის დროს უფროსი ლეიტენანტი დაგვადგა თავზე. სამივე ფეხზე წამოვდექით და სამხედრო წესით მივესალმეთ. საერთოდ, დასვენების დროს მისალმება საჭირო არ იყო, მაგრამ ეს ლეიტენანტი ახალი იყო და არ ვიცნობდით, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ადრე ვიცნობდი, ჩემი ახლობელი და ნათესავი ყოფილიყო.

— დასხედით, დასხედით, ახლა დასვენება გაქვთ. — გვითხრა და ხამივე შეგვათვალევრა. ხელში გაზეთი რომ დაგვინახა, გვეითხა:

— საიდან ხართ?

— სტამბულიდან ვართ, უფროსო ლეიტენანტო! — უთხრა მორბა.

— ბათუმიდან ვარ, უფროსო ლეიტენანტო! — ვუთხარი მე.

— გურჯი ხარ, არა? — მკითხა მან.

— დიას, გურჯი ვარ, იმ ჩვენს ხეობაში სხვა ეროვნების არავინ ცხოვრობს-მეთქი. — ვუთხარი.

— დედაჩემიც გურჯია, ძველი მუჰაჯირებიდან. ქობულეთელი.

ახალგაზრდა ლეიტენანტი ძალიან კარგი ხასიათის ადამიანი აღმოჩნდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან, ჩვენც დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით. ერთ დღეს ვთხოვეთ სტამბულელ ამხანაგებთან ერთად გელიბოლუს ნახევარკუნძულის დათვალიერება გვანტერესებსო, სადაც მრავალი ომი მომხდარა, სისხლი დაღვრილა. ჩვენს ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ იქ ინგლისის გემი „იარიმ ღუნია“ დაიღუპა მემედის მიერ გასროლილი ზარბაზნით. გამოგვიცხადეს, ვისაც კუნძულის დათვალიერება უნდა, სია მოგვითანეთო.

ერთ დღეს ლეიტენანტმა მითხრა: — დედაჩემს ვუთხარი, ჩემთან ერთი გურჯი ასკერი არის, მოვიყვან და ცოტას წაისაუბრებთ. თქვენს ენაზე-მეთქი... — ხომ არ დაგავიწყდა ქართული?

— არა, როგორ დამავიწყდება!

ერთ კვირა დღეს მივედი. შუახნის თმაჭალარა სიმპათიური გარეგნობის ქალბატონს შევხვდი.

— მე გურჯი ასკერი ვარ, თქვენი გაცნობა მინდა. ჩვენ ხომ ერთი მემლექეთის ადამიანები ვართ. — ვუთხარი.

— აა, ეს შენა ხარ? შვილმა მიაგმო შენზე. გავიგე, ბათუმელი ყოფი-
ლხარ. მე ყველა გურჯი ნათესავად მიმაჩნია. თქვენ რა გვარი ხართ, შვი-
ლო? — მკითხა მან.

— წინათ გორაძე ვიყავი, ახლა იაუზუხი ვარ. — ვუთხარი.

— გამიგონია ასეთი გვარი!.. ახლა სად ცხოვრობთ?

— ახლა მუშის ვილაეთში ვცხოვრობ.

— კარგია, კარგი! — ჩაილაპარაკა მან და მაგიდასთან მიმიწვია.

— აგერ მობრძანდით, ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში.
მეც გავებდე და ვკითხე:

— თქვენ რა გვარი ხართ, დეიდა?

— ჩვენი გვარი სალუქვაძე იყო, ქობულეთში ვცხოვრობდით. ლეი-
ტენანტის გარდა, ექიმი შვილი მყავს. ის ართვინში ცხოვრობს, მემედი
ჰქვია. ჩემი შვილი ცუდად ხომ არ ეპყრობა ასკერებს?

— არა, დეიდა, ყველას ძალიან უყვარს და დიდი სიყვარულით ეპყ-
რობიან.

— კარგია, თუ ასეა! — თქვა მან. ამასობაში კარი გაიღო და ლეიტე-
ნანტი შემოვიდა. მე ფეხზე ავდექი. მანიშნა, დაჯექიო.

— დედი, ხომ მოვიდა შენი გურჯი?

— მოვიდა, შვილო, მართლაც კარგი ასკერი გყოლია. რამდენი ვი-
საუბრეთ. დიდად გამახარა.

— ერთი სათხოვარი გვქონდა თქვენთან. — ვუთხარი ლეიტენანტს.

— გელიბოლუს ნახევარკუნძულის დათვალიერება გვინდა.

— ამ კვირაში წავალთ, მეც ძალიან მაინტერესებს. — მითხრა ლეი-
ტენანტმა.

დავემშვიდობე და მადლობა ვუთხარი ქალბატონს. ამის მერე კიდევ
ვინახულე. კარგი ადამიანი იყო, დელასავით გვეპყრობოდა. მას შემდეგ
კარგა ხანი გავიდა, მისი კეთილშობილური ქცევა კი დღესაც მახსოვს.

(გაგრძელება იქნება)



სიმონ გოშიტიძე

პირველი ქართული ქრისტიანი მეფის მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძრონოლოგია

ქართლის ანუ იბერიის სამეფოს ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო და ნაკლებად შესწავლილი ხანაა ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნე. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ფარნავაზიანთა დინასტიის გამოჩენილი მოღვაწისა და პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის ზეობა. მის დროს მოხდა ქრისტიანული სარწმუნოების ფართო მასშტაბში გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად აღიარება (326 წ.); ამ ეპოქას ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული ქართული მწიგნობრობის უძველესი ძეგლები, როგორცაა „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია² და „წიგნი მირიანისა“.³

მირიანი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“⁴-ს მეფეთა რიგით ოცდამეშვიდეა⁵, ხოლო „მეფეთა ამაჲთა“⁶ მიხედვით — ოცდამოთხე⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ მირიანი გარდაცვალების წინ წარმოთქმულ ანდერძში თავისთავს თვლის ოცდამეთექვსმეტე მეფედ⁸. ძველი ქართული წყაროების გარდა, მირიანის მეფობაზე მოგვითხრობენ აგრეთვე IV საუკუნის რომელიმე მწერალი ამიანე მარცელინი⁹ და V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი, რომელიც, თავის მხრივ, იმეოშებს IV საუკუნის სომეხსავე მოღვაწეს თრდატ მეფის (298-330. წწ.) დახელოვნებულ მწიგნობარს აგათანგელოსს¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ მირიანი ფარნავაზიანთა დინასტიის მეფეთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა და ამასთანავე მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება უამრავი მასალა როგორც ქართულ, ისე უცხოურ მწერლობაში, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი ცხოვრების წლები მიახლოებითაც კი არაა დადგენილი. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მირიანისადმი მიძღვნილ სტატიაში მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არც ერთი თარიღი არაა მითითებული.¹¹ ანალოგიური მდგომარეობა საქართველოს ეკლესიის კალენდარშიც, რომელშიც მირიანის მოხსენიებულია (გარდაცვალება) IV საუკუნით განისაზღვრება¹².

ისტორიოგრაფიაში მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების განსაზღვრის მიზნით კამათი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. ვახუშტი ბატონიშვილმა პირველმა სცადა მირიანის დაბადების, გამეფებისა და გარდაცვალების თარიღის დადგენა. მან მირიანისა და ქართველი საღვთისმეტყველების წელს — 817-ს დაუმატა „ნინოს ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის მიერ ნაწარმოები მირიანის მოქცევიდან გარდაცვალებამდე გასული ოცდახუთი წელი და, ამგვარად, მირიანის გარდაცვალების თარიღად 842 წელი მიიჩნია. შემდეგ ვახუშტი მირიანის გარდაცვალების თარიღს აკლებს მისსავე სიცოცხლის ხანგრძლივობის წელს (84) და ასე გამოჰყავს მას

ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის დაბადების წელი 258. რადგან, ლეონტი მროველის თანახმად, მირიანი 7 წლის გაუმეფებიათ, ამიტომ მისი მბრძანებლობის დასაწყისიც ვახუშტიმ 205 წლით განსაზღვრა.¹¹

თეიმურაზ ბატონიშვილმა 1848 წელს გამოქვეყნებულ თავის „საქართველოს ისტორიაში“ ვახუშტისეული მირიანის მეფობის დათარიღება მიიღო მცირედი შესწორებით, მან მირიანის გამეფება 266 წლით განსაზღვრა, ხოლო გარდაცვალება — IV საუკუნის დასაბამიდან ოცდამეოთხეტი წლის შემდგომი დროით.

დ. ბაქრაძემ 1880 წელს გამოცემულ ნაშრომში („მირიან მეფე და წმ. ნინო“), მირიანის მეფობის ვახუშტისეული დათარიღება (265-342) უცვლელად მიიღო. თუმცა მან იცოდა რომელი მწერლის ამიანე მარცელინის 361 წლის ცნობა, რომლის თანახმად იბერიის მეფე „მერიბანესი“ ცოცხალი ყოფილა 360-361 წლებშიც, დ. ბაქრაძე მირიანის მეფობის ასეთსავე დათარიღებას იძლევა 1889 წელს გამოცემულ თავის „საქართველოს ისტორიაში“. იგი ამ ნაშრომში მიუთითებს ამიანეს 361 წლის ცნობაზე და აღნიშნავს, რომ ამ დროს ქართლის მეფეა ბაქარი (ვახუშტი, 342-364 წწ.) და არა მირიანი. მისივე შენიშვნით, თუ ამიანეს მერიბანესი უდრის მირდატს (ვახუშტის 364-379 წწ.) 361 წელს მეფობდა ბაკური და არა მირდატიო.

მ. ჯანაშვილმა 1884, 1886, 1894 წლებში გამოცემულ ნაშრომებში გაიზიარა ვახუშტის მტკიცება მირიანის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ხოლო 1906 წელს გამოქვეყნებულ წიგნში („საქართველოს ისტორია“, ტ. I) იმავე ვახუშტის, აგრეთვე ლეონტი მროველისა და ამიანე მარცელინის ცნობებზე დაყრდნობით, მირიანის გარდაცვალება 361 წლით განსაზღვრა, გამეფების თარიღად კი 298 წელი მიიჩნია.

1895 წელს ს. ბარათაშვილმა თავის ნაშრომში („საქართველოს ისტორია“) უდავოდ გაიზიარა მირიანის გამეფების თარიღად მანამდე აღიარებული თარიღი — 265.

1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა რ. რააბემ გამოსცა ასურული ტექსტი პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სადაც რამდენჯერმე აღნიშნულია, რომ პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა იყო პეტრეს პაპა (დედის მხრიდან) დიდი ბაკური, რომელმაც ქართველი ერი მოაქციაო¹². აქედან გამომდინარე კი, IV საუკუნის პირველ ნახევარში, მოქცევის პერიოდში, ქართლში მეფედ დიდი ბაკური უნდა ყოფილიყო.

ამ ცნობას პირველად 1898 წელს ბოლოტოვი გამოენშაურა, რომელმაც, ითვალისწინებდა რა რომელი მწერლის ცნობას მირიანის შესახებ, გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: IV საუკუნის პირველ ნახევარში მეფედ უნდა ყოფილიყო ბაკური, მხოლოდ 348 წლის მახლობლად იგი შეცვალა მირიანმაო.

ცნობას დიდი ბაკურის შესახებ სპეციალურად გამოენშაურა ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც ქართლის გაქრისტიანება 330-იანი წლებით დაათარიღა და ამ წლების მახლობელი დროის მეფედ „დიდი ბაკური“ აღიარა. ამასთანავე გამოთქვა აზრი, რომ დიდი ბაკური თუ უფრო ადრე არა, 298 წლიდან მაინც ყოფილა ქართლში მეფედო¹³, ხოლო მირიანის შესახებ წერდა, რომ „361 წელს იბერიის მეფედ უკვე მირიანი იხსენიება“¹⁴ (იმოწმებს ამიანე მარცელინის). მკვლევარი იქვე მიუთითებდა: „როდის გამეფდა მირიანი, დანაშვილებით გამოორკვეული არ არის, მხოლოდ მირიანს, როგორც ეტყობა, დიდხანს არ უმეფია“¹⁵.

ეს აზრი არ გაიზიარა კ. კეკელიძემ და სამართლიანად აღნიშნა, რომ პეტრე იბერის პაპა ბაკური არ შეიძლებაოდა ყოფილიყო კონსტანტინე დიდის (306-337) თანამედროვედ¹⁶.

მოგვიანებით, თითქმის ერთდროულად, გამოვიდა გ. გოზალიშვილისა და ნ. ლომოურის ნარკვევები, გ. გოზალიშვილი მხარს უჭერდა ივ. ჯავახიშვილს, ნ. ლომოური კი კ. კეკელიძეს. გ. გოზალიშვილმა „დიდი ბაკური“ არა მარტო კონსტანტინე დიდის



თანამედროვედ გამოაცხადა, არამედ 394 წლის ფრიგულდის ბრძოლის გმირთან გაუფიცა კიდევ.¹⁷ მისი შენიშვნით, მირიანი არ იყო კონსტანტინეს თანამედროვე.¹⁸ რადგან რომაული წყაროს ცნობით, 361 წელს საქართველოში მეფედ მირიანი იხსენიება, აზიტომ „ეს პერიოდი (ბაკურის მეფობისა — ს. გ.) დაახლოებით ოც წელს მაინც გაგრძელებულია, როცა ქართლის ცხოვრებას სათავეში ბაკური ედგა“.¹⁹

ნ. ლომოური არამარტო უარყოფდა „დიდი ბაკურის“ მოღვაწეობას ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების პერიოდისათვის, არამედ სამართლიანადაც ასკვნიდა, რომ პეტრეს პაპა ბაკური არ შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მირიანის შვილი და მის შემდგომ მოღვაწე ქართლის მეფე²⁰, ისე 394 წელს რომაელთა ხმასაბურში მყოფი ბაკურიო.²¹

1918 წელს ბ. ესაქმე მირიანის გარდაცვალების თარიღად მიიღო ცნობილი 342 წელი, მაგრამ მისი გამეფების გაბატონებული დათარიღება ხუთი ათეული წლით უკან გადმოსწია და 310 წელზე მიუთითა.²²

1915 წელს ს. გორგაძემ მირიანის გამეფების თარიღად 309 წელი მიიჩნია. უ. ბროსემ 1923 წელს მირიანის გარდაცვალება 356 წელზე იჭარაუდა (იგი ქართლის მოქცევის 331 წლით საზღვრავდა, ხოლო მირიანის გარდაცვალებას 25 წლის შემდეგ ანგარიშობდა).²³

1928 წელს აღნიშნულ საკითხს შეესო ს. კაკაბაძე და გამოთქვა რამდენიმე საინტერესო და ახალი აზრი მირიანის ზეობის დათარიღებისათვის. ამ მეფის ხელდასმა უნდა მომხდარიყო III საუკუნის მიწურულს ან IV საუკუნის დასაწყისს, მიუხედავად იმისა, რომ 1924 წელს აღნიშნულ მოვლენას იგი 320 წლის ახლო დროით ათარიღებდა.²⁴ მისივე თქმით, მირიანი 362 წელს უნდა გარდაცვლილიყო.²⁵

შემდგომ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსებმა (პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია და სხვ.) იცოდნენ ამიანე მარცელინის ცნობა ქართველი მეფის მირიანის შესახებ, ამ უკანასკნელის მოღვაწეობას მაინც IV საუკუნის პირველი ნახევრით საზღვრავდნენ. ასეთივე აზრი იყო გატარებული საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის განკუთვნილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც.²⁶

1958 წელს გ. მელიქიშვილი ვრცლად შეესო პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მოღვაწეობის ორი ძირითადი თარიღის დაზუსტების საკითხს. ნაშრომში მკვლევარი იძულებულია ანგარიში გაუწიოს როგორც ქართულ, ისე სომხურ და რომაულ წყაროებს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ მირიან III უნდა გამეფებულიყო IV საუკუნის 20-იან, 30-იან წლებში და გარდაცვლილიყო 338 ან დაახლოებით 342 წელს.²⁷ ისტორიკოსი 338 წელს ამყარებს მოვსეს ხორენაცის მონაცემებზე, რომლის მიხედვით მირიანი თითქმის ბრძოლაში დაღუპულიყო. ხოლო 362-ს, გაქრისტიანების 25 წ. ი. 287 წლიდან 25 წლის გასვლის შემდეგ გარდაცვალებამდე, ქართლის ცხოვრების ცნობაზე დამყარებით.²⁸

გ. მელიქიშვილის ერთი წლის შემდეგ გამოსულ თავის შრომაში პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის ზეობა ზოგადად, IV საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრა.²⁹

ს. უაუზიშვილმა მირიანის მოღვაწეობის თარიღის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა 1961 წელს. იგი წერდა: „საკმათოდ არის ქცეული ოღონდ ამ ქართველი მეფის მეფობის წლები. ეს ამბავი ხდება 361 წ. და საკითხავია არის თუ არა ეს მეფე „ქართლის ცხოვრების“ ის მირიან მეფე, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა. მკვლევარების ერთი ნაწილი უარყოფს, რომ ეს იგივე მეფეა, ზოგი კი ბუნდოვნად ტოვებს საკითხს — გამოვლად IV ს. 20-30-იან წლებში, გარდ. 338 ან დაახ. 362 წელსო, ე. ი. 24 წელი მაინც გამოდის მერყეობისათვის. მაგრამ, თუ კი აღიარებული იქნება (როგორც მკვლევ-

ვართა დიდი უმრავლესობა სცნობს), რომ ქართლი 30-იან წლებში მოიქცა კონსტანტინე დიდის (306-337) დროს, საკმაოდ კარგად ეწეოდა ამას „ქართლის ცხოვრების“ სხვა ჩვენება, რომ მოქცევიდან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევა...“ და მის შემდეგ: „და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიც აღესრულაო“. ე. ი. 25-26 წელიწადს თუ მივუმატებთ ოცდაათიან წლებში დადებულ მოქცევის თარიღს, თითქმის სწორედ ეთანხმება და გამოდის, რომ ამ მირიანს 361 წლამდე მართლაც უმეფია და არ უნდა იყოს მართალი მოსე ხორენაცის გადმოცემა, რომლის მიხედვითაც თითქოს დაახლოებით 338 წელს მოეკლათ იგი.³⁰

6. განაშია 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ამტკიცებდა, რომ მირიანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ კონსტანტინე დიდისა (306-337) და თრდატ III-ის (257/258-330) თანამედროვე. თუმცა იგი არ გამოიციხავდა მირიანის გამეფებას ნიზიზინის ზავამდე (298 — ს. გ.)³¹, შემდეგ მკვლევარი ითვალისწინებს რა ამიანე მარცელინისა და ქართლის ცხოვრების ცნობებს, განმარტავს, რომ მირიანი „შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო IV ს. 60-იან წლებშიც“.³²

5. განაშია თუ პირველ ნაშრომში მირიანის გამეფებას ნიზიზინის ზავამდე ათავსებდა, მეორე ნაშრომში ამ მეფის დაბადება განსაზღვრა ამ ხანით (290-300). მისივე თქმით, მირიანი გარდაიცვალა 361 წლის შემდეგ, მის მომდევნო წლებში.³³

ა. ბოგვერადეს მირიანის გამეფება ნიზიზინის ზავის უადრეს ძალზედ პივევოდ ეჩვენება და გამოთქვამს სამართლიან აზრს, რომ ამიანე მარცელინის „მერიბანი“ რომ ქართული წყაროების მირიანია, ამის საწინააღმდეგო რაიმე საბუთი არ მოგვეპოვებოდა.³⁴

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ საუკუნის 80-იან წლებში, ის მკვლევარები, ვისაც კი დასჭირდა ამა თუ იმ ცნობის გამო დამოწმება მირიანის ზეობისა, ყოველთვის იმეორებდნენ ვახუშტი ბატონიშვილის მტკიცებას ან მასთან დაახლოებულ ქრონოლოგიას. ასე მაგალითად: რ. პატარიძემ ერთ-ერთ ნაშრომში მირიანის ზეობა 265-342 წწ. აღნიშნა,³⁵ ხოლო მეორეში ამ ქართველი მეფის გარდაცვალება 334 წლით.³⁶ მ. ჩხატარაშვილის აზრით, მირიანი IV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.³⁷ ასეთივე აზრისაა ლ. პატარიძეც.³⁸

ამ ბოლო დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და განსხვავებული აზრი გამოთქვა ვ. გოლიაძემ თავის ნაშრომში „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“.³⁹ ავტორმა აღნიშნულ სტატიაში მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სამი ძირითადი თარიღი ასეთი მიმდევრობით დააღაგა: 250 წ. — დაბადება, 257 წ. — გამეფება და 334 წ. — გარდაცვალება. მისივე მტკიცებით, „257 წლიდან ოფიციალურ მეფედ მირიანი ითვლებოდა, სამეფოს კი რევი განაგებდა“.⁴⁰ მხოლოდ „298 წელს მან, დიოკლეტიანეს მხარდაჭერით, დაიკავა ტახტი“.⁴¹ ასევე „262 წლის „ზოროასტრის ქაბახს“ წარწერაში უახურო I-ის დიდებულითა შორის დასახელებული „ქართლის მეფე ამაზასპი“ იგივე რევი უნდა იყოს.⁴²

ამრიგად, მირიანის გამეფების თარიღად ვ. გოლიაძე თვლის 257 წელს, ხოლო ბოლოტოვი 348 წელს. ამ თარიღებს შორის სხვაობა 91 წელს გვაძლევს. ხ. კაკაბაძის აზრით, მირიანი გარდაიცვალა 362 წელს, ხოლო ვ. გოლიაძე თვლის, რომ ეს ამბავი 334 წელს უნდა მომხდარიყო. აქ უკვე სხვაობა 28 წელია.

ისმის კითხვა, რამ გამოიწვია აზრთა ასეთი სხვადასხვაობა?

ამის მიზეზი ძირითადად სამი გარემოებით უნდა ავხსნათ. პირველი, მკვლევართა უმრავლესობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ში არსებულ „ნინოს ცხოვრების“ შედგენას VII ან IX-X საუკუნით საზღვრავდა. მასში შემონახულ ცნობებს მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სანდოდ არ მიიჩნევდნენ, რადგან შიგ არსებული ცნობები მირიანის შესახებ თითქოს ამ მეფის ცხოვრებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ იყო

შედგენილი. მეორე, ლეონტი მროველმა მირიანის სპარსეთის პირველი სასანიანი მეფის არდაშირის შვილად აქცია, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად წყაროში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) მირიანის მამად დასახელებული იყო ლევი (რევი).

შვიდი საუკუნის შემდეგ დიდმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტიმ, როცა დაადგინა მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები და ნახა, რომ მირიანის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები არ ემთხვეოდა ქასრე ანუ შირვანის (226-243) მეფობის წლებს, მირიანი ქასრეს მომდევნო მეფის შაბურის (243-272) შვილად წარმოგვიდგინა.

ჩვენ ის აზრი მივაჩინა სწორად, რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმომავლობის შესახებ გამოწვეულია სურვილით მოეძებნოს მას განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანი წინაპრები.

აი, ამის გამო მირიანის მამა რევი ვერ მოხვდა ლეონტი მროველის მიერ მოცემულ მეფეთა რიგში. რადგან ლეონტის კონცეფციით სსრკ-ის არდაშირის შვილად იქცა, ამიტომ მან მირიანის წინა მეფის ასფაგურის მეფობაში დასვა არდაშირ სასანიანის გამეფება,⁴⁴ ხოლო შემდგომ ამ ორი თითქოსდა თანამედროვე მეფის შვილები აბეშარა და მირიანი დააკავშირა ერთმანეთთან.⁴⁵ რადგან სომხეთის გამაქრისტიანებელი მეფე თრდატი დაახლოებით თანამედროვეა მირიანისა, ამიტომ მან თრდატის მამა ზოსროვიც ასფაგურის თანამედროვედ გამოაცხადა.⁴⁶

მესამე, უცხოურ მწერლობაში ჩვენ მოგვეპოვეს მირიანის მოღვაწეობის დასასრული შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა, მოვსეს ხორენაცისა და ამიანე მარცელინის ნაშრომების სახით. პირველის — „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით, მირიანი ბრძოლაში მოუკლავთ დაახლოებით 337 წელს,⁴⁷ ხოლო მეორის ცნობით, მირიანი ცოცხალი ყოფილა 341 წელსაც.⁴⁸

დღეისათვის დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია არის ნინოსა და მირიანის თანამედროვეობის მიერ შექმნილი, ქრონოლოგიური ცნობებით გამდიდრებული და ქრისტიანული მწერლობის ყველაზე უძველესი ძეგლი. დადგენილია, აგრეთვე, ისიც რომ მირიანი არ შეიძლება ყოფილიყო სპარსთა უფლისწული, მით უმეტეს პირველი სასანიანი მეფის არდაშირის (226-243) შვილი, მაგრამ დიდ დავას იწვევს მირიანის გარდაცვალების თარიღი, რომელზედაც მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები მკვეთრად დაკავშირებული. ამიტომ საჭიროა მოვსეს ხორენაცისა და ამიანე მარცელინის მონაცემები მირიანის შესახებ შესწავლილ იქნეს კრიტიკულად. საჭიროა დადგინდეს, რომელი ისტორიკოსის ცნობები შეესაბამებიან რეალურობას. მოვიყვანოთ მათი ცნობები პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ. მოვსეს ხორენაცის მიხედვით, მირიანი ყოფილა სომხეთის მეფის თრდატის ერთ-ერთი მხედართმთავარი, აი რას წერს იგი: „თრდატმა მხედართმთავრებად თავისიანებიდან ოთხი აქცო შეარჩია: ქართველთა წინამძღოლი მირიანი, რომელსაც ეწოდა ქრისტეს რწმუნის გამო, ასევე ბაგარატი, რშტუნთა უფალი მანაჭიპრი და ამატუნთა უფალი ვაჰანი“.⁴⁹

ხომეხი ისტორიკოსის სიტყვით, მირიანი, ისევე როგორც ზემოაღნიშნული ხარდლები, სომხეთის ჯარის ერთ-ერთი მხედართმთავარია თრდატის ძის ზოსროს (330-338) დროსაც. აქ მირიანი იხსენიება როგორც „ქართველთა წინამძღოლი და გუბარელთა პიტიანში, ჩრდილოეთის ლაშქრის მხედართუფროსი“.⁵⁰

ზოსროს სიცოცხლეში, ე. ი. 338 წლამდე, სომხეთს შემოსევია ჩრდილო კავკასიელი ტომები სპარცვად. მოვსეს ხორენაცის სიტყვით, მირიანი „ბრძოლაში დაეცა, ხოლო ჩვენი ჩრდილოეთის ჯარი დამარცხდა და გაეცალა ბერებს“. შემდეგ ზოსროვმა მირიანის ნაცვლად ჩრდილოეთის ლაშქრის „სარდლად გარჯილ მალხაზი, ხორხორუნთა უფალი განამყენა“.⁵¹

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ანანიაშვილის „ისტორიაში“ მირიანი (მიჰრანი) არის ქართველთა პიტიახში და ხოსროს ნების აღმასრულებელი⁵².

ახლა მოვიყვანოთ ის ნაწყვეტი ამიანე მარცვლინის ისტორიიდან, რომელშიც მოხსენებულია ქართველთა მეფე მირიანი.

მამ წელს ირანელმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და რომაელებსაც გაქირებებით უკუაგდეს ისინი, მაგრამ „უშინოდით, რომ კარგი ამინდის დადგომისათვის, ნავე უფრო ძლიერ თავდასხმას მოაწყობდა სპარსთა მეფე, რომელიც გაქირვებით იქნა უკან დახევინებული ზამთრის დროის სიძნელების გამო. ტიგროს გადართმომო მოიპოვა და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გააგზავნილი, რათა უველასათვის დაეხმარებინათ. ჩიხნთის მფლობელი და არაფერ მოტყუებას ანდო ლალატს ცდილიყვნენ. მაგრამ უველაზე უფრო მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერბანი, არშენისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინდელ საეპქო ვითარებაში სპარსელებს მიუღებოდადნენ, აფნებდნენ რომის საქმეებს“⁵³.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია ის აზრი, რომ მირიანი მომკვდარა IV ს. პირველ ნახევარში (334, 338 ან 342), მაგრამ უველა ისტორიკოსი მაინც იყენებს ამიანეს მიერ მოცემულ ზემოაღნიშნულ ცნობებს ქართლის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევად IV საუკუნის 50-60-იან წლებისათვის.

სომეხი ისტორიკოსის ნაშრომში ის ადგილი, სადაც ქართლი სომხეთის ერთ-ერთ მხარედ მიჩნეულია⁵⁴, სადაც მირიანი მოხსენებულია როგორც ქართველთა წინამძღოლი და გუგარელთა პიტიახში, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ტენდენციური შრომის ნაყოფი, ან სომეხ ისტორიკოსებთან ზემოაღნიშნულ ნაწყვეტებში მოხსენიებული მირიანი არ უნდა იყოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე. ან, ყოველ შემთხვევაში, ქართლის მეფის მირიანის სიკვდილი სომხეთის მეფის ხოსროს (330-338) სიცოცხლეში დაახ. 337 წელს უნდა გამოირიცხოს და აი რატომ.

1. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე ცოცხალი ჩანს 338 წლის ბოლოსაც. წმ. ნინოს ღვაწლავების შემდეგ მირიანი „მეფე არა განეშორა საფლავსა მისსა წმიდასა ვიდრე ბანაურთ მისით, ვიდრე შუდ დღემდის“⁵⁵ როგორც ცნობილია, წმ. ნინო გარდაიცვალა 338 წლის⁵⁶ მეთერთმეტე თვის 14 რიცხვში⁵⁷ (14 იანვარს, მაშინ ახალი წელი მარტიდან იწყებოდა). მირიანი ცოცხალი ჩანს ნინოს გარდაცვალებიდან ღიდი სნის შემდეგაც.⁵⁸

2. „და ოცდამესამესა წელსა აღმართებითგან პატოსნისა ჭუარისა შეუქმნა კუბარეც და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა“.⁵⁹

ჩვენ „ქართლის მოქცევის თარიღის დაზუსტებაში“ ვაჩვენეთ, რომ აღმართვა პატოსნის ჭუარისა უნდა მომხდარიყო 327 წელს⁶⁰; ამიტომ „კუბაჲ“-ს, შექმნა რეცის მიერ ნოვა (327+23) 350 წელზე. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ მირიან მეფის უველარეც მომკვდარა ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში⁶¹, ამიტომ თუ რეც 350 წელს ცოცხალი იყო, ცოცხალი უნდა ყოფილიყო მირიანიც, ამიტომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ სომხურ წყაროებში მოხსენიებული მირიანი ან გუგარელთა პიტიახში უნდა იყოს და ეს ქართული სამთავრო ამ დროს სომხეთზეა დამოკიდებული ან „მეფეთა პაშავეში“ მოხსენიებული მირვანოზი (მირვანი, ეს ახელი ემსგავსება ამიანეს „მერვანოსი“-ს) მირვანოზი მირიანის ტახტზე აყვანის შემდეგ ჩანს როგორც ახალგაზრდა მეფის „მამამჟღუ“, განმგებელი და ჭარის მხედართმთავარი.⁶²

ასეთ შემთხვევაში სომხურ ცნობასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს რომელიც წყაროს ცნობას, რომ მირიანი ცოცხალი იყო 360-361 წლებშიც. მით უმეტეს

რომ ამიანე თანამედროვეა, მომსწრე და თვითმხილველი იმ ომისა და ვითარებისა, რომლებიც მიმდინარეობდა რომაელებსა და სპარსელებს შორის IV საუკუნის 50-60 წლებში. წლების მიჯნაზე და რომელიც 363 წელს 30-წლიანი ზავით დამთავრდა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ 359 წელს ამიდან ბრძოლის წინ ირანელთა ლაშქრის სათვალთვალოდ გაგზავნილ ამიანეს საკუთარი თვალით დაუნახავს შაბურ II-ის (309-379) გვერდით მყოფი ალბანეთის მეფე.⁵³

ჩვენი აზრით, რომაული წყაროს მიერ მოცემული ზემოაღნიშნული ნაწევები უფრო შეესაბამება იმდროინდელ ვითარებას და მასში მოხსენიებული ორი ქვეყნის გამგებელი, სომხეთისა და ქართლისა, სრულიად უნდა შეესაბამებოდნენ თავიანთი ზეობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ასე, მაგალითად: რომაელი მწერლის მიერ მოხსენიებული არშაკი არის ხორენაცისეული არშაკი, იგივე არშაკ III, რომელიც სომხეთში მეფობდა 350-367 წლებში⁵⁴.

ცნობილია, რომ ამიანეს მიერ ზემოაღნიშნულ ომამდე, სპარსელებსა და რომაელებს შორის არშაკის მეფობის პერიოდში არავითარი სხვა ომი არ ყოფილა, ე. ი. 350-361 წლებში. ამიტომ უეჭველია, რომ 361 წელი არშაკის მეფობის ერთი ისეთი წელთაგანი უნდა იყოს, როგორიც ქართველი მეფისა. რომაული წყაროს კონტექსტში ამ ორი მეფის ერთად მოხსენიება იმის მთქმელია, რომ ისინი 361 წლის შემდეგ თუ არა, 350 წლიდან მაინც ორი მეზობელი სამეფოს მმართველები უნდა ყოფილიყვნენ.

ამიანე მარცელინის ეს ცნობა სანდოდ უნდა იქნეს მიჩნეული. შიშ უმეტეს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება მისი ცნობის საწინააღმდეგო საბუთი. კიდევ მეტი, რომაელი მწერლის ამ ცნობას მხარს უჭერენ ძველი ქართული წყაროები, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი, ისე ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მონაცემებიც. აქედან პირველი-ორის ცნობებს მირიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღების შესახებ წინამდებარე ნაშრომში შევხებით.

ამასთანავე ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ მირიანსა და ვარაზ-ბაკურს შორის, ე. ი. 361-368 წლებს შუა, რაღაც შვიდი წლის განმავლობაში, რამდენიმე მეფის ზეობაა საგულვეტელი: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ ბაკური და თრდატი, ხოლო ლეონტი მროველით — ბაქარი და მირდატი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მარცელინის მიერ მოხსენიებული საურმაგი ქართლის მეფედ ყოფილა 368 წელს⁵⁵ და ამ წლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული აზ-ბაკური იგივე „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ვარაზ-ბაკურია (ვარაზ-ბაქარი), მაშინ უფრო საგულვეტელია 361 წელი მივიჩნიოთ მირიანის მეფობის ბოლო ან ყოველ შემთხვევაში ბოლოს წინა წლად. ყველა ცნობის გათვალისწინების შედეგად მეფეთა რიგი აღნიშნული დროის მონაკვეთში ასე წარმოგვიდგება: მირიანი (361 წ.) — ბაკური-მირდატი-თრდატი-საურმაგი-ვარაზ-ბაკური (368 წ.)

თუ გავითვალისწინებთ ცნობებს ძველ-ქართული წყაროებისას, მოვსეს ხორენაცი-სას, ფავსტოს ბუზანტიას და ამიანე მარცელინისას, რომელთა მიხედვითაც გართულე-ბული პოლიტიკური მდგომარეობა იგულისხმება მთელს ამიერკავკასიაში, ყოვლად შესაძლებელია მეფეთა ხშირი შეცვლა იბერიის სამეფო ტახტზე. ეს, რა თქმა უნდა, სდებოდა რომაელთა, სპარსელთა თუ სომეხთა⁵⁶ ნებით თუ უნებლიეთ; რასაც ემატე-ბოდა, აგრეთვე, სავარაუდოს შივნით გამწვავებული ბრძოლა ტახტისათვის რევისიანთა და ბაკურიანთა შტოებს შორის.

(დასასრული იქნება).



1. სიმონ გოგიტიძე. ქართლის მოქცევის თარიღის დაზუსტება. გადაცემულია დასაბეჭდად უურნალ „მნათობის“ რედაქციაში.
2. მ. ჩხარტიშვილი. „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია. „მნათობი“, 1987, № 5, გვ. 149 და შემდეგ; ივ. ლოლაშვილი. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან. თბ., 1978, გვ. 19.
3. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუ. ნაშვილმა. თბ., 1979, გვ. 353-355.
4. იქვე, გვ. 321.
5. ქართლის ცხოვრება. ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1955, გვ. 64.
6. შატბერდის კრებული გვ. 353.
7. გეორგიკა I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, გვ. 101-102; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 77.
8. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია. ალ. აბდალაძის რედაქციით, თბ., 1984, გვ. 170-171, 184, 186.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7, სტატია „მირიან III, გვ. 154.
10. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1983 წლის, თბ., 1983, გვ. 49.
11. ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია.
12. ცხოვრება პეტრე იბერიისა. ასურული რედაქცია. ივ. ლოლაშვილის გამოცემა. თბ., 1988, გვ. 82.
13. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ერის ისტორია. წ. I, თბ., 1960, გვ. 233.
14. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I, თბ., 1979, გვ. 274.
15. იქვე.
16. კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 19, 20.
17. გ. გოშალიშვილი. ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური. თბ., 1974, გვ. 78.
18. იქვე, გვ. 59.
19. იქვე, გვ. 82.
20. ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ., 1975, გვ. 66.
21. იქვე, გვ. 49.
22. Б. Эсадзе. Летопись Грузии, вып. I, 1913, с. 20.
23. უ. ბროსე. ქართლის ცხოვრება. ნ. მარის რედაქციით, პეტროგრადი, 1923, გვ. 64, 100.
24. ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. — ხაისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1924, გვ. 10.
25. ს. კაკაბაძე. ძიებანი ქართველთა IV-VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, — ხაისტორიო კრებული, წ. II, ტფ., 1928, გვ. 9.
26. პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 319; საქართველოს ისტორია, ნაწ. I, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1946, გვ. 89; საქართველოს ისტორია. განკუთვნილი VIII-X კლასებისათვის. თბ., 1958, გვ. 70.

27. გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. — ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, გვ. 1, თბ., 1958, გვ. 170.
28. იქვე, გვ. 162, 163.
29. Г. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 62, 423.
30. გეორგიკა I, გვ. 80-81.
31. ნ. ჭანაშია. ქართლი IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973, გვ. 62.
32. ნ. ჭანაშია. ბრძოლა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართლში IV საუკუნის მეორე ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარში. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 77.
33. ნ. ჭანაშია. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986, გვ. 153.
34. ან. ბოგვერაძე. ქართლის (იბერიის) სამეფოდ 369 წლის გაყოფის საკითხისათვის. — ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 88.
35. რ. პატარიძე. დავითის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი. — მნათობი, 1987, № 3, გვ. 156.
36. რ. პატარიძე. ქართული მწიგნობრობა. თბ., 1989, გვ. 12, 13.
37. მ. ჩხარტიშვილი. „ფრიად სარწმუნო ბაკური“. — „მნათობი“. 1986, № 5, გვ. 162.
38. რ. პატარიძე. „წიგნი შირიანისა“. „მნათობი“. 1989, № 4, გვ. 163, 164.
39. ვ. გოლიაძე. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. — „მნათობი“. 1988, № 3, გვ. 150.
40. იქვე, გვ. 154.
41. იქვე, გვ. 155.
42. იქვე, გვ. 154.
43. გ. მელიქიშვილი. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. გვ. 162.
44. ქართლის ცხოვება. ტ. I, გვ. 59.
45. იქვე, გვ. 64.
46. იქვე, გვ. 59.
47. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, გვ. 186.
48. გეორგიკა I, გვ. 101-102.
49. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. გვ. 170.
50. იქვე, გვ. 184.
51. იქვე, გვ. 186.
52. მოვსეს კალანკატუაცი. აღვანთა კვეყნის ისტორია. ლ. დავლიანი-ტატიშვილის რედაქციით, თბ., 1985, გვ. 31.
53. გეორგიკა I, გვ. 101-102.
54. ლ. ჭანაშია. ლაზარ ფარპელის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962, გვ. 185.
55. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის რედაქციით, გვ. 90.
56. შატერდის კრებული. გვ. 324. ქართლის ცხოვრება. ტბ. გვ. 127.
57. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1958 წლისათვის. გვ. 25; ძველი ქართული

ლი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, ე. გაბიძაშვილისა და ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1968, გვ. 351, 353.

58. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 912-913.

59. შატერდის კრებული. გვ. 324.

60. სიმონ გოგიტიძე. ქართლის მოქცევის თარიღის დაზუსტება. გადაცემულია და-საბეჭდად ჟურნალ „მნათობის“ რედაქციით.

61. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 129.

62. იქვე, გვ. 64-65.

63. გეორგიკა, I, გვ. 101.

64. მოვსეს ზორენაცი. სომხეთის ისტორია. გვ. 282, შენიშვ. 19.

65. ივ. ჯავახიშვილი. ტ. I, გვ. 274.

66. მხედველობაში მაქვს ლეონტი მროველის ცნობა ბაკურ მირიანის ძის შესახებ. — ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 180-181.

შოთა ჯაფარიძე

იასე რაჭველის გეგმენა

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1920 წლის მეცხრე ნომერში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი წერდა:

„გახული წლის მარტში მოულოდნელად გარდაიცვალა სამშობლო ქვეყნის ერთი თავდადებული მოყვარულ-მოტრფიალეთაგანი, ძველი პოლიტიკური დევნილი, მწერალი და საზოგადო საქმეებით გატაცებული ადამიანი. ეს იყო იასე მაქსიმელის ძე გეგმენა — იასე რაჭველი.“

იასე რაჭველი თვითგანვითარებით ეწია სამშობლოს სამსახურის შეგნებას და სიყრმიდან მას მხნედაც შეუდგა. 80-იან წლებში ძველი მთავრობისაგან დევნილი გადახვეწილა საზღვარგარეთ, ოსმალეთს, სადაც პირველ განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც ღირსი წილი. საბერძნეთსა და სტამბულში ყოფნის დროს შეუსწავლია თურქული, ბერძნული და სხვა ენები. ამავე დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ათავსებდა. ადგილობრივ გადახვეწილ ქართველთა შორის სამშობლოს სიყვარულის იდეას ავრცელებდა. მამულიშვილობის გრძნობას აღვივებდა. დაწერა მოთხრობები: „მეექვსე ნომერი“, „რაშია ბედნიერება“, „მარიანა“, „უმანკო მსხვერპლი“, „მართალი კაცი“ და სხვ. გამოცდა წერილები თამარის, შოთას, ამირანის სურათებით, შესაფერისი წარწერებით, რომელსაც იმხანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამშობლოში დაბრუნებისას დიდ სამწერლო საქმეებს მოჰყიდა ხელი. მაგრამ საქმე ვერ წაუვიდა კარგად, ბოლოხანს ლაგოდესს გადასახლდა, სადაც, სხვათა შორის, დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის „ბერეთის“ გამოცემა, რომელშიც ჩვენს საეროვნო-საზოგადოებრივ და ადგილობრივ ვითარებას არკვევდა. ამ ჟურნალს საკუთარი ხელით წერდა და გეგმორაფზე ბეჭდავდა. შემოთხსენებულ ნაწარმოებთა გარდა ღარჩა მრავალი ხელნაწერი ლექსები, პოემები, წერილები, როგორც შევსებული მის ქვრივს და მცვობრებს განუწარმავთ ამ ნაწარმოებთა ცალკე გამოცემა, სწორედ კარგი განწარმეა.



იასე ჯერ შუახნის არც კი იქნებოდა და ამიტომაც მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გასართო მწუხარება გამოიწვია. მასში სცემდა ნამდვილი მამულიშვილი დემოკრატიული და ნუშე დაედევნა მსგავსი გულნი ჩვენს სამშობლოს“.

ეს სტატია ცხადყოფს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ერთი დაუცხრო-მელი მუშაკის მრავალმხრივ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

იასე მეტწილად დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბაილეთში, რვა წლის ასაკში მშობლებმა იგი სოფლის ერთკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც მაშინ მასწავლებლად მუშაობდა ბესარიონ ჭიჭინაძე, მეტად ჰუმანური და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. იმ ხანებში სკოლა დაუზუსტავთ, ხოლო იასე, როგორც ნიჭიერი მოწაფე, ბ. ჭიჭინაძემ დედ-მამის თანხმობით რაჭაში წაიყვანა და ორკლასიან სასწავლებელში გააბარა.

იასე სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს რაჭაში დარჩა. იქ დაუახლოვდა არა-ლეგალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია აღვილობრივმა პოლიციამ აღმოაჩინა და მისი მოთავენი დააპატიმრა. იასე გურიაში ბრუნდება და აგრძელებს არალეგალურ საქმიანობას. ეწევა ეთნოგრაფიულ მუშაობას, აარსებს ამხანაგობა „გეორგიას“, ესმარება ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს.

პოლიციის დევნისაგან თავდასაღწევად საზღვარგარეთ გაემგზავრება, იმოგზაურობს თურქეთში, საფრანგეთში, იტალიაში. პუბლიცისტურ წერილებს თავის მასწავლებლის ბ. ჭიჭინაძის და რაჭისადმი სიყვარულით შერქმეული ფსევდონიმით აქვეყნებდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „ჩვენს დროებაში“, იბეჭდებოდა აგრეთვე მისი რომანები, მოთხრობები, პოემები, ესენია: „მეექვსე ნომერი“ (კინორეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას განუზრახავს ამ რომანის კინოსცენარად გადაღება, მაგრამ ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი ვეღარ განუხორციელებია), „მარიანა“, „უმანკო მსხვერპლი“, „რაშია ბედნიერება“, „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“, „მართალი კაცი“ და სხვ. გარდა გამოქვეყნებული ამ ნაწარმოებებისა, მწერლის მრავალი ნაშრომი დაცულია საქართველოს ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში და სოფელ ბაილეთის მუზეუმში, აქვე მოწყობილია სტენდი, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატებით.

1904 წელს იასე საქართველოში დაბრუნდა და განაგრძო თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. იმავე წელს თბილისის თვითმმართველობის გამგეობასთან დებს ხელშეკრულებას ჟურნალზე კვაფენილის დასაგებად. ქვები პირველ ხანებში საზღვარგარეთიდან შემოქონდათ, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. შემდგომი ძიების შედეგად აღმოჩნდა სამშენებლო ქვის კარიერი გელაოის მახლობლად სოფ. კურსებში, აგრეთვე სოფელ ბამბაკში.

1907 წელს ამხანაგობა „გეორგიას“ ფირმა ბათუმიდან თბილისში გადავიდა, იასემ კონვენციით აიღო მუხრანის რკინის ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე, ხიდის პროექტი და მისი მხატვრული გადაწყვეტა შეასრულა არქიტექტორმა ნებრინოვმა, პროექტი მოიწონა პროფესორმა პატონმა. სწორედ ამ პროექტით დაიწყო ხიდის მშენებლობა ამხანაგობა „გეორგიამ“, რაც 1911 წლის 8 მაისს დამთავრდა და საწიგნო პიარებაში გაიხსნა, ამ ხიდმა დიდი სამსახური გაუწია თბილისელებს, ვიდრე ის 1966 წელს თანამედროვე ტიპის ბარათაშვილის ახალი ხიდით შეიცვლებოდა.

იასე რაჭველი თბილისში ცხოვრობდა ყოფილი ვარდისუბნის (ამჟამად ს. ჭანაშაის) ჭაჩაყე.

იასე რაჭველი დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

როგორც აღვნიშნეთ, იასე რაჭველი თანამშრომლობდა მაშინდელ ყველა პერიო-

დულ გამოცემაში. მათ შორის ქართულ სალიტერატურო გაზეთ „ჩვენს დროებაში“, რომელიც სოფრომ მაღლობიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა თბილისში 1912-1913 წლებში.

საინტერესოა ამ გაზეთის ისტორია. როგორც ცნობილია, რეაქციის პერიოდში მეფის ცენზურა სასტიკად კრძალავდა ქართული გაზეთების გამოცემას. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილები კი დღენიადაგ ზრუნავდნენ მშობლიურ ენაზე ამტკველებული გაზეთის შენარჩუნებაზე. ამის თაობაზე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს არაერთხელ მიუწერია ქართული ლიტერატურის მოღვაწეობის საღმისი, მათ შორის სოფრომ მაღლობიშვილისათვის, ჯერ კიდევ მისი პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში. 1909 წლის 5 ივლისს კი ნიკო ნიკოლაძე ფოთიდან, როცა ის ამ ქალაქის თავი იყო, ს. მაღლობიშვილს წერდა:

„შენი ჭკუის, ნიჭის და გამოცდილების კაცს ნუთუ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ეს მარად იშვიათი საშოვავ, მუშაობა და საქმელი არ მოეპოვება? ის საქმე, რომელზედაც გწერ (გაზეთისა) ჩინებული, საჭირო, მომავლიანი საქმეა, უნდა რიგიანად გავაწესო. გოთ! არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის და მისი მომავლის, მისი ბედის ჩატოვება იმ უმეტესი და უსუსური ხელმძღვანელობის ხელში, ვინც ჩვენს პრესას დღეს სათავეში უდგანან. გამოიღვიძე, აღსდექ, ემსახურე ამ საქმეს და მიაღიე მას, რაც ღმერთს შენთვის ძალა და გონება მოუცია“ (გ. ლეონიძის საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ს. მაღლობიშვილის პირადი ფონდი № 15.871-ს).

მართლაც, ნ. ნიკოლაძის და სხვათა დაუცხრომელი ზრუნვით 1911 წლის 23 დეკემბერს ქართველმა საზოგადოებრიობამ ს. მაღლობიშვილის რედაქტორობით მიიღო ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ჩვენი დროება“. გაზეთის უახლოეს თანამშრომლებად ითვლებოდნენ ე. გორდელაძე, გ. გაჩეჩილაძე, ი. ანდრონიკაშვილი, მ. ამირეჯიბი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, ი. ევდოშვილი, ვ. გუნია, ი. როსტიაშვილი, ნ. ნიკოლაძე, იანე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, ვლ. შალიაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვ.

მართალია, ამ გაზეთმა დროის მცირე მონაკვეთში — 1912 წლის 23 დეკემბრიდან 1913 წლის 2 თებერვლამდე იარსება, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო აზროვნების განვითარების საქმეში, ეს ის პერიოდია იყო, როცა ქართულ სინამდვილეზე საუბარი იკრძალებოდა, მხოლოდ შეფარვითა და გადაკრული ნათქვამი აღწევდა მკითხველამდე, საგულისხმოა, რომ გაზეთი, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ვრცლად აშუქებდა ათონის ივერთა მონასტრის მფარველობისა და დაცვის მნიშვნელოვან საკითხებს.

გაზეთი „ჩვენი დროება“ ერთ-ერთ ნომერში ბეჭდავს იანე რაჭველის საინტერესო წერილს „წმიდა ათონის მთა“, რომელშიც ავტორი მკითხველებს დაწვრილებით მოუთხრობს ათონის მთაზე გაშენებულ ქართველთა მონასტრის ისტორიას დასაბამიდან მეოცე საუკუნემდე, ეს წერილი გამოირჩევა საინტერესო თხრობით, ისტორიულ ფაქტების მოხმობით, ყველაფერი მოჭირანხულის თვლით იყო დანახული და განცდილი.

წერილმა დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველთა შორის და არაერთი გამოხმაურებაც დაიბეჭდა გაზეთის მომდევნო ნომერებში.

„ჩვენი დროება“, როგორც პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პერიოდული ორგანო, კარგად გრძნობდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მაქსიმალურ ცემას, თავის ფურცლებზე მკაფიოდ ასახავდა ყოველდღიურობით აღძრულ პრობლემებს, უხვად ბეჭდავდა ნიჭიერ ავტორთა მიერ ცოცხალი, სხარტი ენით დაწერილ საინტერესო უტყუარებს, პუბლიცისტურ წერილებს, მიმოხილვებს, ინფორმაციებს, რითაც

ამასწავლებდა მკითხველის ყურადღებას იმ ეროვნულ და სოციალურ უსამართლობაზე, რომლის აღსაკვეთად ხალხი უკვე ირავშებოდა.

როგორც აღინიშნა, გაზეთმა „ჩვენმა დროებამ“ მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, ცნობილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის სოფრომ მაგლობლიშვილის რედაქტორობით მტკიცედ დაიმკვიდრა პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების იდეა, სახელოვნად გააგრძელა ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ეროვნული პრესის ტრადიციები და სათანადო კვალი გაავლო მეოცე საუკუნის ათიანი წლების ქართულ პუბლიცისტიკაში.

იასე რაჭველი აქტიური თანამშრომელი იყო ამ გაზეთისა მისი არსებობის მანძილზე და არაერთი საინტერესო წერილი გამოუქვეყნებია მის ფურცლებზე.

შემდეგ ის საცხოვრებლად ლაგოდეხში გადადის, აქაც დაუცხრომელ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. დაიწყო ხელნაწერი ეურნალ „პერეთის“ გამოცემა, რომელშიაც ჩვენს საეროვნო-საზოგადოებრივ და ადგილობრივ ვითარებას აშუქებდა. ამ ეურნალს საყოთარი ხელით წერდა, შემდეგ გეპტოგრაფზე ბეჭდავდა და ავრცელებდა.

ეს მრავალმხრივი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწე მოულოდნელად გარდაიცვალა ლაგოდეხში 1919 წლის მარტში, ახლობლებმა მისი ცხედარი მშობლიურ ბაილეთში გადმოასვენეს და დაკრძალეს წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში თავისუფლებისათვის მებრძოლ ნიკოლოზ მეხუზლას გვერდით. საფლავის ქვაზე, რომელზედაც ვაჟის მტევნები და ფოთლებია გამოსახული, ამოკვეთილია წარწერა: „ამა ძეგლსა ქვეშ განისვენებს გვამი იასე რაჭველი-მეხუზლასი, საზოგადო მოღვაწე, ბელეტრისტი, დაიბადა 1860 წელს, გარდაიცვალა 1919 წელს“.

ანჯიო ფუბიო

კოლონელი კარტოგრაფები საქართველოში*

ქართველ და პოლონელ ხალხებს ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებთ. ამაში გარკვეული როლი შეასრულეს იმ პოლონელმა კარტოგრაფებმაც, რომლებიც მდ-19 საუკუნის დამდეგიდან მოღვაწეობდნენ თბილისში.

ცნობილია, რომ საქართველოს ანექსიამ და ცარიზმის დამკვიდრებამ ამიერკავკასიაში დღის წესრიგში დააყენა ზუსტი კარტოგრაფიული რუკების შედგენა, რასაც უნდა გაეადვილებინა ამ რეგიონში რუსთა სამხედრო მოქმედება. ამ მიზნით 1842 წელს კიდევ ჩამოყალიბდა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლონელი იოზეფ ხოძკო. კომისიას ევალეზობდა შეექმნა ამიერკავკასიის ტრიანგულაცია, ე. ი. ამიერკავ-

* პოლონეთის ქალაქ პოზნანის მკვიდრის ანჯეი ფურიეს ეს სტატია დაწერილია სპეციალურად ურნ. „ქოროხისათვის“.


კასიის ზუსტი საყრდენი გეოდეზიური პუნქტების ქსელი. დაღესტნის იმავე მაგილობაში (1797-1871) ომმა აღნიშნული საქმე შეაყვანა. მხოლოდ 1847 წლიდან მოხერხდა კომისიის მუშაობის განახლება, რაც 1853 წლისათვის დასრულდა. კომისიამ განახლებული ზღვის დონიდან 1880-მდე დასახელების გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი მდებარეობა. ამ სამუშაოთა ნახევარი პირადად ი. ხოძკომ შეასრულა. ამ დიდი სამსახურების გამო იგი 1858 წელს დაწინაურეს და დანიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული მთავარი შტაბის განყოფილების უფროსად.¹

1867 წლიდან ი. ხოძკოს საქმე განაგრძო ხერონიმ სტებნიცკიმ. მის სახელთანაა დაკავშირებული 1853 წელს 20-ვერსიანი საზღაო რუკის შედგენა, 1865 წელს მთლიანი კავკასიის 10-ვერსიანი, ხოლო შემდეგ ზოგიერთი რეგიონისათვის 3-ვერსიანი რუკების შექმნა. დაკვეთებებს იგი აწარმოებდა თურქეთის და ყუბანის ზოგიერთ რაიონებზეც. 1869 წელს ხ. სტებნიცკიმ დაასრულა მუშაობა კავკასიის 5-ვერსიანი, 55 ფურცლისაგან შემდგარ რელიეფურ რუკაზე, რომელიც ჯერ კიდევ ი. ხოძკომ დაიწყო. იმავე წელს რუკა გაიგზავნა პარიზში მსოფლიო გეოგრაფიული საზოგადოების გამოფენაზე, სადაც დიდი მოწონება დამსახურა. ხ. სტებნიცკი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო გეოგრაფიული საზოგადოების სხვადასხვა კონგრესებზე (ბერლინი, ვარშავა, ვაშინგტონი). დიდი დამსახურებისათვის ხ. სტებნიცკი ამაღლეს ჩინში და 1885 წ. დანიშნეს პეტერბურგის მთავარი შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსად.²

ჩვენ შევძელით დავუდგინო საქართველოში ხანგრძლივად მცხოვრები კიდევ ერთი დღემდე უცნობი პოლონელის ვინაობა, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა კარტოგრაფიულ საქმიანობაში. ესაა მიხეილ გოლემბიოვსკი. იგი 1846 წ. 18 ოქტომბერს დაიბადა კრაკოვში, განათლება კი მიიღო რუსეთში. ნოვგოროდის გიმნაზიის დასრულების შემდეგ შეუდგა სამხედრო ტოპოგრაფიის კარიერას. 1860 წლისათვის უნტეროფიცირია. 1874 წელს კი დანიშნეს კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, სადაც აწარმოებდა ტოპოგრაფიულ გადაღებებს ქობულეთის, ენგურის და არდაგანის რაზმების შემადგენლობაში. 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს და შემდეგ მ. გოლემბიოვსკი სამხრეთი საზღვრის დამდგენი კომისიის წევრია (ამ მიზნით არაერთხელ ჩამოვიდა ბათუმში, საზღვრის ხაზის დასადგენად იმგვარაა აჭარაში და ახლადშემოერთებული ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ სხვა რეგიონშიც). 1882-86 წწ. იგი მუშაობს კასპიის ოლქში, ირანის საზღვართან, იქაც ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულების მიზნით. შემდეგ მ. გოლემბიოვსკი პეტერბურგის მთავარი შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში გადაიყვანეს, თუმცა მცირე ხნით, რადგან მალე ისევ დააბრუნეს კასპიის ოლქში ადრე დაწყებულ სამუშაოთა დასასრულებლად. 1888 წელს თბილისში დაბრუნდა და დაინიშნა კარტოგრაფიული სამუშაოების მწარმოებლად კავკასიის კორპუსის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904-05 წლებში, მ. გოლემბიოვსკი მანჯურიის მე-3 ცხენოსანი არმიის შტაბის შემადგენლობაშია. აქ იგი მონაწილეობს ტერიტორიაზე აწარმოებს ტოპოგრაფიულ გადაღებებს. ცნობილი კარტოგრაფი მომდევნო წლებშიც აგრძელებს ამიერკავკასიის რუკებზე მუშაობას. 1908-14 წწ. იგი აირჩიეს რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო კომისიის წევრად, ხოლო 1917 წელს სტატს-სოვეტნიკის თანამდებობაზე დაინიშნა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1917-1918 წლებში, ამიერკავკასიაში მომხდარი ცვლილებების ზეგავლენით ტოპოგრაფიული კორპუსი დაიშალა, მაგრამ სხვა თანამშრომელთა მსგავსად მ. გოლემბიოვსკი საქართველოდან კი არ წავიდა, არამედ დარჩა თბილისში და თანამშრომლობდა რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობასთან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია ამ მხრივ მისი გაწეული მუშაობის მასშტაბი, კერ-



ძოდ, კონკრეტულად რა დავალებებს უსრულებდა იგი ახალგაზრდა რესპუბლიკის ეროვნულ მთავრობას. საფიქრებელია. უაღრესად გამოცდილი და ერუდირებული კარტოგრაფის ნიჭი და უნარი გამოყენებულ იქნა ახალგაზრდა რესპუბლიკის საზღვრების დასადგენად, აგრეთვე საქართველოს იმ რუკების შესადგენად, რომლებიც შემდეგ ევროპის სახელმწიფოებსა და ერთა ლიგას წარუდგინეს.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მალე დაიწყო რეპრესიებიც. სამსახურიდან დაითხოვეს ძველი არმიის ოფიცრები და საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობასთან ურთიერთობაში ექვმიტანილი პირები. სახეელი ელოდა მ. გოლემბიოვსკისაც, მაგრამ უკანასკნელ მომენტში იგი ისხნა თავისი მეგობრის შვილმა მე-11 წითელი არმიის მეთაურმა ლევანდოვსკიმ. სწორედ ამ უკანასკნელმა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში სამუშაოდ მიიწვია მ. გოლემბიოვსკი. აქ მან მცირე ხანს დაჰყო, რადგან 1924 წელს ღვაწლმოსილი კარტოგრაფი პენსიაზე გავიდა. ცხოვრობდა თბილისში და აქვე გარდაიცვალა 1980 წელს. იგი დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე (დღეს საფლავი დაკარგულია).

ო. გოლემბიოვსკი სხვადასხვა დროს დააჯილდოვეს წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-2 და მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენებით, რუსეთ-იაპონიის 1904-05 წლების ომის სამახსოვრო მედლით.

მ. გოლემბიოვსკისა და სხვა პოლონელი კარტოგრაფების მოღვაწეობა საქართველოში ჩვენი ორი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიის საინტერესო ფურცელია.

შენიშვნები

1. Некролог Ю. И. Ходзько. Известия Кавказского отдела императорского Русского Географического общества, т. 7, Тиф., 1882 — 83 гг., с: 1б — 39.
2. Некролог Г. И. Стебницкого, Указ, Сборник, Т. 12, Тиф., 1898, с. 1—2.
3. Интервью с М. Голембиовским от 15.03.1988 г.; Так же, Послужной список Михаила Кизимировича Голембиовского, составлен на 1 июля 1918 г. (В архиве автора).



შიჰრაბი დედაზე

— მუდამ თავზე დაგვტრიალებს,
ვხალისობთ თუ ვწუხვართ.
გიყვარს დედა?
— უსათუოდ!
დედა ვის არ უყვარს.
— დღე და ღამე არ ისვენებს,
ჰგვის,
აჩაღებს ბუხარს...
გაყვარს დედა?
— უსათუოდ!
დედა ვის არ უყვარს.
— დედა ზრუნავს ყველაფრისთვის,
სითბოს გვაწვდის უზკაღ...
გიყვარს დედა?
— უსათუოდ!
დედა ვის არ უყვარს.

პატარა მებაღეები

გამოვედით მე და დათო
ბაღში ძლიერ ადრე,
მან ქლიავის ნერგი დარგო,
მე კი ატმის დავრგე.
ძამიკოზე უფროსი ვარ,
თითქმის კაცი მქვია...
მე თუ მკითხაეთ, სწავათა შორის,
ატამს ვარჩევ ქლიავს.

სვთისო

რა ბიჭი ვარ,
რა ბიჭი ვარ, —
გაიფიქრა სვთისოშ, —
ათი კბილი უკვე მქონდა,
ორიც ამომდისო!

ხელოსანი შოთიკო

ჩვენი ბიჭი შოთიკო
იმედია მამის,
მოიტანა.
დაჭედა
მორყეული სკამი.
შეაკეთა მაგიდა,
საყვავილე სურა,
ახლა ჩარჩოს ულაქავს
დიდი ბებოს სურათს...
უცქერიან,
ხარობენ,
მოსწონთ ძიაკაცებს —
დგამია თუ ავეჯი
ახალივით აქცევს;
ეხერხება დაჭედვა,
გალაქვა და გათლა...
გაიზრდება, იქნება
ხელოსანი მართლა.

რა მოსავალი

არაფერს არ ვიგონებ,
მოგახსენებთ ნამდვილს —
გუშინ ბიჭმა ტიტტიკომ
წაიხმარა ნადი.
დატრიალდნენ ყანაში
შოთა,
ბახვა,
ნუკრი...
მოსავალი აიღეს
მართლაც უზვზე უზვი,
განა მარტო ბებიას,
ბაბუასაც უკვირს.

ბასულ ორ თვეში

„საპარტველოს მემღვაური“

„თეთროსანი“

გამოვიდა საქართველოს საზღვაო სა-
ნაოსნოს განახლებული გაზეთი „მორიკ
გრუზი“, რომელიც ამიერიდან ქარ-
თულ-რუსულ ენებზე გამოვა და „სა-
ქართველოს მემღვაური — „მორიკ
გრუზი“ ეწოდება. გაზეთი კვირაში
ერთხელ გამოვა. პირველი ნომერი
თორმეტგვერდიანია, მრავალ საინტერე-
სო მასალას ბეჭდავს და 15 კაპიკი
ღირს. იგი ოფსეტური წესით არის და-
ბეჭდილი აქარის პოლიგრაფიული სა-
წარმოო გაერთიანების სტამბაში.

ახალი გაზეთის პირველი გვერდი სა-
რეკლამო ხასიათისაა. აქ მოთავსებულია
მხატვრული პლაკატი სოხუმის, ფოთის
და ბათუმის ნავსადგურების ფოტოსუ-
რათები, მეორე გვერდი მთლიანად
ეთმობა საქართველოს საზღვაო სანაოს-
ნოს უფროსის ჯემალ ჭიღარიას სტა-
ტიას „კარდინალური გადაწყვეტილებე-
ბის და მოქმედებების დრო“. მესამე გვე-
რდზე მოთავსებულია მიმართვა ქარ-
თულ-რუსულ ენებზე: „ჩვენს მკითხვე-
ლებს“, რომელიც განახლებული გაზე-
თის ამოცანებსა და პერსპექტივებზე მო-
გვითხრობს. აქვეა განუოფილება „მო-
საზრებები, წინადადებები“, სადაც სა-
ნაოსნოს სოციალური განუოფილების
ინსპექტორი რ. ნაკაშიძე, სასწავლო-
საკურსო კომბინატის მეთოდისტი
ი. პროხორსკაია და ტანკერ „იუსუფ
კობალაძის“ ეკიპაჟის წევრი თ. მერკ-
ვილაძე მიესალმებიან განახლებული
გაზეთის გამოცემას.

მკითხველი მრავალ საინტერესო, აქ-
ტუალურ მასალას გაეცნობა გაზეთის
ფურცლებზე სანაოსნოს, მისი ნავსად-
გურების, გემების, საწარმო-დაწესებუ-
ლებების კოლექტივების შრომასა და
სოციალურ საკითხებზე, მომავლის
პერსპექტივებზე.

მკითხველმა მიიღო არაპერიოდული
გაზეთის „თეთროსნის“ პირველი რვა-
გვერდიანი ნომერი. იგი იხსნება საქარ-
თლოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმ-
ნით „დიდება“.

„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და
ერთგული წევრი და მსახური შენი
მშობლიური საქართველოსი“. ეს ერთ-
ერთი შეგონებაა იმ ათთაგან, რომელიც
მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუწერია ქალი-
შვილის ალბომში და რომელსაც გაზეთი
პირველ გვერდზე გვთავაზობს.

მომდევნო გვერდებზე მკითხველი გა-
ეცნობა ფრიდონ ხალვაშის, ურუშუა ლა-
ჩიშვილის, ზურაბ ფირცხალაიშვილის,
ნათია პაპაშვილის, ოთარ ფუტყარაძისა
და სხვათა წერილებს, ცისანა ანთაძის
ლექსებს.

„თეთროსანი“ მესამე გვერდზე აქვეყ-
ნებს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი
საქართველოს“ აქარის რეგიონალური
ორგანიზაციის პირველი სხდომის ანგა-
რიშს, აგრეთვე „მრგვალი მაგიდა —
თავისუფალი საქართველოს“ აქარის რე-
გიონალური ორგანიზაციის მიმართვა
მოსახლეობისადმი.

გაზეთი გვთავაზობს უურნალისტ მა-
რინა კუპრეიშვილის ინტერვიუებს დე-
პუტატ რამაზ სურმანიძესთან და აჭა-
რის სააფთაქო სამმართველოს უფროს-
თან თემურ ფალავანდიშვილთან.

„საქართველო დღეს წაგავს მსუქან
დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუ-
მას და ნელ-ნელა აცლის კაი-კაი ნაჭ-
რებს. უფრო მღაბიოდ რომ მოგახსე-
ნოთ, ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში
გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუ-
მის თლას, ამ მიწა-წყლის გადასვლას
სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით
სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი
საქციელი ჩვენს კეთილშობილებას!“ —

ეს სიტუაციები დღეს როდია დაწერილი. იგი 1908 წელს დაუწერია ვაჟა-ფშაველას, წერილს, რომლის ფრაგმენტი შემოგთავაზეთ, გაზეთი მეხუთე გვერდზე აქვეყნებს.

მერვე გვერდზე გაზეთი ბეჭდავს ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრის დეკანოზ დავით შიოლაშვილის საშობაო მილოცვას, აგრეთვე ალილოებს.

„თეთროსანში“ შეგიძლიათ წაიკითხოთ სულიერი ინოდლუს (ინაშვილის), ვახტანგ აბულაძის ლექსები, გაეცნოთ მშრომელთა წერილებსა და საინტერესო ინფორმაციებს.

„წმინდა გიორგი“ ასე ჰქვია ჭეშალ ჭაუელის წერილს. რომელიც პირველ გვერდზეა დაბეჭდილი.

ოთხსაფეხურიანი გიმნაზია

ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესიის ინიციატივით მომავალი სასწავლო წლისათვის მწყობრში ჩადგება ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, რომელიც მერვე საშუალო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდება და რადიკალურად განსხვავებული იქნება ჩვენთვის ნაცნობი სასწავლებლებისაგან.

გიმნაზია ოთხსაფეხურიანი იქნება. პირველი საფეხური — დაწყებითი სკოლა (1-4 კლასების ჩათვლით), მეორე — სპეციალიზებული სკოლა (5-9 კლასების ჩათვლით), მესამე — კოლეჯი (10-11 კლასების ჩათვლით) და მეოთხე — სასულიერო სემინარია.

ყოველი კლასი დაიყოფა ორ ჯგუფად (თითოეულში 10 ბავშვი), ქალები და ვაშები ცალ-ცალკე ისწავლიან. მოსწავლეები ვასაუბრებთ მიიღებინ, მე-4 კლასის დამთავრების შემდეგ გამოიყვითება, თუ ვის შესწევს უნარი სწავლა განაგრძოს სპეციალიზებულ სკოლაში. ამის საფუძველზე მოხდება განთესვა და გარკვეული მომზადების შემდეგ ვაკან-

ტური ადგილების შევსება სწავლანსა სკოლებიდან.

სპეციალიზებული სკოლაში გაძლიერებული იქნება ჰუმანიტარული, საღვთისმეტყველო და უცხო ენების სწავლება, აქაურ კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ გამოცდები ჩააბარონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

გიმნაზია დაემორჩილება საპატრიარქოს განათლების სამინისტროსთან ზოგიერთი საკითხის შეთანხმებით. პროგრამებს და სახელმძღვანელოებს შეადგენს თითოეულ საგანში ცალკე გამოყოფილი კომისია.

ჩვეულებრივი საგნების გარდა, გიმნაზიაში შემოიღებენ საღმრთო რწმუნს, საეკლესიო გალობას და კატეხიზმოს (ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით).

მართალია, გიმნაზიაში სწავლება ფასიანი იქნება, მაგრამ გადასახადი სიმბოლური უფროა. შეღავათს გაუწევინათ, ვისი სამი შვილიც ერთად ისწავლის. გარდა ამისა, აპირებენ ბავშვთა სახლებიდან აღსაზრდელების მიღებას. მაშინ მათთვის გიმნაზია პანსიონატის სტილზე გადაკეთდება.

ძირითადად სასწავლებელი იარსებებს საკუთარ სასაბურო მეურნეობის ბაზაზე. იგი ქალაქგარეთაა და ეკლესიის შეწირულობის სახით გადასცა პიროვნებამ, რომელმაც უცნობად დარჩენა მოისურვა.

საქართველოს საზღვარსა სანაოსნო გიმნაზიაში თავისი სარჩებით მოაწყობს ლინგუონის კაბინეტს, რომელიც დაემარება პატარებს უცხო ენების უკეთ ათვისებაში.

გიმნაზიაში სემესტრულ სწავლებას შემოიღებენ. პირველი სემესტრი 14 სექტემბრიდან 18 დეკემბრამდე გაგრძელდება. მერე საშობაო არდადეგები 19 იანვრის ჩათვლით. 20 იანვარს დაწყება მეორე სემესტრი და 13 მაის-

მდე გახტანს. თამარობას სასწავლო წელი საწვინოდ დაიხურება.

ქველმოქმედება

პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით საკურორტო კერებში დროებით მცხოვრებ მაღალმთიანი აჭარის სტეპისაგან დაზარალებულ ოჯახებს, ფერის მოსუბეშულთა და ინვალიდთა სახლს, ათუშისა და მახინჯაურის საავადმყოფო სახლებს, კურორტზე საფურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულ ჩერნობილის ზონის ბელორუს ბავშვებს ზუთითაასამდე მანეთის საჩუქრები გადასცეს, ამასთან დაინტერესდნენ მათი ყოფაცხოვრების, მკურნალობის, დასვენების პირობებით, დახმარება აღუთქვან ზოგიერთი საქირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში.

იმავ დღეებში დიდძალი საჩუქრები ჩაბარდა აჭარის წითელი ჯვრის მოწყალეების ფონდს მარტოხელა ავადმყოფებისათვის გადასაცემად.

მას შემდეგ, რაც პროფკავშირის საოლქო კომიტეტმა დამოუკიდებლობის სტატუსი მოიპოვეს, უკვე შეწყვეტეს შემდგომი პროფკავშირული ორგანიზებისათვის დიდძალი თანხების გადარიცხვა, ახლა ისინი თავად განაგებენ საკუთარ შემოსავლებს, რის მეოხებითაც პროფკავშირებს მოწყალეებისა და ქველმოქმედებისათვის უფრო მეტი შესაძლებლობები შეექმნათ. ცხადია, ამ მხრივ მოსალოდნელი მათი საქმიანობა უფრო მასშტაბური გახდება.

* * *

ქობულეთელ მრავალშვილიან პედაგოგ დედებს, რომლებმაც შიშებს და აღზარდეს ზუთი და მეტი შვილი და მუსლიჩაზრედად ემსახურებიან ერის მრთავული მამულიშვილების აღზრდას, ნათლისღების დღესასწაულის დღეებში პატრიარქული დახმარება გაუწია საქა-

რთველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოადგილე სამეურნეო სამმართველოს განმრთველების კერებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზაურ ღლონტმა. ყურადღაღებია ისიც, რომ ამ საკმაოდ დიდი რაიონის მრავალრიცხოვან პედაგოგთა კოლექტივში არც თუ ცოტა ყოფილა მრავალშვილიანი დედა. ქველმოქმედების თანხა, რომელიც რაიონის პედაგოგი ქალებისათვის გაიღეს, შეადგენდა 2.550 მანეთს. იგი ამჟერად ჩვიდმეტ ღედას გაუნაწილდა.

* * *

აჭარის კოოპერატორები კვლავაც ერთგულნი არიან ქველმოქმედებისა. შარზანდულად წელსაც უკვე დასაზმარებლად გარკვეული თანხები გადაურიცხეს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მათ შორის ათი ათასათი ათასი მანეთი — რუსთაველის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციას, ქალთა დამოუკიდებელ საქველმოქმედო ასოციაცია „მანდილს“, „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს“ და საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდს. ამას გარდა, კოოპერატორებმა სამაჩაბლოში მყოფ ქართველ მილიციელებს საჩუქრად გაუგზავნეს 16 ათასი მანეთის პროდუქტი.

ახალი ქორეოგრაფიული ანსამბლი

ბათუმელმა ხელოვნების მოყვარულებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ, კარგი საჩუქარი მიიღეს. ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პირველი კონცერტი გამართა ახლად შექმნილმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სორუმმა“.

„სორუმი“ თანამოაზრეთა, ხალხურ ხელოვნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ახლგაზრდათა ანსამბლია.

სცენაზე მაყურებელმა იხილა „ფერ-

სული“, „ქართული“, „მთიულური“, „განდაგანა“, „ხორუმი“, „ოსური“, „სამაია“, მოკლედ, მთლიან სპექტრი ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფიასა, ახლადშექმნილ ანსამბლშია აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერების ცნობილ შემსრულებელთა ჭგუფი თემურ დოლიძის ხელმძღვანელობით. პრემიერის საღამოს „ხორუმის“ წევრებს მიესალმნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ „ხორუმის“ პირველი საჯარო კონცერტის საპატიო სტუმარი გახლდათ ქალაქ ტრაპიზონის მერის მოადგილე, ჩვენი თანამემამულე ჯაფერ ხაზაროღლი მეუღლითურთ, ბატონი ჯაფერი მეტად მოხიბლა ქართული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ხელოვნების ნიმუშების ხილვამ და ანსამბლის ხელმძღვანელებს შესთავაზა

კონცერტების გამართვა ტრაპიზონში. ახლა თვით ხელმძღვანელების შესახებ. „ხორუმი“ შეიქმნა კომპერატივ „გზატყეცილთან“, მისმა ხელმძღვანელმა პამლეთ მიქაძემ და ვახტანგ მღელუამ დიდი სიუვარული და დანტერესება გამოიჩინეს, თუნდაც მაღალ შესანიშნავად დამზადებული კოსტიუმების ხელშეწყობით. რად ღირდა, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ საცეკვო ნომრებს, აქ თავისი სიტყვა თქვეს ანსაზღლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა ჯორჯო-რაფმა გენო ქელიძემ, ქორეოგრაფიკა თამარ მითაიშვილმა და მალხაზ გოგიბერიძემ, ანსამბლის დირექტორია ნოდარ სურმანიძე, აკომპანიატორები — ენვერ და ზურაბ დოლობერიძეები. იაშა ცენტრადე და დათო ჯაქარიძე. ხორუმელებს ჯერ საკუთარი სარეპეტიციო დარბაზი არა აქვთ და სასტუმრო „მესხეთის“ კლუბის სცენაზე იკრიბებიან.



3360 60 333.

0 9 /



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118